


K 34.715
30v



K 34.215
3 0V

დ. ტაბიძე



მევენახეობის განვითარება საქართველოში

გამომცემლობა „ტიფისი და შრომა“

19 — თბილისი — 50

Handwritten signature and a red circular stamp.

6.9

მევენახეობის განვითარება საქართველოში

(მევენახეობის რაიონები და მათის ჯიშობრივი
შემაღველთა)

კვ. 715
3



გამომცემლობა „ტექნიკა და ურობა“

წინასიტყვაობა

მევენახეობა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს და მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ვენახებს საქართველოში მუდამ დიდი ფართობი ეჭირა. ჯერ კიდევ 1900 წელს ვენახების საერთო ფართობი 75.000 ჰექტარს აღწევდა. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრის შედეგად ვენახების ფართობი ძლიერ შემცირდა და 1921 წლისათვის იგი 20875 ჰექტარს არ აღემატებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე დიდი მუშაობაა ჩატარებული მევენახეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში—20000 ჰექტარზე მეტი ახალი ვენახი გაშენდა საქართველოში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა — დიდი სტალინის ინიციატივით მიღებულ — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 28 ივლისისა და 1940 წლის 25 აპრილის ცნობილ დადგენილებათა შემდეგ.

... ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს ყველა რაიონში და პირველ რიგში ყველა რაიონში უნდა შეიქმნას „სავენახეო სექტორი“.


საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე 1949 წელს ამავე კანდიდატმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხს; მან აღნიშნა: „ჩვენ უნდა შევიმუშავოთ წინადადებანი

ვენახების ფართობის უფრო გადაჭრით გადიდების შესახებ. ვაზი კარგად ხარობს ჩვენს ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. ამიტომ მრავალწლიანი ნარგავებიდან საქართველოში მან უნდა დაიკავოს, შესაძლოა ხეხილის შემდეგ, ყველაზე დიდი ფართობი... ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს 1955 წლის ბოლოსათვის ვენახების საერთო ფართობი ავიყვანოთ 75000 ჰექტარამდე... თუ კარგად მოვაწყობთ ჩვენი ვენახების მოვლას, შეიძლება მივალწიოთ მათი მოსავლიანობის 50—100 პროცენტით გადიდებას“.

და მართლაც, მთელმა რიგმა რაიონებმა 1948 და 1949 წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ვენახების მოვლა-დამუშავება და შედეგებიც კარგი მიიღეს. ასე, მაგალითად, 1948 წელს გურჯაანის რაიონმა საშუალოდ მიიღო ჰექტარზე 40 ცენტ. ყურძენი, ზესტაფონის რაიონმა—48 ცენტ., ორჯონიკიძის რაიონმა—52 ცენტ., ცაგერის რაიონმა—55 ცენტ., ხოლო 1949 წელს გურჯაანის რაიონმა მიიღო ჰექტარზე 52 ცენტ., ზესტაფონის რაიონმა—53 ცენტ., ორჯონიკიძის რაიონმა—57 ცენტ., წითელწყაროს რაიონმა—75,2 ცენტ., ყვარელის რაიონმა—44,5 ცენტ. და ასე შემდეგ. ბევრმა კოლმეურნეობამ, ბრივადამ, რგოლმა მიიღო ჰექტარზე 120—150 ცენტ. ყურძენი.

უხვი მოსავლის მიღების „საიდუმლოება“ უკვე გახსნილია ჩვენი მოწინავე მევენახეების მიერ. რაც უფრო უკეთეს კვებისა და ზრდა-განვითარების პირობებს შევუქმნით მცენარეს—ვაზს, მით უფრო მაღალი იქნება მისი მოსავალი.

აკადემიკოსი ტ. ლისენკო გვასწავლის, რომ „მცენარე აგებს თავის-თავს მის ირგვლივ მყოფი საკვებიდან... ამიტომ საჭიროა მივცეთ მცენარეს მეტი და კარგი ლირსების საკვები, რომ მივიღოთ მაღალი მოსავალი“.

მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში მაღალ აგროტექნიკასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჯიშს—მის სამეურნეო თვისებებს. მხოლოდ სწორად შერჩეული ვაზის ჯიშს, მოწინავე აგროტექნიკისა და შრომის სწორი ორგანიზაციის პირობებში, შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს მოსავლიანობის გადიდებისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. 

ჩვენში, ხარისხოვანი მელვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაზის ჯიშების სწორ შერ-

ჩვენას, რადგან ლენინის ასორტიმენტი (ტიპი, მარკა) და მისი ხარისხი ძირითადად ვაზის ჯიშებზე და მისი ზრდა-განვითარების პირობებზეა დამოკიდებული.

ჩვენი ქვეყანა მეტად მდიდარია ვაზის ჯიშებით—500-მდე ვაზის მხვადასხვა ჯიშს ითვლის ჩვენი ასორტიმენტი. მევენახეობის არც ერთ კუთხეს არ მოეპოვება ვაზის ასეთი მდიდარი ასორტიმენტი. ქართული ვაზის ჯიშების არაჩვეულებრივი სიმდიდრე და მრავალფეროვნება გამოწვეულია თვით საქართველოს ბუნების სიმდიდრით—მისი ცალკეული კუთხეების განსხვავებული ჰავითა და გარემო პირობებით და ძირითადად იმით, რომ საქართველო უძველესი დროიდანვე ვაზის წარმოშობისა და გავრცელების ძირითადი კერა იყო. ვაზის ჯიშები საქართველოდან გაჰქონდათ მეზობელ ქვეყნებში უცხოელ ვაჭრებს და მოგზაურთ; ამიტომ ვაზის წარმოშობის სადაურობის საკითხი, განსაკუთრებით იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა ჯიშები უშუალოდ არ არიან დაკავშირებული ადგილობრივ ჯიშებთან და ვაზის გარეულ ფორმებთან—ძნელი დასადგენია. ასე, მაგალითად, ალექსანდრიის მუსკატი წარმოშობილია არაბეთიდან ქ. მასკატის მახლობელ რაიონიდან და არა ალექსანდრიიდან, როგორც ეს დღემდე იყო ცნობილი. ასევე მსოფლიოში ფართოდ ცნობილი ჯიში შასლა ოქროსფერი (თეთრი) თავისი სახესხვაობებით დღემდე ცნობილი იყო როგორც ფრანგული ჯიში, და იგი პირველად თითქმის ყველა ქვეყანაში საფრანგეთიდან გავრცელდა. ამჟამად, როგორც ბერძენს გამოკვლევებიდან დადასტურდა, შასლა თეთრი ეგვიპტის ჯიში აღმოჩნდა, სახელდობრ, ფაიუმის ოაზისიდან. მსგავსად ამისა, მრავალი ქართული ვაზის ჯიში უცხოური სახელწოდებით არის გავრცელებული საზღვარგარეთ. ასე, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში რამდენიმე ძირის სახით გავრცელებული სუფრის ჯიში ხარისთვალა (ლოჭისთვალა) მიჩნეული იყო უცხოურ ჯიშად. ფრანგულ ამპელოგრაფიებში აღნიშნულია, რომ თითქოს ჩვენი ჯიში ხარისთვალა 1850 წელს მიიღო თესლიდან ფრანგმა ლერუამ ანჟერში და ახალი—„გროკოლმანის“—სახელწოდებით გაუგზავნა იგი საჩუქრად თომა რივერსს ინგლისში. ამჟამად ხარისთვალა „გროკოლმანის“, „დოდრელიაბის, „ოქსენაუგეს“ და სხვა მრავალი სახელწოდებით გავრცელებულია დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, ძირითადად, ორანჟერებში.

ჩვენი გამოკვლევებით მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ფუნქსიონში უცხოეთიდან დაბრუნებული ეს ჯიში,—„დოდრელიაბის“,

„პრუნელა ჰოტ ეგვიპტის“ და სხვ. სახელწოდებით, — იდენტურად აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში ხარისთვალას, ღირისთვალას და ხოჯოსთოლის სახელწოდებით გავრცელებულ ჯიშისა; ამით დადასტურდა მათი ერთმანეთთან იგივეობა. ასევე ქართლის ჯიშის დიდიმური ტრუმერის გერმანულ ამპელოგრაფიაში შპეტერ ბლუსარდის სახელწოდებით არის აღწერილი. ჩვენი საუკეთესო ჯიშის — საფერავი გერმანულ ჟურნალ „Die Weinlaube“-ში რეკომენდებულია, როგორც „საბერძნეთისა და ყირიმის ჯიშის, გავრცელებული კახეთის მთებში“. სამწუხაროდ აკად. ს. კორჟინსკის ამპელოგრაფიაშიაც კი ცნობები საფერავის წარმოშობის შესახებ დამახინჯებულად არის მოცემული, თითქოს საფერავი დასავლეთ აზიის ჯიშისა და რომ იგი გუილონმა (ფრანგი ამპელოგრაფი) პალესტინიდან მიიღო, ხოლო პიულამ კავკასიიდან — 5 სხვადასხვა ვარიაციის სახით. ყველა ეს ცნობა გვავალებს ჯიშების წარმოშობის საკითხს მეტოპოზიტივით მივუდგეთ. ჯიშის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ ადგილობრივად, როცა იგი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია სხვა ადგილობრივ გარეულ და კულტურულ ვაზის ჯიშებთან.

ჩვენი, ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომ განვითარებასთან და კავშირებით, ჩვენი ადგილობრივი ქართული ვაზის ჯიშებთან ერთად პარალელურად უნდა გამოიკადლოს მევენახეობის ცნობილი რაიონების მალახარისხოვანი ვაზის ჯიშები; მათგან ჩვენი პირობებისათვის უკეთესების შესარჩევად — ყურძნის გადამუშავების ახალ, შამპანური, მაგარი და სადესერტო ღვინოების, მიმართულებათა მიხედვით. ამგვით შესაძლებელია მეტად საინტერესო როგორც ჩვენი, ისე უცხოური ვაზის ჯიშის გამოვლინება.

მაგრამ ჯიშების მარტო შერჩევა-გამოვლინებით ვერ დაკმაყოფილებით. ჩვენს მუდმივ წინსვლასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება უფრო პროდუქტიული, მაღალი სამეურნეო თვისებების მქონე ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა, რათა შეიქმნას ღვინის და უალკოჰოლო ნაწარმის უფრო ფართო და მდიდარი ასორტიმენტი მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მუშაობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ ბუნების დიდი გარდამქმნელის ივ. მიჩურინის მოძღვრებითა და მისი ქმედითი მეთოდებით. ჩვენი აგრობიოლოგიური მეცნიერების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ორგანულად აერთებს დოკუმენტულ-ვილიამსის მეცნიერულ სწავლებას — ცხოველთა და მცენარეთა ზემოქმედებით ბუნე-

ბის გარდაქმნისა და მიჩურინ-ლისენკოს მოძღვრებას—გარემო პირობების გავლენით მცენარეთა და ცხოველთა მემკვიდრეობითი თვისების კანონზომიერი შეცვლის შესახებ.

ადამიანისა და მცენარეების ბუნებაზე ზემოქმედების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა, რომელიც გამოსახულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის ცნობილ დადგენილებაში. ეს დადგენილება ითვალისწინებს მიწათმოქმედების მუდმივი მტრის—გვალვის წინააღმდეგ მთელ რიგ ღონისძიებებს: ნათესების დამცველი ტყის ზოლის (ქარსაფრების) გაშენებას, ბალახმინდვრიანი თესლთაბრუნვის შემოღებას, შავად ხნულის, მზრალად ხენისა და ნაწვერალი აოშვის შემოღებას, მინერალური და ორგანული სასუქების წესიერ მოხმარებას, მაღალმოსავლიან, ადგილობრივ პირობებისადმი შეგუებულ, სელექციური თესლების გამოყენებას და საჭიროების შემთხვევაში ნათესების მორწყვას, საამისოდ მოწყობილი გუბურებისა და წყალსაცავების საშუალებით.

გარემო პირობების გავლენით ცხოველთა და მცენარეთა მემკვიდრეობითი თვისებების ადამიანისათვის სასურველი მიმართულებით გარდაქმნის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს მიჩურინის, ლისენკოსა და მათი მოწაფეების მიერ შექმნილი მაღალსამეურნეო ღირებულების მქონე მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები. მარტო ივ. მიჩურინმა თავისი ცხოვრების მანძილზე შექმნა 300-მდე ხეხილის ახალი ჯიშები. მათ შორის ვაზის ახალი ჯიშებიც, რომელთა მეოხებით მიჩურინმა მევენახეობის გავრცელების ხაზი ჩრდილოეთით 500—600 კილომეტრით გადაწია. ახლა ვენახების გავრცელების ხაზი გადის ქ. მიჩურინსკის (ყოფ. კოზლოვის) ჩრდილოეთით.

საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების ქმედითი მეთოდების გამოყენებით თავისუფლად შეიძლება მევენახეობის წინაშე დასახული ამოცანის, სახელდობრ, ვენახების მოსავლიანობის გადიდების, ყურძნისა და ღვინის ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებისა და მათი პროდუქციის ხარისხის ამაღლების წარმატებით გადაწყვეტა.

საქართველოს ვენახების ჯიშობრივი შემაღვენლოვა

1. ზოგადი ცნობები

შევენახეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ, ხოლო ზოგიერთ რაიონში მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს.

ისტორიული ცნობები მოწმობენ, რომ აქ აღამიანმა რამდენიმე ათასი წლის წინათ გარეული ვაზი კულტურულ მცენარედ აქცია. ჯერ კიდევ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების განთიადზე, ჰომეროსის თქმულებით, ცირცეა კოლხეთში ოქროს კალათებითა და ვერცხლის კულებით მორთულ სუფრაზე უმასპინძლდებოდა ოდისეოსსა და მის თანამგზავრებს წყალში ოდნავ გაზავებული თაფლივით ტბილი ღვინოთი.

იმავე წყაროებიდან ჩანს, რომ ვენახებს იმ ხანებში საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა. მე-17 საუკუნის დამდეგშიაც კი, როდესაც საქართველო შაჰ-აბასის დაუსრულებელი შემოსევების შედეგად პოლიტიკურად და ეკონომიურად დაუძღვრებული და დასუსტებული იყო, ფრანგ მოგზაურ შარდენის (1672 წ.) მოწმობით: „არსად იმდენსა და იმაზე უკეთეს ღვინოს არ სვამდენ, როგორც საქართველოში“. გარდა ამისა, იმავე შარდენის მოწმობით ჩვენი ქვეყნიდან „ყოველწლივ გაჰქონდათ ღვინო დიდი რაოდენობით სასომხეთში, მიდიაში და სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაჰანში მეფეთა სუფრისათვის“. (ივ. ჯავახიშვილი 1934 წ.).

სამწუხაროდ ცნობები ვენახების მაშინდელი ფართობის შესახებ არ მოგვეპოვება. შედარებით უფრო გვიანი ცნობები—1860—1870 წლებში არსებული ვენახების ფართობის შესახებ—მოყვანილი აქვს მ. ბალასს. მისი მონაცემების მიხედვით მარტო ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში (სოხუმის, ბათუმისა და ართვინის ოლქების გამოკლებით) ვენახების ფართობი 42000 ჰექტარს აღწევდა. თუ ქუთაისის ყოფილ გუბერნიას პირობით მივიღებთ საქართველოს ნახევარ ნაწილად, მაშინ ვენახების საერთო ფართობი საქართველოში 84000 ჰექტარზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

მომდევნო წლების უფრო ზუსტი სტატისტიკური ცნობების მიხედვით 1900 წლისათვის ვენახების მთლიანი ფართობი საქართველოში 75000 ჰექტარს აღწევდა.

ეს მონაცემები უდავოდ მოწმობენ მევენახეობის დარგის დიდ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკაში.

მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის კარგად ესმოდათ საქართველოს ძველ მტრებსაც, რომლებიც, საქართველოს ეკონომიური დაქვეითებისა და მისი პოლიტიკურად დასუსტების მიზნით, ხშირად მიმართავდნენ ბარბაროსულ წესს—ვენახების მოსპობას ძირშივე მოჭრით.

მსკოვან მეცნიერს — აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ასეთი მაგალითები ბევრი აქვს მოყვანილი. აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთ გვერდზე იგი წერს: „თემურ ლენგმა XIV საუკუნის დამლეგს, და შემდეგ XVII საუკუნის დამლეგს შაჰ-აბასმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძღურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს“.

ამგვარად, მევენახეობა, რომელიც ქართველი ხალხისათვის კეთილდღეობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა, დამოკიდებული იყო ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისაგან.

ასეთი იყო მდგომარეობა ვაზის სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის შემოსევამდე. წარსული საუკუნის ბოლოს ეს დიდმნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის დარგი მსხვერპლი გახდა ვაზის ავადმყოფობათა და მავნებლებთა შემოსევისა: პირველად შემოიჭრა ოიდიუმი (ნაცარი) და შემდეგ მილდიუმი და ფილოქსერა. დაავადებამ, მავნებლებმა და მათ შემდეგ იმპერიალისტურმა ომმა 1914—1918 წ. წ. დიდი ზარალი მიაყენა ვენახებს—მისი ფართობი ძლიერ შემცირდა და ზოგიერთ რაიონში სრულიად მოისპო კიდევ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მევენახეობის განვითარება საქართველოში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა იმ დროს, როდესაც ფილოქსერა დიდი სისწრაფით სპობდა ვენახებს. 1921 წლიდან იწყება დაზიანებული ვენახების სისტემატური აღდგენა ფილოქსერაგამძლე საძირებზე. განსაკუთრებით დიდი გარდატეხა მოხდა დიდი სტალინის ინიციატივით მიღებულ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 28 ივლისისა და 1940 წლის 25



აპრილის ცნობილ დადგენილებათა შემდეგ. ამ დროიდან დაწყებული ახალი ერა მევენახეობის მძლავრი განვითარებისა ჩვენს ქვეყანაში. 1955 წლის ბოლოს ვენახების ფართობი საქართველოში მიაღწევს 75.000 ჰექტარს, ე. ი. მნიშვნელოვნად გადააჭარბებს სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის შემოსევამდე არსებულ ვენახების ფართობს.

II. ვენახების ჯიშობრივი მრავალფეროვნების მიზეზები

საქართველო სამშობლოა კულტურული ვაზისა და აკვანი უძველესი მევენახეობისა. მრავალი ავტორის მოწმობით პეროდოტეს—(480 წ. ჩვენი წელთაღრიცხვის წინათ), სტრაბონის (662 წ. ჩვენს ერამდე), შარდენის—(1672 წ.), ვახუშტის (1742 წ.), გამბასი (1820 წ.), პუშკარევის (1832 წ.), დიუბუადე—მონპერესი (1840 წ.), კოლენატისა (1840 წ.), კოხისა და სხვათა მოწმობით, ყურძნის მოსავალი საქართველოში უხვი იყო; ვაზი იზრდებოდა ბუნებრივად, მაღლარად და იძლეოდა მშვენიერ ნაყოფსა და საუკეთესო ღვინოს.

მართლაც, საქართველოს განსაკუთრებით ხელისშემწყობი მდიდარი ბუნებრივი პირობები (ჰავა, ნიადაგი), მეტადრე ძველი კოლხეთისა, არ მოითხოვდნენ ადამიანისაგან განსაკუთრებულ მზრუნველობას ვაზის მოვლისათვის. საკმარისი იყო დაერგათ ვაზი და გაეშვათ იგი ხეზე, რომ ის გამხდარიყო ღონიერ უხვმოსავლიან მცენარედ, რომელიც თითო ხიდან იძლეოდა 30 ფუთამდე ყურძენს. უცხოელ მოგზაურთ ხეებზე გაშვებული ვაზი, ეგრეთ წოდებული მაღლარი ვენახი, მიაჩნდათ გარეულ ვაზებად და თვით კულტურა პრიმიტიულად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ხეზე აშვებული ვაზები იმ დროის მუდმივი ომიანობის პირობებში ეკონომიურად მეტად ხელსაყრელი იყო.

ძველად საქართველოს მევენახეობა არ იყო მარტო მაღალტანიანი (მაღლარი); ვაზის გასხვლისა და ფორმირების წესები დამოკიდებული იყო ბუნებრივ პირობებზე, რომლის შესაბამისად ანსხვავებდნენ ვაზის გასხვლისა და ფეხზე დაყენების შემდეგ ფორმებს: მაღლარს ანუ ბაბილოს—მაღალ ხეებზე აშვებულ ვაზებს, რომლებიც მეტრისა და მეტი სიმაღლის იყვნენ; ოლიხნარს და ხარდანს—საშუალოტანიან ფორმებს—1,5 მეტრიდან 3 მეტრის სიმაღლემდე პირველი მათგანი იყო რიგ-რიგად გაშენებული, ხოლო მეორე გაფანტულად; დაბლარს—ჩვეულებრივ დაბალტანიან ვენახს, 0,5-დან 0,



მეტრის სიმაღლით, — ძირითადად, მწკრივად გაშენებულს. ამ ფორმების გარდა, ცნობილი იყო ტალავრები და ხეივანები 2 მეტრიდან 4 მეტრის სიმაღლით, 2—3 მეტრი სიგანით და 50 მეტრამდე სიგრძით. ამ ვაზების ქვეშ, მიწაში, ქვევრები იყო ჩაფლული ღვინის შესანახად.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს რაიონებში ვახუშტის მონაცემების მიხედვით, (1745 წ.) (11) მაღლარის ფორმა გავრცელებული იყო გურიაში, სამეგრელოში და ნაწილობრივ იმერეთში, დაბლარი ძირითადად იმერეთში და ნაწილობრივ სამეგრელოში; შარღენის (15) ცნობების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მაღლარი გავრცელებული იყო აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოშიაც. თუმცა პირდაპირ ცნობებს აღნიშნულის შესახებ ვახუშტის შრომაში ჩვენ ვერ ვხვდებით.

ვაზის ფორმირების ყველა ზემოჩამოთვლილი სახე ზოგიერთ რაიონში შემონახულია დღემდე (მაღლარი, ხარდანი, ოლიხნარი, ტალავერი, ხეივანები), რა თქმა უნდა, მცირე ფართობებზე.

არანაკლებ საინტერესოა ის გარემოება, რომ ძველმა მევენახეებმაც არამც თუ იცოდნენ გარემო პირობებისადმი შესაბამისი ვაზის გასხვლისა და ფორმირების წესები, არამედ ცალკეული ფორმებისათვის უფრო შესაფერ ჯიშებსაც კი ანსხვავებდნენ. ცნობილი იყო მთელი ჯგუფი ვაზის ჯიშებისა „ხის ვაზის“ სახელწოდებით, რომლებიც მაღლარად ფორმირების დროს განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლეოდნენ.

„ხის ვაზს“ ეკუთვნიან ისტორიულად ცნობილი ვაზის ჯიშები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს მათი გავრცელების რაიონებს—გურიის, სამეგრელოსა და იმერეთს. ეს ჯიშებია: „შანთი“ (ციცქა), ჩხავერი, ოჯალეში და სხვა. სიტყვა „ოჯალეშს“, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის (3) ახსნით, პირველად საერთო მნიშვნელობა ჰქონდა და იხმარებოდა აღსანიშნავად ვაზის იმ ჯგუფის ჯიშებისა, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ ხეზე ასაშვებად. შემდეგში ეს სახელწოდება მიეკუთვნა ჯიშს „სვანურს“ (შონურს), ამ ფორმისადმი (მაღლარისათვის) მეტად კარგად შეგუებულს.

ასეთი იყო მევენახეობის მდგომარეობა სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის შემოჭრამდე საქართველოში.

ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა შემოჭრის შემდეგ, მაღლარი ვაზების წამლობისა და მოვლის სიძინელებთან დაკავშირებით

მაღალშტამბიანი ვენახებმა დაკარგეს თავიანთი ძნიშვნელობა—განდნენ არარენტაბელური და თანდათან შეიცვალნენ დაბალტანიან ვენახებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრავალსაუკუნოებით გამოიშვაებული, ცალკე რაიონებისათვის კარგად შეგუებული ვაზის ფორმები—მაღლარი, ოლიხნარი და ხარდანი თითქო იყვნენ პრიმიტული ფორმები, როგორც ეს მრავალ უცხოელ მოგზაურს ეჩვენებოდა. პირიქით, ფაქტები საწინააღმდეგოს გვიჩვენებს, სახელდობრ, მას, რომ ვაზის უძველესი კულტურა იყო მაღალშტამბიანი—ექსტენსიური და ვაზის სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის შემოჭრამდე იძლეოდა მაღალხარისხოვანი ყურძნის უხვ მოსავალს.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ საქართველოში და, მეტადრე ძველი კოლხეთის ტყეებში, და ალაზნის ხეობაში, როგორც წარსულში, ისე ახლაც ჩვენ ველურ ფორმებში ვხვდებით დიდი რაოდენობით კრიკინა ვაზებს (გარეულ ვაზს).

გარეული ვაზის ყველგან და დიდი რაოდენობით გავრცელება დასტურდება აგრეთვე მათი სახელწოდებათა სიმდიდრითაც. ძველი მივენახეები მშვენივრად არჩევდნენ გარეულ ვაზს კულტურული ვაზისაგან და სხვადასხვა რაიონის მიხედვით მათ სხვადასხვა სახელს არქმევდნენ. ამ სახელწოდებათა შორის, აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობით, გარდა საერთო სახელწოდებისა—ველური, გარეული და ტყის ვაზი—არსებობდა სპეციალური სახელები, რომლებიც დღემდის შემონახულია, სახელდობრ, უსურვაზი, კრიკინა (აღმოსავლეთ საქართველო); ბურეხი, შხურიჩი (სამეგრელო); ბაბილო (იმერეთი); ბურძლუმი (საინგილო); ძღვამლი (რაჭა-ლეჩხუმი) და მორცხული (გურია).

გარეული ვაზები საქართველოში ძირითადად ორბინიანია, მხოლოდ არათანაბარტიპისანია; მათ შორის გვხვდება ვაზები, რომლებსაც აქვთ როგორც მთლიანი, ისე შეჭრილი (დანაკეთული) ფოთლები, ხშირად შებუსული, იშვიათად ოდნავ შებუსული ან სრულიად შეუბუსავი ფოთლები. მარცვალი ძირითადად წვრილი, შავი და მომრგვალოა, იშვიათად გვხვდება მარცვალი ოვალური ფორმისა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს გარეული ფორმები არიან ახლანდელი კულტურული ვაზის წინაპრები. საქართველოს ცალკეული რაიონების განსხვავებული ბუნებრივი პირობები საგრძნობლად მოქმედებდნენ გარეულ ვაზზე მათი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელების დროს და ხელს უწყობდნენ ჯიშების იმ მდიდარი მრავალფეროვნების წარმოქმნას, რომელსაც ჩვენ დღეს ვხედავთ. ვაზის ჯიშების წარმოქმნას დიდ სამსახურს უწევდა ხალხის მრავალ-

საუკუნოებრივი შეგნებული მუშაობა ჯიშების შერჩევის საქმეში. შერჩევაში კულტურული და გარეული ვაზის გავრცელების არეალის გადახლართვისას ფორმათა წარმოშობის პროცესს შეედლო ჩაველოვანი ცვლილებით უფრო ინტენსიურად და ადაპტირების დახმარებით გამოიწვია თითქმის ყველა ფორმის წარმოქმნა გარეულიდან დაწყებული კულტურული ფორმების ჩათვლით, მათი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებების მეტად საგრძნობი ცვალებადობით.

მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კულტურული ვაზის ჯიშების წინაპრები იყვნენ გარეული ვაზის ადგილობრივი ფორმები, რომლებიც ძველად გავრცელებული იყო კოლხეთის დაბურულ ტყეებსა და ალაზნის ხეობაში და რომლებიც ახლაც მეტად ახლო დგანან ამჟამად გავრცელებულ კულტურულ ვაზის ჯიშებთან. ვაზის გარდამავალი ფორმების არსებობა, მათი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებების მსგავსება გარეულ ვაზებთან, გვევალბის ისინი მივიჩნიოთ როგორც დამაკავშირებელი რგოლი გარეულ და კულტურულ ჯიშთა შორის. ასეთი გარდამავალი ტიპის ჯიშები შეიძლება ბევრი დავასახელოთ, მათ შორის მოვიყვანოთ „მახვატელს“ (კოლხეთის ძველი ჯიში) დამახასიათებელი ქეჩისებრი შებუსუსული ფოთლებით, (ჯაგარი პლიუს სქელი აბლაბუდა) და ერთწლიანი ყლორტების ჯაგრისებრი შებუსუსებით. იგი ხასიათდება მომრგვალო ფორმის 5—8 სმ სიგრძის მტევნებით და მომრგვალო, ან ოდნავ შეზნექილი შავი მარცვლებით, რომლებიც მკვიდრად სხედან მკვრივ ფეხზე. მარცვლის კანი სქელია, წვენი შეფერიანებული. ამ ნიშნების მიხედვით მახვატელი შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალ ფორმად გარეულიდან კულტურულისაკენ.

მრავალი მკვლევარი, მათ შორის კოხიცი, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა ამიერკავკასიაში, ქუთაისთანსა და სპარსეთში სპეციალური მიზნით, რათა გამოერკვია ვაზის წარმოშობის ადგილი, წერს შემდეგს: „ვაზი, როგორც მარცვლოვანი კულტურები, მოყავთ უხსოვარი დროიდან; არ არსებობს შესაძლებლობა იმის აღმოჩენისათვის, თუ სად იმოფება ამ კულტურის დასაწყისი. ხანგრძლივი და დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ყველგან ამ ქვეყნებში ჩვენ გვაქვს საქმე არა გარეულ ვაზთან, არამედ გაგარეულებულთან. ვაზი ხარობს დღემდე ძველ კოლხეთის დაბურულ ტყეებში, სადაც ვაზის კულტურის დასაწყისი ჩაისახა რამდენიმე ათასწლეულის წინათ. აქ ვაზი ხარობს სრულიად თავისუფლად და მისი ტოტები და მტევნები ეშვებიან ძირს წიფლის მაღალ ხეებიდან.

ტყეში ვაზი აღწევს ნამდვილ ხის ზომას. კავკასიის, ჰონტოსის და კასპიის ზღვისპირა ქვეყნები ითვლება ვაზის სამშობლოდ და აქედან იგი გავრცელდა მთელ დედამიწაზე მეზღვაურების და ვაჭრების მეშვეობით“ (ციტირებულია ლეონოვის (31) მიხედვით). ამ მონაცემების მიხედვით ცხადი ხდება, თუ რატომ არ არსებობს ერთიანი აზრი კულტურული ვაზის წარმოშობის საკითხის შესახებ. სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ გარეულმა ვაზმა დაუდო საწყისი ფორმების იმ დიდ სხვადასხვაობას, რომლებიც ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევით განცალკევდნენ, როგორც კულტურული ვაზის ჯიშები, მაშასადამე, კულტურული ვაზის ჯიშის წარმოშობის საკითხი გარეული ფორმებიდან პირველი მიახლოებით ჩვენში შეიძლება ჩაითვალოს გადაწვეტილად.

შეორე მხრივ, ვაზის ჯიშების დიდი რაოდენობა (450-ზე მეტი) და მათი გასაოცარი სხვადასხვაობა მორფოლოგიურ-სამეურნეო ნიშანთვისებების ფართო ცვალებადობით და მათი დაკავშირება გეოგრაფიულად მცირე ფართობებთან (ნ. ვავალოვი), უდავოდ მოწმობენ ვაზის კულტურული ჯიშების ფორმათა წარმოშობის ძირითადი კერის არსებობას საქართველოში. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის დიდი რაოდენობა ერთწლიანი მარცვლოვანების, ხეხილის და ხეების სახეობების და ჯიშებისა, რომლებიც ჩვენშია გავრცელებული. დენდროლოგმა ი. ს. მედვედევმა საქართველოში აღრიცხა ხეების ჯიშების 360 სახეობა, მაშინ როდესაც რსფსრ-ის ველების ტყეებში მათი საერთო ჯამი არ აღემატება 20 სახეობას (ვინოგრადოვ-ნიკიტინი პ. ზ.) (32). დროებით რომ დაგუშვათ, მარცვლოვანებისა და ხეხილის, მათ რიცხვში ვაზის ჯიშების ასეთი დიდი მრავალფეროვნებით გარედან შემოტანა, იგივეს დაშვება ტყის ხის ჯიშების მიმართ ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ საქართველოს ვაზის კულტურულ და გარეულ ფორმათა სიმდიდრე და მრავალფეროვნება შედეგია ნიადაგისა და ჰაერის განსაკუთრებით მდიდარი და ხელისშემწყობი პირობებისა, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ფორმათა წარმოშობის პროცესის ფართო განვითარება მრავალი კულტურისა და, კერძოდ, ვაზისათვის.

ვაზი, როგორც ამას სამარლიანად თვლის პროფესორი სელიანი-ნოვი (33), წარმოშობით უდავოდ სუბტროპიკული ზონის მცენარეს ეკუთვნის. მაშასადამე, ვაზის ჯიშების ბუნებრივად წარმოშობისათვის საქიროა სუბტროპიკული ნიადაგი და ჰავა, როგორც აუცილებელი წინამძღვარი პირობა ფორმათა წარმოშობის ფართო პროცესისათვის.

ამ მხრივ ძველი კოლხეთის ნიადაგი და ჰავა წარმოადგენენ პირობების ოპტიმუმს ფორმათა წარმოშობის პროცესისათვის. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მთელ ზოლს—აფხაზეთიდან აქარამდე მისი ჩათვლით, მთელი 3 გრადუსის მანძილზე ($41^{\circ}, 30' - 44^{\circ}, 30'$ ჩრდ. განედო) საშუალოდ ზღვის დონედან 600—800 მეტრამდე, თითქმის უცვლელი წლიური ტემპერატურა $14,3^{\circ}$ აქვს (სოხუმი $14,7^{\circ}$, ფოთი და სამტრედია $14,6^{\circ}$, ბათუმი $14,3^{\circ}$, ოზურგეთი და ქუთაისი $14,4^{\circ}$). აქტიური ტემპერატურების ჯამი 10° ზევით ათვლილი ზემოაღნიშნული პუნქტებისათვის მერყეობს $4,459^{\circ}$ (ბათუმი)— $4,620^{\circ}$ -მდე (სოხუმი) პერიოდის ხანგრძლიობით 253 დღიდან (ბათუმი) 259 დღემდე (სოხუმი); ნაჩვენები პერიოდი იწყება დაახლოებით მარტის მეორე დეკადიდან და მთავრდება დეკემბრის პირველ დეკადაში.

ზონის ჰავა ტენიანია, სუბტროპიკული, თბილი ზამთრით და არაცხელი ზაფხულით. ატმოსფერული ნალექები დიდია—საშუალოდ ნალექების წლიური ჯამი ცვალებადობს $1,380$ მ/მ-დან (სოხუმი)— $(1271$ მ/მ ქუთაისში) 2440 მ/მ-დე (ბათუმში) ჰაერის მაღალი ტენიანობის პირობებში.

ადგილმდებარეობის რელიეფი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მთაგორიანია მხარეების მიმართ ფერდობების ხელსაყრელი დაქანებით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში გადაჭიმულია დიდი ველი, ცნობილი კოლხეთის დაბლობის სახელწოდებით.

საქართველოს კულტურული და გარეული ვაზის ჯიშების არაჩვეულებრივმა მრავალფეროვნებამ, წარმოქმნილმა ცალკეული რაიონების განსხვავებული, მაგრამ მდიდარი ჰავისა და ნიადაგის ფონზე, დაარწმუნეს მრავალი მკვლევარი, რომ ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო ფორმათა წარმოშობის ძირითადი კერაა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. ნიკო კეცხოველი საქართველოში კულტურული მცენარეების ფორმათა წარმოშობის ძირითადი კერის ლოკალიზირების შესახებ წერს შემდეგს: „თუ ამიერკავკასიის მინდვრის კულტურების ჯერჯერობით ნაწილობრივმა შესწავლამ მეცნიერებას შესაძლებლობა მისცა გამოეტანა დასკვნა იმის შესახებ, რომ ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცენტრია კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა, ეს დებულება კიდევ უფრო უდავო და დამარწმუნებელი გახდება ყველა კულტურის შესწავლისას. ამაზე დამოუკიდებლად ის სიუხვე და სიმრავლე მინდვრის, ბალ-ვენახის კულტურებისა, რომლებიც ჩვენშია შემჩნეული, იმის უდავო ფაქტს წარ-



მოადგენს, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობა შორეულ წარსულში განვითარების დიდ სიმაღლეზე იდგა.

ეს არ არის საკვირველი, რადგან საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა და კულტურის სხვა სახეებთან ერთად სოფლის მეურნეობაც მაღალ დონეზე იდგა. ამას ადასტურებს დღევანდლამდე შემორჩენილი მძალხარისხოვანი ვაზის, ვაშლის, ატმისა და სხვა კულტურების ფორმები და ის წყაროები, რომლებშიაც შენახულია ცნობები ჩვენი მეურნეობისა და მისი ობიექტების შესახებ.“

აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. ს. ჩოლოყაშვილი და პროფ. ნ. ხომეზურაშვილი საქართველოს სთელიან აგრეთვე ვაზისა და ხელის კულტურული ჯიშების სამშობლოდ.

აკადემიკოსი ნ. ი. ვავილოვი კულტურული ვაზის წარმოშობის შესახებ შემდეგს წერდა: „არსებული მონაცემები ლაპარაკობენ იმაზე, რომ კულტურული და გარეული ვაზის ფორმათა წარმოშობის ძირითად კერას წარმოადგენს ამიერკავკასია. დიდი რაოდენობა ადგილობრივი ვაზის სხვადასხვაგვარი აბორიგენული ჯიშებისა, რომლებიც ამჟღავნებენ მრავალგვაროვან შეფერვისა და ფორმის საკვირველ გამმას, მოწმობენ აქ ფორმათა წარმოშობი პროცესის მოკალათებას“.

სოფლის მეურ. მეცნ. დოქტორის ა. მ. ნეგრულის გამოკვლევებმა უფრო მეტად გაამდიდრეს კულტურული ვაზის ჯიშების წარმოშობის პრობლემა ახალი მონაცემებით. ამ მონაცემების საფუძველზე ა. მ. ნეგრულმა გამოჰყო „პონტოსის ვაზი“ და აერთებს მას იმ ვაზების ჯიშებთან, რომლებიც ხარობენ შავი ზღვის აუზში და შეადგენენ ერთ ეკოლოგიურ სისტემატიკურ ჯგუფს (*prol. pontica*, Negr.) და „მართლაც, წერს ა. ნეგრული, ადგილობრივი წარმოშობა დასავლეთ საქართველოს, კახეთისა და კავკასიის სხვა რაიონების ვაზის ძველი ჯიშების დიდი უმრავლესობისა, დღეს ჩვენთვის უდავოა. საღვინე ტიპის ჯიშები—წვრილი, წვნიანი მარცვლით, წვრილი წიპწებიითა და ძლიერი შებუხული ფოთლებით, რომლებიც თავისი ტიპით ახლო დგანან *ssp. silvestris*, Gmel-თან და გავრცელებულია შავი ზღვის აუზში (საქართველო, მცირე აზია, საბერძნეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი) ჩვენ ვაერთებთ ვაზის ჯიშების ეკოლოგიურ სისტემატიკურ ჯგუფში *prol. pontica*, Negr. (ა. მ. ნეგრული (34).

შემდგომი წლების მუშაობის შედეგად პროფ. ნეგრულმა ქართული ვაზის ჯიშები ცალკე ქვეჯგუფად გამოყო *prol. pontica*, *subprol. georgica*, Negr. სახელწოდებით.

ამრიგად, ვაჯამებთ რა ზემომოყვანილ მონაცემებს, — ვითვალისწინებთ საქართველოს განსაკუთრებულ ხელისშემწყობ, მრავალფეროვანი ნიადაგისა და ჰავის პირობებს, და ამ ფონზე წარმოშობილი ადგილობრივი ვაზის ჯიშების გასაოცარ მრავალფეროვნებას, სიმრავლეს, მათ მოკალათებას ცალკეული რაიონების ენდემურ ჯგუფებად, აგრეთვე გარეული ვაზების დიდ მრავალფეროვნებას ყოველგვარი გარდასვლებით გარეული ფორმიდან კულტურულამდე და „საკვირველ დაკავშირებას ფორმათა წარმოშობის ძირითად პროცესისა გეოგრაფიულად მცირე რაიონებთან“, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გარეული და კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოშობის ძირითად კერად უნდა ვიგულისხმოთ საქართველო, სადაც ჯერ კიდევ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური არსებობის ვარიეტაჟზე ფართოდ იყო გავრცელებული მევენახეობა-მელდინეობა.

III. ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა და მისი გაადგილება


1. ვენახების თანამედროვე ჯიშობრივი შემადგენლობის საერთო დახასიათება.

საქართველოს სსრ ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა ყალიბდებოდა საუკუნეთა განმავლობაში. ასორტიმენტის ჩონჩხს შეადგენენ, ცალკეული რაიონების განსხვავებული ჰავისა და ნიადაგის პირობებთან კარგად შეგუებული, ადგილობრივი ვაზის ჯიშები. საქართველოს რელიეფის განსაკუთრებულ სირთულეს და ნიადაგისა და ჰავის პირობების ხშირ ცვალებადობას შედარებით მცირე სივრცეზე არ შეეძლო არსებითი გავლენა არ მოეხდინა ვაზის ჯიშობრივ შემადგენლობაზე. და, მართლაც, ეკოლოგიური პირობების ნაჩვენები ცვალებადობის შესაბამისად საუკუნეთა მანძილზე გამომუშავდა ვაზის დიფერენცირებული ასორტიმენტი, რომელიც არ ცილდებოდა (ხშირად ახლაც არ ცილდება) თავიანთ პირველწარმოშობის ადგილსამყოფს. ვაზის ჯიშების ასეთი ვიწრო მოკალათება მევენახეობის ცალკეულ რაიონებში გვაძლევს სრულ უფლებას ვიგულისხმოთ ისინი იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, კახეთის, ქართლისა და სხვა რაიონების ვაზის ენდემურ ჯიშებად.

ეს ენდემური ჯიშები ხანგრძლივი ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის მეოხებით კარგად შეეგუენენ თავიანთი გავრცელების პირვანდელ რაიონს და მოაღწიეს დღევანდლამდე. მხოლოდ ზოგიერთი ფართო შეგუებითი თვისებების მქონე ჯიშები გაცდნენ თავიანთ

2. დ. ტაბიძე

კ 34.715
306



პირვანდელი გავრცელების რაიონს და ფართოდ ინერგებიან წარ-
მოებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, სადაც გადიოდა აზიის ევროპასთან შემაკავშირებელი საერთო და სავაჭრო გზები, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა საქართველოს და მის მოსაზღვრე ქვეყნების ვენახების ჯიშობრივ შემადგენლობაზე.

ცნობილია, რომ შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთ სანაპირო ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში ჩვენს ერამდე წარმოადგენდა მილეთის კოლონიას, რომლის შემვეგობით ბერძნები ეწეოდნენ ვაჭრობას საქართველოზე გავლით ცენტრალურ აზიასთან და ინდოეთთან. დიოსკურიასში (სოხუმში) სტრაბონის თქმით მის ბაზარზე იკრიბებოდა 70 ენაზე მოლაპარაკე ხალხი, მოჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მათ შორის ყურძენიც, რომლის შესახებ სტრაბონი დიდ ქებას გამოსთქვამს (ციტირებულია ბალასიდან (30)).

მაშასადამე, როგორც შორეულ წარსულში, ისე შემდეგშიაც არსებობდნენ დიდი შესაძლებლობანი ვაზის ჯიშების გაცვლისა, შემოტანისა და გატანის საშუალებით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვაზის მრავალი ჯიშის შემოჰქონდათ საქართველოში, ხოლო უფრო მეტი შესაძლებლობა იყო საქართველოს მეტად მრავალფეროვანი ჯიშებიდან შეერჩიათ და გაეტანათ მეზობელ ქვეყნებში ვაზის უკეთესი ჯიშები. დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშების მსგავსება დასავლეთ-ევროპულ ჯიშებთან ლაპარაკობს ნაწილობრივ უკანასკნელ მოსაზრების სასარგებლოდ. წარმოებულ ჯიშთა გამოცდის მონაცემები, რომლებიც მიღებულია საქართველოს სხვადასხვა ადგილზე (ლონგეილი, ტიებო—იმერეთში, სალ. დადიანი—სამეგრელოში, კრიშ-ტოვიჩი—აჭარაში, მარი—გურიაში, ყოფილი საუფლისწულო დაწესებულება კახეთში და ქართლში და სხვა), ადასტურებენ გარემო პირობებისადმი კარგად შეგუებული ადგილობრივი სტანდარტული ვაზის ჯიშების უპირატესობას უცხოეთის საუკეთესო ვაზის ჯიშებთან შედარებით. თუმცა ზოგიერთი უცხოეთის ვაზის ჯიშებმა საქართველოს ცალკეულ რაიონებში მოგვცეს კარგი შედეგები, მაგალითად, კაბერნე—სოვინიონმა კახეთში (თელიანი, ნაფარეული), ალიგოტემ—ქართლში და დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, შარდონემ იმერეთში (ვაჭევი), სემილონმა (ვარციხეში) და შასლამ, თითქმის ყველა რაიონში.

ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა საქართველოში ფრიად მდიდარია. დაახლოებითი გაანგარიშებით მათი საერთო რაოდენობა 450 სახელწოდებას აღემატება. ნაჩვენები რაოდენობიდან შეგროვილი და ინვენტარიზებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში ვაზის 350 ჯიში. ადგილობრივი ჯიშები შეგროვილია აგრეთვე საქარის საცდელ სადგურში ქ. ზესტაფონში, აფხაზეთის დასაყრდენ პუნქტზე ს. ბომბორაში (ვუდაუთის რაიონი) და მევენახეობის ძირითადი რაიონების დასაყრდენ პუნქტებზე. სულ შეგროვილია 400 ქართული ვაზის ჯიში. ყველა რაიონი მთლიანად არ არის გამოკვლეული და მთელი სიმდიდრე საქართველოს ვაზის ჯიშებისა არ არის გამოვლინებული. ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა შემოჭრის შემდეგ ნაწილი ჯიშებისა, მეტადრე სამეგრელოსი, გურიისა და აფხაზეთისა, დაიღუპნენ, რადგან იმ დროს მათი საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებანი მოსახლეობისათვის არ იყო ცნობილი. დარჩა მხოლოდ მათი სახელები, ზოგი კიდევ გადაარჩენილია ერთეული ძირების სახით და ამჟამად ამრავლებენ საკოლექციო ნაკვეთებზე მათ შესასწავლად და გასავრცელებლად.

ვაზის ადგილობრივი ჯიშების დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს მათ მრავალფეროვნებაში, რაც გამოიხატება მორფოლოგიური და საქურნეო ნიშანთვისებების ფართო ცვალებადობაში, ამან კი საშუალება მისცა მრავალ მკვლევარს ეცნოთ საქართველო კულტურული ვაზის ჯიშთა წარმოშობის ძირითად კერად.

ჯიშობრივი ნიშანთვისებების ცვალებადობის ამპლიტუდის დასახასიათებლად მოვიყვანთ მონაცემებს შემდეგი ძირითადი ნიშანთვისებების შესახებ:

- ა) ფოთლის ქვედა მხრის შებუსუსიანება,
- ბ) მტევნის ზომა, ფორმა და მარცვლის სიდიდე და ფორმა,
- გ) მარცვლის შეფერილობა,
- დ) ჯაშის პირველ მოსავალში შესვლის დრო,
- ე) შედარებითი გამძლეობა ვაზის ავადმყოფობათა და მავნებლების წინააღმდეგ.

ფოთლის ქვედა მხრის შებუსუსის მიხედვით, ვაზის ადგილობრივი ჯიშები იძლევიან თითქმის ყველა სახესხვაობას, დაწყებული სრულიად შეუბუსუსი და ოდნავ შებუსუსი ფოთლიანიდან (სუსტი ჯაგრისებრი ბუსუსი), ვიდრე სქელი, ქეჩისებრად შებუსუსულ ფორმამდე. ამასთანავე, შებუსუსულფოთლიანი ჯიშები მნიშვნელოვნად მე-

ტია (80%), ვიდრე სრულიად შეუბუსავი და ჯაგრისებრად შებუსული ჯიშები—(20%).

ფოთლის ფირფიტის შებუსვიანობის ხასიათით და ინტენსივობით საქართველოს ცალკეული მხარეების ჯიშები ძლიერ განირჩევიან ერთმანეთისაგან. დასავლეთ საქართველოს ჯიშები ძირითადად ქეჩისებრად შებუსული ფოთლებით ხასიათდებიან, აღმოსავლეთ საქართველოში კი უფრო სქარბობს აბლაბუდისებრი შებუსვიანობა და შიშველფოთლიანი ჯიშები, ვიდრე ქეჩისებრ შებუსულები.

მტევნების სიდიდეც მნიშვნელოვნად ცვალებადობს, სახელდობრ, 8 სმ-დან (მხავატელი, კუნძა, კუმისი შავი)—40—50 სმ-მდე (მხარგრძელი, გრძელმტევნიანი). საშუალოდ გრძელმტევნიანი (20 სმ ზევით) ჯიშები შეადგენენ 11%, მოკლემტევნიანები (8—15 სმ) 22%. ჯიშების დიდი უმრავლესობა (67%) ხასიათდება საშუალო ზომის მტევნებით. დასავლეთ საქართველოში ქარბობენ საშუალო ზომის და მოკლე მტევნებიანი ჯიშები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში—საშუალო და გრძელმტევნიანი ჯიშები.

მარცვლის ზომა მერყეობს 1,0-დან 3,0 სანტიმეტრამდე (ოცხანური-საფერე, ხარისთვალა-კოლხური). საერთოდ, უფრო ხშირად გვხვდება საშუალო ზომის მარცვლებიანი ჯიშები. საშუალო მარცვლებიანი ჯიშები (1,5 სმ-დან 2 სმ-მდე) შეადგენენ 77%, მათ მოსდევთ წვრილმარცვლიანი ჯიშები (1,0 სმ-დან 1,5 სმ-მდე) —14% რაოდენობით და ბოლოს მსხვილმარცვლიანი ჯიშები (2 სმ და ზევით) შეადგენენ საშუალოდ 9%. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ქარბობს მსხვილმარცვლიანი ჯიშები. მარცვლის ფორმა ძირითადად მომრგვალოა (71%), ოვალურმარცვლებიანი ჯიშები შეადგენენ 23%, მოგრძომარცვლებიანი—4% და ოდნავ შეზნექილმარცვლიანები—2%.

მარცვლის შეფერილობის მიხედვით ქართული ვაზის ჯიშები საგრძნობლად განსხვავდებიან, დაწყებული მომწვანო-მოყვითალო შეფერილობით, ზოგჯერ ქარვისფერ-მოყვითალო, ვარდისფერ ელფერამდე და მუქ-ლურჯ, თითქმის შავადშეფერილ მარცვლებამდე. იშვიათად გვხვდება აგრეთვე კვამლისფერი (კურკენა) მუქი რუხი (ღრუბელა) და სხვები. მარცვლის შეფერილობით ქარბობენ შავი ჯიშები (56%); თეთრები შეადგენენ (38%) და უკანასკნელნი (ფერადი ჯიშები)—6%.

მოსავალში პირველად შესვლის ვადის მიხედვით ადგილობრივი ვაზის ჯიშები მცირედ მერყეობენ და შედარებით ადრე 3-4 წლი-

დან შედიან მოსავალში. ამ ნიშნით ისინი მკვეთრად განირჩევიან შუა აზიისა და სომხეთის ჯიშებისაგან, რომლებიც პირველ მოსავლიანობაში შედიან დარგვიდან მე-5—7 წელს. პირველ მოსავლიანობაში ადრე შესვლის ნიშანთვისებას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს და იგი ბევრადაა დამოკიდებული კვების პირობებზე. არის შემთხვევები ადგილობრივი ჯიშებისაგან ნაყოფის (ნიშნის) გამოღებისა დარგვის პირველ წელსვე. მდიდარ, ნოყიერ, ტენიან ნიადაგზე ასეთი მაგალითები იშვიათი არ არის. მაღალი აგროტექნიკის შექმნით მნიშვნელოვნად შეიძლება დაჩქარდეს ვაზის უმეტესი ჯიშისათვის სრულ მოსავლიანობაში შესვლის დრო.

მნიშვნელოვან მერყეობას იჩენენ ადგილობრივი ვაზის ჯიშები სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობისა და სრულ სიმწიფეში შესვლის ვადის მიხედვით. ჯიშების დამწიფება იწყება აგვისტოს პირველ ნახევრიდან და გრძელდება დეკემბრის ბოლომდე. სუბტროპიკული ზონის ჯიშები—ოჯალეში, ჩხავერი, ჯანი და სხვები, როგორც წესი, იკრიფებოდა დეკემბრის თვის პირველ ნახევარში. ვაზის დამწიფების დრო (კალენდარული ვადები) ბევრად არის დამოკიდებული რაიონის კლიმატურ პირობებზე, ხოლო ცალკეული ჯგუფების ჯიშების დამწიფების თანმიმდევრობა უფრო ნაკლებ მერყეობს.

ჯიშების ახლანდელი გაადგილება რაიონის კლიმატური პირობების შესაბამისად არ არის დაკავშირებული მათი წარმოშობის ადგილთან. სიმწიფის ყველა პერიოდის ვაზის ჯიშების გავრცელება ხდებოდა კულტურული ვაზის ჯიშების წარმოშობის ძირითად კერიდან. ამ კერიდანვე წარმოებდა ჯიშების გავრცელება და შეგუება გარემო პირობებისადმი; ცალკეული რაიონები არჩევდა მისთვის შესაფერ ჯიშებს. ჩრდილოეთისა და მაღალმთიან რაიონებში მევენახეობა ახლად არის შეტანილი; იქ არ არსებობდნენ პირობები ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოშობისათვის, მაგრამ ამ რაიონებში წარმატებით გამოავლინეს შეტანილი ჯიშებიდან საადრეო გარემო პირობებისადმი კარგად შეგუებული ვაზის ჯიშები. ამ რაიონებში უკეთეს შედეგს უნდა მოველოდეთ ადგილზე ვაზის ნათესების აღზრდის საშუალებით. სამხრეთისა და სუბტროპიკული რაიონების მევენახეობას მოცემული ჰქონდა მაქსიმუმი პირობებისა, რომლებიც საჭიროა ფორმათა წარმოშობის პროცესისათვის და როგორც შედეგი, ჩვენ იქ გვაქვს დიდი ცვალებადობა მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებებისა, მათ რიცხვში დიდი რაოდენობა საადრეო და სიმწიფის ყველა პერიოდის ვაზის ჯიშებისა; მაგრამ ამ

რაიონებში მოსახლეობა არჩევდა ნაგვიანევი სიმწიფის ჯიშებს, გორც, ხშირად, უფრო მეტ მოსავლიანებს და მასთან გრძელი სავეგეტაციო პერიოდის (მაღალ ტემპერატურის დონით) უკეთ გამოყენებულ უფრო მოსავლიან და ხარისხოვან ჯიშებს. ამრიგად, საქართველოს რაიონების კლიმატური პირობების შესაბამისად ვაზის ჯიშები სიმწიფის მიხედვით განლაგებულია შემდეგნაირად: ქართლში, მესხეთში, სამხრეთ-ოსეთში და დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში (ზემო იმერეთი) გავრცელებულია, ძირითადად, საადრეო ჯიშები—სიმწიფის II და III პერიოდებისა; კახეთში, ბორჩალოსა და მარნეულში, რაჭა-ლეჩხუმში—საშუალო სიმწიფის ჯიშები, ძირითადად სიმწიფის III პერიოდისა; იმერეთში გავრცელებულია საგვიანო ჯიშები, ძირითადად სიმწიფის IV პერიოდისა; შავი ზღვისპირეთში: გურიაში, სამეგრელოში, აქარასა და აფხაზეთში მომეტებულად საგვიანო ჯიშები, ძირითადად სიმწიფის IV და V პერიოდებისა. უკანასკნელ რაიონებში (იმერეთში) ნაწილობრივ გავრცელებულია აგრეთვე საადრეო ჯიშები. ე. ვაწაძის მონაცემებით (16) ყურძნის კრეფა იმერეთში სამ ვადაში ხდებოდა. პირველი ჯგუფი ვაზებისა, ეგრეთ წოდებული „სამაქრე“ ჯიშები: ქველოური, ძველშავი, მისა და მაჩანაური, იკრიფებოდა აგვისტოს მეორე ნახევარში და ღვინო იხმარებოდა შენელებული დუდილის მდგომარეობაში მაქრად (აქედან წარმომდგარია მათი საერთო სახელი „სამაქრე“). საწარმოო ჯიშების მეორე ძირითადი ჯგუფი: ციცქა, ცოლიკაური და კრახუნა იკრიფებოდა, ჩვეულებრივ, სექტემბრის მეორე ნახევარში; მესამე ჯგუფი ჯიშებისა: ოცხანური—საფერე, არგვეთული, კამური და სხვები იკრიფებოდა ოქტომბერში, და ზოგჯერ ნოემბრის თვეში (მოკრეფის ვადები ნაჩვენებია ძველი სტილით).

მნიშვნელოვან ცვალებადობას იჩენენ ადგილობრივი ჯიშები აგრეთვე ზამთრის ყინვების, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გამძლეობის მიმართაც. ზამთრის ყინვების მიმართ შედარებით გამძლენი არიან ჯიშები: რქაწითელი, ხარისთვალა კოლხური, ქვიშხური, მაჩანაური, რკო და სხვა. ზოგიერთი მათგანი, მაგ., რქაწითელი, ყინვების მიმართ გამძლეობით არ ჩამოუვარდება მევენახეობის ჩრდილოეთ რაიონის ჯიშებს: რისლინგს, პინოსა და სხვებს. საფერავიც კი, ნაკლებგამძლე ადგილობრივ ჯიშებს შორის, ჯობნის დასავლეთ ევროპისა და შუა აზიის ბევრ ვაზის ჯიშს. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობით (მილდიუ და ოიდიუმი) დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები მკვეთრად გამოირჩევიან სხვა

მხარის ვაზის ჯიშებთან შედარებით მოლდიუს მიმართ უკეთესი გამძლეობით. მათ მიეკუთვნებიან ჯიშები: ბაზალეთური, ცოლიკაური, მგალობლიშვილი, ხარისთვალა კოლხური, ანანურა, ხოლო ჟღია (ოაიდიუმის წინააღმდეგ) და სხვა. უფრო მკვეთრად გამოირჩევიან ჯიშები—ფილოქსერის მიმართ გამძლეობით; მათ ეკუთვნიან ჯიშები: ჩინური, ციცქა, ალექსანდრეული, მწვანე-კახური, რქაწითელი, დონდლაბი, ორბელური და სხვები.

საქართველოს ღვინოების მალაშმა ხარისხმა და ისტორიულად გამომუშავებულმა ღვინის დაყენების წესებმა წინასწარ განსაზღვრეს მევენახეობის ძირითადი მიმართულება საღვინე ვაზის ჯიშების შერჩევით და მათი სამრეწველო განვითარებით. დიდი რაოდენობა საქართველოს ყურძნის ჯიშებისა საღვინე ტიპისაა—საშუალო სიდიდის წვნიანი მარცვლით, უფრო იშვიათად გვხვდება ჯიშები მკვრივი რბილობით. მიუხედავად იმისა, რომ ვაზის ქართული ასორტიმენტი ითვლის მნიშვნელოვანი რაოდენობის (30 ჯიშამდე) საკმაოდ საინტერესო სასუფრე ვაზის ჯიშებს, მაინც ყურძნის სადესერტო მიმართულებამ საქართველოში ვერ ჰპოვა სამრეწველო განვითარება. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ მთელი რიგი საღვინე ჯიშებისა, მაგ., კრახუნა, რქაწითელი, ბუდეშური, მწვანე, ალადასტური, ბუერა და სხვები გარეგნული შეხედულებითა და გემოთი მნიშვნელოვნად სჯობიან საზოგადოდ ცნობილ სასუფრე ჯიშ შასლას და ამიტომ მათ ფართოდ იყენებენ სუფრისათვის და შესაბამისად. მთელი რიგი ნამდვილად სასუფრე ვაზის ჯიშებისა საქართველოში ცნობილი „სათვალისა ყურძნისა“ და „საგობე ყურძნისა“ სახელწოდებით, როგორცაა: თითა (სამი სახესხვაობა), ბუდეშური წითელი, ხარისთვალა (სამი სახესხვაობა), კრახუნა შავი, ჯავახეთურა, კლარჯული და სხვები, მიუხედავად კარგი გემოსი, მშვენიერი გარეგნული შეხედულებისა და მკვრივი კნატუნა ხორცისა, მაინც ვერ მიიღეს სამრეწველო განვითარება, თუმცა გავრცელებულია ყველგან საკარმიდამო ნაკვეთებზე რამდენიმე ძირის რაოდენობით.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მრგვალმარცვლიანი სუფრის ვაზის ჯიშებს შორის გვხვდება გრძელმარცვლიანი ჯიშები ფოთლების სქელი შებუსვითა და მდებრობითი ტიპის ყვავილით, მაგალითად, თითა ნამდვილი. მაშინ, როდესაც შუა აზიის გრძელმარცვლიანი სუფრის ვაზის ჯიშები თითქმის ყველა შეუბუსავფოთლიანებია, უნდა ვიგულისხმოთ კიდევ, რომ ჩვენში, ღვინისა და სუფრის ჯიშებს წარმოშობის საერთო კერა აქვთ.



ამრიგად, სადესერტო ყურინის ძირითად წყაროს საქართველოში წარმოადგენდნენ ვაზის საღვინე ჯიშები. ზამთრის პერიოდში მოსახმარად ყურძენს არჩევენ და იახხავენ ჯაგნებად ჩამოკიდულს. საქართველოს ზოგიერთ რაიონში (გურიასა და სამეგრელოში) ყურძენს ძველად ტოვებდნენ ვაზზე (მაღლარზე) მოუკრეფავს და საჭიროების მიხედვით ჰკრეფდნენ იანვარ-თებერვლის თვის მანძილზე.

გარდა ამისა, საჭიროა რამდენიმე სიტყვით აღინიშნოს, რომ საქართველოში ყველგან ამზადებენ ყურძნის წვენიდან ბადაგს და სხვადასხვა მშვენიერ ტკბილეულს, რომლებიც თითქმის საქართველოს გარეთ არ არის ცნობილი. მათ შორის საჭიროა აღინიშნოს „ფელამუში ანუ თათარა“, ტკბილი კვერი და ჩურჩხელა, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: ყურძნის წვენი და პურის ფქვილისაგან მომზადებულ თათარაში ავლებენ ძაფზე ასხმულ ნივთიერებას ან თხილის მარცვლებს და იღებენ ჩურჩხელას და არა მელვინეობის ნარჩენიდან, როგორც ეს ნაჩვენები აქვს ამერიკელ მეცნიერს განსენს (35) თავის ნაშრომში.

ინტერესს მოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ ყველა ამ სახის ნაწარმთათვის შერჩეული იყო ვაზის შესაფერი ჯიშები, როგორც მაგალითად, „ბადაგი“, „საჩურჩხლე“ და სხვა.

2. ვაზის ჯიშების გაადგილება და დახასიათება

საქართველოს ტერიტორიის ზედაპირის სირთულემ და ამასთან დაკავშირებულმა ჰავისა და ნიადაგის პირობის სხვადასხვაობამ წინასწარ განსაზღვრეს და ხელი შეუწყვეს ჯიშების შესაბამის განლაგებას ცალკეული რაიონების მიხედვით.

აღნიშნული რაიონების მიხედვით მოცემული იქნება ჯიშობრივი შემადგენლობის გაადგილება და დახასიათება.

საქართველო ბუნებრივ-ისტორიული პირობების მიხედვით იყოფა ორ საგრძობლად განსხვავებულ აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად, ხოლო თითოეული მათგანი მთელ რიგ განცალკევებულ, მუდმივ ნახეობის რაიონებად.

ეს რაიონები შემდეგია: ა) აღმოსავლეთ საქართველოში—კახეთი, ქართლი, სამხრეთ ოსეთი, მესხეთი, ბორჩალო—მარნეული. ბ) დასავლეთ საქართველოში—იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, გურია, აჭარა და აფხაზეთი.

1. აღმოსავლეთ საქართველო

1. კ ა ხ ე თ ი

ა) საერთო ცნობები. კახეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან კახეთი მთელ სიგრძეზე შემოფარგლულია მთავარი კავკასიონის ქედით, რომლიდანაც ბორბალოს მთის მახლობლად ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გამოიყოფა (განშტოვდება) კახეთის ანუ ცივ გომბორის ქედი, რომელიც ჰყოფს იორის ველს ალაზნის ველიდან. კახეთის ქედი კახეთს ჰყოფს ორ ნაწილად: შიგა კახეთად, ანუ ალაზნის ველად და გარე-კახეთად, ანუ იორის ველად.

კახეთი მეტად ძვირფასი რაიონია საბჭოთა კავშირის ყველა მეღვინეობის რაიონებს შორის.

კახეთის მევენახეობას მრავალსაუკუნიანი ისტორია აქვს, იგი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს.

ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის სიმდიდრითა და ვენახების ფართობით მას აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ადგილი უკავია.

კახეთის კლიმატური პირობები საესეებით ხელისშემწყობია ხარის-ხოვანი მეღვინეობისათვის. ა. შაცკის მონაცემებით ატმოსფერული ნალექების საერთო რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 600—800 მ. ვეგეტაციური პერიოდის სიგრძე უდრის 210 დღეს, ხოლო ამ პერიოდის საშუალო ტემპერატურა 18,5°. გაზაფხულზე და შემოდგომაზე იშვიათი არ არის სეტყვა, რომელიც ხშირად ამათუ იმ რაიონს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს. ზაფხულის მეორე ნახევარში შესაძლოა ხანგრძლივი გვალვიანი პერიოდები. ზამთარი ზომიერად ცივი, ღრუბლიანი და მცირე თოვლიანია. ვაზისათვის ხანგრძლივი საზიანო (18—20°) ყინვები იშვიათად იცის. საერთოდ, ვაზის კულტურა კახეთში შესაძლებელია ვაზის დაუმარხავად და ძირითადად მოურწყავადაც.

კახეთი ითვლება მეღვინეობის კლასიკურ რაიონად. კახურმა ღვინომ, მეტადრე წითელმა, რომელიც მოყავთ ცივგომბორისა და კავკასიონის მთავარი ქედების ფერდობებზე გაშენებულ ვენახებიდან, თავისი ცოცხალი ინტენსიური შეფერვით, ზომიერი სიმკვრივით, შემადგენელი ნაწილების ჰარმონიით, სრული გემოთი და სასიამოვნო ბუკეტით, ღირსეულად გაუთქვა სახელი კახეთს, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე, ნაწილობრივ, უცხოეთშიაც.

ნიუ-იორკის 1939 წ. მათელი გამოფენაზე და სრულიად საკავშირო სადგესტაციო კომისიის სხდომებზე 1939 და 1940 წლებში საქართველოს (კახეთის) სამარკო ღვინოებმა „ნაფარეული“ № 56 და 47, წინანდალმა № 64 და 45 და თელიანმა № 48, მიიღეს მაღალი შეფასება. იმ ღვინოებმა ცკი, რომლებიც ნაკლებ ცნობილი ადგილიდან იყო დამზადებული, მაგალითად, წითელი ღვინო საბუედან (ალაზნის გაღმა ზოლი), რომელიც ზ. ჯორჯაძემ წარადგინა ბრიუსელის გამოფენაზე 1888 წელს, მიიღო ოქროს დიდი მედალი, როგორც საუკეთესო სუფრის ღვინომ. ასეთივე მაღალი შეფასება მიიღო კურდღელაურის (თელავის რაიონი) წითელმა ღვინომ 1910 წლის გამოფენაზე.

ბ) ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის დახასიათება

კახეთის ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა თავისებურია; მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებების მიხედვით ის მნიშვნელოვნად განირჩევა დასავლეთ საქართველოს ჯიშებიდან. კახური ჯიშების დიდი უმრავლესობა (53,5%) ხასიათდება ფოთლის აბლაბუდისებრი შებუსვით; სრულიად შეუბუსავი და სუსტი ჯაგრისებრად შებუსული ჯიშები 25,8% შეადგენენ, ქეჩისებრი შებუსვით ხასიათდება 5,2% ჯიშებისა, ხოლო, ჯიშები, რომელთაც აქვს სქელი ანუ საშუალო აბლაბუდისებრი შებუსვა შეადგენენ 15,5%.

მტევნების ზომის მიხედვით ჯიშები დანაწილებულია შემდეგნაირად: გრძელმტევნიანები (20 სმ. და მეტი) შეადგენენ 27,7%, მოკლემტევნიანები (12—15 სმ) 6,8%, ხოლო საშუალო ზომის მტევნიანი ჯიშები შეადგენენ 65,5%.

მარცვლების ზომის მიხედვით სკარბობენ საშუალო ზომის ჯიშები (1,5-დან 2,0 სმ.) მსხვილ მარცვლიან ჯიშებთან შედარებით (2 სმ. და მასზე მეტი).

მარცვლის შეფერილობის მიხედვით ჩვენ გვაქვს: 50,4% თეთრი, 32,6% შავი; 10,6% ვარდისფერი და 3,4% ღრუბლისფერი ჯიშები. ჯიშების უმრავლესობას აქვს მომრგვალო ფორმის მარცვალი (50,9%), ოვალური ფორმის მარცვლით ხასიათდება 38,6%; შეზნექილი ფორმის მარცვლით — 7,0% და მოგრძო მარცვლით 3,5%.

ყურძნის სიმწიფის დროის მიხედვით კახური ვაზის ჯიშები ძირითადად მიეკუთვნებიან საშუალო სიმწიფის ჯგუფის ვაზებს, სახელდობრ, პულიას მიხედვით, სიმწიფის III და ნაწილობრივ II პერიოდის ჯიშებს.

კახეთის ვაზის ჯიშების ჯგუფი მნიშვნელოვნად განიარჩევა დასავლეთ საქართველოს ჯიშებისაგან და, როგორც ჩანს, ეს განსხვავებანი შემდგომი წარმოშობისა უნდა იყოს, მას შემდეგ, რაც ქართული ვაზის ჯიშები განშორდნენ ერთმანეთს წარმოშობის საერთო კერიდან.

გ) ჯიშების გაადგილება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ფართობები

ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით კახური ვაზის ჯიშები გაადგილებულია შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 1).


როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ფართობის მიხედვით პირველ ადგილს იჭერენ: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, კაბერნე და ხიხვი; დანარჩენ ჯიშებს კი შედარებით მცირე ფართობი უჭირავთ. ნაკლებად გავრცელებულ ჯიშებს შორის, საჭიროა აღინიშნოს: ბუდეშური, ჩინური, მწვანე ყვითელი, ციცქა, ალიგოტე, დონდლაბი, თავკვერი, ბუერა, გორული მწვანე და სხვა. მცირედ გავრცელებულ ჯიშებს შორის კახეთში აღსანიშნავია: ქისი, საფენა, მცვივანი, მხარგრძელი, ღრუბელა, სიმონასეული, უბაკლური, კუმსი, თეთრი და შავი, ძალიარჭამა, ჟღია, კურკენა, ჭროლა, თავკვერი დიდმარცვლა, თავკვერი პატალანთეული და საფერავისებრი, საფერავი ფაჩხა, წობენურა, ინსტიტუტის გრძელმტევანა, მირზანული, მცვივანი პატალანთეული, ოქროულია, შავთხილა და სხვა. სუფრის ჯიშებიდან გავრცელებულია: ხარისთვალა თეთრი, ხარისთვალა შავი, სურგულა, წითელი ბუდეშური, ყვითელი კუმსი, კახური თითა, ცხენის ძუძუ, მსხვილთვალა თეთრი, ვარდისფერა და სხვა. ვენახების 1947 წ. აღწერის მიხედვით რქაწითელს უკავია 77,3%, საფერავს 15%, მწვანეს 5,3%, კაბერნეს 0,4%, ხიხვს 0,2% და ასე შემდეგ.

დ) ყურძნის გადამუშავება-მოხმარების ძირითადი მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული ჯიშები

კახეთი მეღვინეობის მხრივ იყოფა შემდეგ რაიონებად:

1. ალაზნის მარცხენა მხარე. ეს მხარე პანკისის ხეობიდან ქიზიყამდე საუკეთესო რაიონია სუფრის მაღალი ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების მისაღებად. ამ რაიონში ღვინის მაღალი ღირსებით ცნობილია სოფლები ახმეტა, რუისპირი, იყალთო, წინანდალი, ურიათუბანი, მუკუზანი, ახაშენი, გურჯაანი და სხვა.

რაიონის მთავარი დარგია ძირითადად მაღალხარისხოვანი ევროპული და კახური ტიპის სუფრის წითელი და თეთრი ღვინოების წარმოება.



ჯიშების გაადგილება კახეთის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1940 წლის I/IX-სათვის
ვენახების მთლიანი საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით

ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	რეაქტიული	მწვანე	საფერავი	განჯური	ხივი	ოჯალეში	კაბერნე	ალიგოტე	ჩინური	გორული მწვანე	ციცა და ცოლიკაური	პინო	ალექსანდრული	თავკეცი	პინკაპინ მწვანე	ჩინური	სულ რაიონში
1. გურჯაანის	4,066,58	85,79	628,86	0,18	1,5	—	0,94	0,11	2,21	0,01	0,55	—	—	0,02	0,01	29,31	4,816,07
2. თელავის	2,502,07	536,21	793,41	0,15	5,32	0,78	35,82	0,74	0,07	0,07	0,17	—	0,02	0,42	0,39	74,63	3,949,49
3. სიღნაღის	1,789,77	24,51	90,09	6,79	1,76	0,67	0,84	0,92	—	—	—	0,07	—	0,22	—	15,99	1,931,63
4. ყვარელის	1,182,44	2,28	491,6	—	2,38	—	3,87	—	—	—	—	—	—	—	—	17,68	1,700,85
5. საგარეჯოს	806,31	268,22	362,31	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	0,08	—	90,41	1,527,33
6. ლაგოდეხის	620,54	0,19	13,93	—	—	—	—	—	—	0,05	1,33	0,02	0,02	—	3,82	123,78	768,63
7. წითელწყაროს	425,77	49,97	4,05	1,44	—	—	—	—	—	—	—	0,08	—	0,04	—	13,2	506,52
ს უ ლ	11,393,48	967,27	2,396,72	8,56	10,96	1,45	41,47	1,77	2,28	0,13	2,05	0,17	0,04	0,78	4,22	370,0	15,200,57
	74,962	6,363	15,765	0,62	0,072	0,009	0,270	0,011	0,014	0,001	0,013	0,0013	0,0002	0,006	0,027	2,430	100 %

2. ალაზნის მარცხენა მხარე წარმოადგენს საკმაოდ დიდ შეგნახეობის რაიონს. ამ რაიონში განსაკუთრებით გამოირჩევიან ღვინის მაღალი ღირსებით შემდეგი სოფლები: ართანა, ნაფარეული, საბუე, ენისელი, ყვარელი და სხვა. ამ რაიონში მიიღება აგრეთვე მაღალხარისხოვანი კონიაკები ჯიში რქაწითლიდან (ს. შილდა).

რაიონის ძირითადი დარგია ხარისხოვანი, ალაგ-ალაგ მაღალხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი, ძირითადად ევროპული ტიპის ღვინოების წარმოება.

3. ქიზიყი—ალაზნის მარჯვენა მხრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილია, იგი მეტად საინტერესო რაიონია ძირითადად მაღალხარისხოვანი კახური ტიპის ღვინის და აგრეთვე მაგარი და სანდესერტო ტიპის ხარისხოვანი ღვინოების მისაღებად. ამ რაიონში ღვინის მაღალი ღირსებით გამოირჩევიან: კარდანახი, ანაგა, ტიბაანი, ვაქირი, ძველი ანაგა და სხვა სოფლები.

4. გარე კახეთი (ივრის ხეობა)—ხარისხოვანი სუფრის ღვინოების რაიონია. ზოგან—ამ რაიონში მაღალხარისხოვანი თეთრი ღვინოებიც დგება. ამ რაიონში ღვინის მაღალი ღირსებით გამოირჩევიან: სავარეჯო, კაკაბეთი, მანავი, ხაშმი და სხვა სოფლები.

საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ივრის ხეობაში (კაჭრეთის რაიონი) და კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში—თელავ-ახმეტის ზოლზე მთის ფერდობების კარბონატულ-ნეომოპალიან ნიადაგებზე შეიძლება დამზადდეს ხარისხოვანი მასალა საბჭოთა შამპანურისათვის.

ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულების შესაბამისად კახეთის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია შემდეგი ჯიშები:

ა) მაღალხარისხოვანი ევროპული და კახური ტიპის სუფრის ღვინოებისათვის: მწვანე, რქაწითელი, ხიხვი, საფერავი და კაბერნე-აღნიშნული მიმართულებისათვის პერსპექტულია შემდეგი ჯიშები: ქისი, ინსტიტუტის გრძელმტევანა, ჩიტისთვალა და სიმონასელი.

ბ) მაგარი და სანდესერტო ღვინოების წარმოებისათვის: ხიხვი, რქაწითელი, საფერავი, მუსკატი თეთრი და ჩიტისთვალა.

გ) საკონიაკედ და ყურძნის წვენისათვის პერსპექტულია ჯიშები: რქაწითელი, ქლია, უბაკლური, კუმსი, თეთრი ფოლ-ბლანში და სხვა.

დ) სამრეწველო ცენტრების და კურორტების, სადესერტო ყურძნის მომარაგებისა და ადგილზე ახლადმოწყვეტილი ყურძნის მოხმარების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი ჯიშები: თითა, ხარისთვალა, ბუდეშური წითელი, სირგულა და სხვ. უცხოეთის ჯიშებიდან: ხალილი, შასლა, მუსკატი ჰამბურგისა და განჯური.

2. ქართლი და სამხრეთ ოსეთი

ა. საერთო ცნობები

ქართლი იმყოფება საქართველოს შუაგულში. ჩრდილოეთით შემოფარგლულია კავკასიონის მთავარი ქედით, დასავლეთით ზესხეთის, ანუ ქართლ-იმერეთის (სურამის) ქედით, სამხრეთით თრიალეთის მთებით. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მთიან ზონებს შორის ქართლში მოთავსებულია გორისა და მუხრანის ვაკე; პირველი—750 მ. სიმაღლეზე ზღვის დონედან და მეორე — 560 მ. სიმაღლეზე. მუხრანის ვაკის გაგრძელებას, არავის იქით, წარმოადგენს საგურამოს ვაკე, რომელიც ვრცელდება თითქმის თბილისამდე.

აღმოსავლეთ საქართველოში ვენახების ფართობის სიდიდით ქართლს უკავია მეორე ადგილი. მევენახეობის საუკეთესო რაიონებად ქართლში ითვლებიან მისი ცენტრალური რაიონები: გორის, მცხეთის, კასპის, თბილისისა და დუშეთის ადმინისტრაციული რაიონის სამხრეთ ნაწილი, ხოლო ქართლის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი, სახელდობრ, დუშეთის ადმინისტრაციული რაიონის ჩრდილო ნაწილი, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი და აგრეთვე ბორჯომის, ქარელისა და ხაშურის ადმინისტრაციული რაიონები, ადგილობრივი ჯიშებიდან, წინა რაიონებთან შედარებით, ნაკლებ ღირებულების რაიონებს წარმოადგენენ სუფრის მეღვინეობისათვის.

ქართლის ეკოლოგიური პირობები, მის ცენტრალურ ნაწილში, შაკვის მიხედვით საკმაოდ ხელშემწყობია მევენახეობის განვითარებისათვის, განსაკუთრებით ბუნებრივად დაცულ მტკვრის ხეობებსა და ველებში. ნალექების რაოდენობა თითქმის საკმარისად ჩაითვლება მევენახეობის მოურწყავად წარმოებისათვის, რომ ამ რაიონში არ იცოდეს ხშირი და ძლიერი ქარები, რაც ნიადაგის მნიშვნელოვან გამოშრობას იწვევს. მევენახეობის განსაზღვრულ ფარგლებში ჩაყენებას იწვევს ტემპერატურის ჯამის ნაკლებობა ვეგეტაციის პერიოდში. ამის გამო საგვიანო ჯიშები აქ ვერ ასწრებენ მომწიფებას.

საერთოდ, ქართლის ვენახები მეტწილად სარწყავია და ცენტრალურ ნაწილში დაუმარხავია, თუმცა ვენახების საზამთროდ დამარხვა ნიწაში მიზანშეწონილია, რათა გადავარჩინოთ ისინი თუმცა იშვიათი, მაგრამ მაინც დიდი ყინვებისაგან. სეტყვა მოდის უფრო ხშირად V და VI თვეებში და იშვიათად VIII და IX, მხოლოდ სიხშირე და სიძლიერე სეტყვისა ქართლში მნიშვნელოვნად უფრო სუსტია, ვიდრე კახეთში.

ქართლის ღვინოები—მუხრანის, ატენისა და სხვა სოფლების, ისტორიულად ცნობილი იყო. უკეთესი ღვინოები დგება ქსნისა და მეჯუღის ხეობაში. სრულიად რუსეთის გამოფენაზე ქ. მოსკოვში 1890 წელს, ქართლის ღვინოებმა: დილომი № 8, წმ. გიორგი № 9, მწვანე № 10 მუხრანიდან, რომლებიც წარადგინა კ. ბაგრატიონ მუხრანელმა, მიიღო უმაღლესი საიმპერიო ჯილდო, ხოლო პარიზის გამოფენაზე ოქროს ერთი დიდი და ორი ვერცხლის მედალი.

ოთხმოციან წლებში, ბაგრატიონის მამულში (მუხრანში) ამზადებდნენ ადგილობრივი ჯიშებიდან ორი მარკის შამპანურს: ა) მშრალსა და ბ) ნახევრადმშრალს (44).

ბ. ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის დახასიათება

ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობით ქართლი ახლო დგას კახეთთან. მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებების მიხედვით ქართლის ვაზის ჯიშები უფრო უახლოვდება კახეთისას, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებს.

ფოთლის ფირფიტის შებუსვით ქართლში სჭარბობს შიშველფოთლიანი და ჯაგრისებრ შებუსულფოთლიანი ჯიშები, ვიდრე აბლაბუდისებრ შებუსული ჯიშები, ხოლო უკანასკნელნი სჭარბობენ ქეჩისებრად შებუსულფოთლიან ჯიშებს. პროცენტულად მათი შეფარდება შემდეგი იქნება: შიშველფოთლიანები და ჯაგრისებრ შებუსულები შეადგენენ 46,4%, აბლაბუდისებრ შებუსულები—32,2%, ქეჩისებრად შებუსულები—21,4%.

მარცვლის შეფერვის მიხედვით თეთრი ჯიშები შეადგენენ 46,4%, შავები—32,2% ვარდისფრები—14,3%, ღრუბელისფერები—7,1%. ძირითადი მასა ჯიშებისა (56,6%) მომრგვალო მარცვლიანია, მათ მოსდევთ ჯიშები ოვალური ფორმის მარცვლით (28,5%), შეზნექილ-მარცვლიანები შეადგენენ 14,3%, ხოლო მოგრძო მარცვლიანები 3,6%.

მტევნების ზომის მიხედვით სჭარბობენ საშუალომტევნიანი ჯიშები (16-20 სმ), რომლებიც შეადგენენ 53,6%, პატარამტევნიანი

(10-15 სმ) ჯიშები 46,4% შეადგენენ. მარცვლის ზომა ძირითადად საშუალოა. ყურძნის სიმწიფის პერიოდის მიხედვით ქართლის ჯიშები ნაკლებად განსხვავდებიან. დიდი რაოდენობა ამ ჯიშებისა სიმწიფის II პერიოდისაა, ნაწილობრივ გვხვდება სიმწიფის III პერიოდის ჯიშებიც, რომლებიც ყველა რაიონში არ არის გავრცელებული და ყველგან მთლიანად არც მწიფდება. ქართლში ძირითადად ვხვდებით საადრეო ვაზის ჯიშებს; საგვიანო ვაზის ჯიშები აქ არ არის გავრცელებული, რადგან ისინი ქართლის პირობებში სრულ სიმწიფეს ვერ აღწევენ. ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია: ჩინური, ჯვარი, ქყაპა, ქიშური, ანდრეულა, ბუზა და სხვები, რომლებიც ქართლის გარდა თითქმის არსად არ არიან გავრცელებულნი. უცხო რაიონის ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია ჯიში ალიგოტე (მუხრანული), რომელმაც ქართლში მეორე საშობლო იპოვნა და იძლევა მაღალი ხარისხის უხვ მოსავალს. კარგ შედეგებს იძლევა აგრეთვე პინო ფრანი—ძირითადად შამპანური წარმოებისათვის.

გ) ჯიშების გაადგილება აღმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ფართობი

ქართლის ვაზის ჯიშები, ვენახების 1940 წლის საკავშირო აღწერის მასალების თანახმად, გაადგილებულია აღმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად: (იხ. ცხრ. 2). როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველი ადგილი ფართობის მიხედვით უჭირავს ჩინურს, რქაწითელს, შემდეგ გორული მწვანეს, მათ მოსდევთ ჯიშები ალიგოტე, საფერავი, ძელშავი, პინო ფრანი, მწვანე, თავკვერი, ბუერა, პინო ბლანი, კაბერნე და სხვები.

მნიშვნელოვანი ფართობი რაიონში უკავიათ პირდაპირ მწარმოებელ ჰიბრიდებს. ქართლში ნაკლებ გავრცელებული ვაზის ჯიშები მოყვანილია სვეტში, „დანარჩენი ჯიშები“ მთლიანი ფართობის აღნიშნით. მათ შორის უფრო მეტად გავრცელებულია: ქყაპა, ბუზა, კაპიტა, ქიშური, შავკაპიტო, ფართალა, ანდრეულა, დანახარული, ღრუბელა, ქროლა, ჯვარი, ბუდეშური, მწვანე ავრეხი და სხვ., სუფრის ჯიშებიდან—საბატონო, თითა ქართლისა, ანდრეული წითელი, გორულა, მსხვილთვალა და სხვ.

ქართლის მევენახეობის რაიონების გამოკვლევის დროს 1933—1934 წლებში ყველაზე გავრცელებულ ჯიშებს შორის იყვნენ: ჩინური და გორულა მწვანე, რომლებიც თითქმის ყველგან იყვნენ გავრცელებულნი. ძირითადი მასივები ამ ჯიშებისა განლაგებული იყო გორის,

მცხეთისა და კასპის რაიონებში. შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული ჯიშები: ბუდეშური, თავკვერი, ჭყაპა და მეჯვრისხევის საფერავი. კახური ჯიშები რქაწითელი და საფერავი გავრცელებული იყვნენ ძირითადად თბილისის რაიონში, მის მოსაზღვრე გარე კახეთის სოფლებში და მცხეთის რაიონში. უკანასკნელ რაიონში გავრცელებულია აგრეთვე ჯიშები ალიგოტე, რისლინგი, პინო ფრანი და პინო ბლანი სუფთა ნარგავებად მუხრანის საბჭოთა მამულში და ალაიანში, ხოლო მცირე რაოდენობით ეს ჯაშები გავრცელებულია აგრეთვე საკოლმეურნეო ვენახებში ნარევის სახით. პირდაპირ მწარმოებელი ჰიბრიდები მნიშვნელოვანი რაოდენობით გავრცელებულია ქართლის დასავლეთ რაიონებში: ხაშურისა და ნაწილობრივ გორში. უკანასკნელი 1947 წლის აგვისტოს აღწერის მასალების მიხედვით ყველაზე დიდი ფართობი ჩინურსა და რქაწითელს უჭირავთ (120 ჰა.) მათ მისდევენ გორული მწვანე, ალიგოტე, ჭყაპა, საფერავი, ძელშავი, თავკვერი, პინო ფრანი, ასურეთული, ბუდეშური, რკო, საფერავი ქართლის, შარდონე, ფართალა, შავკაპიტო, გორულა, ანდრეულა, რისლინგი, დანახარული, თითა, ქიშური და სხვები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1947 წ. აღწერის მასალების მიხედვით ყველაზე დიდი ფართობი გორულა მწვანეს და შავკაპიტოს უჭირავს, მათ მისდევენ ჯიშები: ჩინური, ბუდეშური, თავკვერი, საფერავი, რქაწითელი, ჭყაპა, ძელშავი, რკო, ალიგოტე და სხვები.

დ. ყურძნის მოხმარება-გადამუშავების მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული ჯიშები

ქართლის მევენახეობა-მეღვინეობის საუკეთესო რაიონებად ითვლება:

1. ქსნისა და არაგვის ხეობანი, რომლებიც შედიან მცხეთის ადმინისტრაციულ რაიონში. ქსნის ხეობაში ღვინის მაღალი ხარისხით ცნობილია შემდეგი სოფლები: მუხრანი, ვაზიანი, (დამპალო), ქსოვრისი, ოძისი და სხვა. არაგვის ხეობაში—სოფლები: საგურამო, წინამძღვარიანთკარი, ჭოპორტა და სხვ.

რაიონის ძირითადი დარგია: საბჭოთა შამპანურისა და ხარისხოვანი სუფრის, ძირითადად, ევროპული ტიპის თეთრი ღვინოების წარმოება.

2. ლეხურისა და თეძამის ხეობანი, რომლებიც შედიან კასპის ადმინისტრაციულ რაიონში. ლეხურის ხეობაში ღვინის ხარისხით

ვაზის ჯიშების გადვილება ქართლის ადმინისტრაციული
საკავშირო აღწერის

ქართლის ადმინისტრაციული რაიონები	მანძრი	ტაჭიშვილი	გორალი მწყემ	ალფოტაძე	ხავერაი	ტელშავე	პინოტრანი	შქაძე	თავაძე
1. გორის	306,33	0,42	325,42	57,18	4,27	—	19,60	1,97	15,07
2. ყაზის	527,63	168,57	131,71	90,88	21,6	0,57	21,21	2,73	5,57
3. მცხეთის	51,53	252,68	19,86	125,64	45,41	—	41,48	4,24	2,61
4. ხაშურის	—	—	18,46	0,48	—	59,31	—	36,75	—
5. ქარელის	0,02	0,44	22,03	0,03	1,43	20,24	—	1,19	0,09
6. თბილისის	6,56	132,16	22,96	5,01	40,54	1,99	15,85	12,06	3,56
7. თეთრიწყაროს	—	100,44	0,18	—	6,44	0,05	—	0,05	15,38
8. დუშეთის	0,71	68,98	74,19	0,24	16,29	—	—	0,41	0,37
9. ბორჯომის	—	—	—	—	—	—	—	—	—
10. თიანეთის	—	0,01	—	0,01	—	—	0,01	0,01	—
სულ	892,78	728,50	611,76	278,98	135,98	122,16	98,15	59,41	42,65
% საერთო ფართობის მიმართ	13,125	10,611	8,964	4,101	1,999	1,797	1,443	0,888	0,642

რაიონების მიხედვით 1940 წ. I/IX-სათვის ვენახების 1940
მასალების მიხედვით



ბურჯა	ბინო კოფორი	კახტან	ხიხვი	სურის ჯიშები	აქურ-თული	მეგრული ჯიშები	პირდაპირ წვანაფ-ბელი ჰიბრიდები	სვადახვა ჯიშ	სულ
—	0,97	—	—	0,01	—	—	1,085,31	409,97	2,226,5
—	2,52	—	—	0,02	—	0,1	179,18	192,48	1,344,07
1,34	26,13	1,62	—	—	—	—	16,02	500,85	1,089,41
—	—	—	—	—	—	—	525,77	39,84	715,59
—	0,01	—	—	—	—	0,35	504,96	2,72	553,51
0,08	0,03	0,07	0,23	13,08	—	3,53	0,46	84,47	342,64
30,74	—	—	—	—	7,22	—	—	141,67	302,12
—	—	—	—	0,01	—	0,02	1,18	34,35	196,75
—	—	—	—	12,53	—	—	16,3	2,08	30,91
—	—	—	—	—	—	—	—	0,28	0,32
32,16	29,66	1,69	0,23	25,65	7,22	4,00	2,329,18	1408,71	6,801,89
0,472	0,435	0,024	0,008	0,376	0,106	0,059	34,243	20,713	100%



ვაზის ჯიშების გაადგილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1940 წ. 1/IX-სათვის ვენახების 1940 წლის საკავშირო აღწერის თანახმად ცხრილი. 2

რაიონების დასახელება	გორული მწვანე	რკაწითელი	თაგვერი	საფერავი	ალეგოტე	პინო ფრანი	ალექსანდრული	ძველშავი	იხაბელა	პირდაპირ მწარმოებელი ჰიბრიდები	დანარჩენი ჯიშები	სულ
1. სტალინირის	51,50	—	—	4,18	—	—	0,31	—	0,01	140,5	48,52	245,02
2. ზნაურის	—	3,3	—	—	0,43	0,42	—	0,29	—	202,62	9,26	216,37
3. ლენინგორის	53,19	5,23	5,68	0,09	1,64	—	—	—	—	1,54	26,28	93,65
4. ჯავის	—	—	—	—	0,01	—	—	—	—	1,01	0,07	1,09
სულ	104,69	8,53	5,68	4,27	2,13	0,42	0,31	0,29	0,01	345,67	84,13	556,13
% საერთო ფართობის მიმართ	18,824	1,534	1,021	0,768	0,332	0,076	0,056	0,052	0,002	62,156	15,128	100%

გამორჩევა სოფლები: კასპი, ალაიანი, სამთავისი, ოკამი და სხვები, ხოლო თეძამის ხეობაში—მეტეხი, ჩოჩეთი, წითელი ქალაქი, ერთა-წმინდა და სხვები.

რაიონის წამყვანი დარგია: საბჭოთა შამპანურისა და ხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება.

3. ატენისა და მეჯუღის ხეობანი, რომლებიც გორის რაიონში შედიან. პირველში, ე. ი. ატენის ხეობაში, ღვინის მაღალი ღირსებით ცნობილია სოფლები: ხიდისთავი, დიდი და პატარა ატენი, გარდატენი, ჯებირი, დეგეულა და სხვები, ხოლო მეჯუღას ხეობაში: მეჯვრისხევი, ხელთუბანი, ზერტი და სხვები.

რაიონში უმთავრესად მისდევენ—პირველში თავისებური სუფრის ღვინის (ატენურის) და შამპანურის, ხოლო მეორეში—სუფრის ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების წარმოებას.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ძირითადი დარგია ორდინალური, ზოგან ხარისხოვანი, მსუბუქი სუფრის ღვინოების წარმოება.

ამ რაიონში აგრეთვე დიდი პერსპექტივებია შამპანურის წარმოების განვითარებისათვის.

5. თბილისის რაიონი ძირითადად, თბილისის მიდამოებითა და მის ახლო მდებარე სოფლებით. რაიონის ძირითადი დარგია: სუფრის ყურძნის წარმოება მოსახლეობის ახლადმოწყვეტილი ყურძნით მომარაგების მიზნით.

აღნიშნულ მიმართულებათა შესაბამისად ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის სტანდარტულ ასორტიმენტში გათვალისწინებულია შემდეგი ჯიშები:

ა) საბჭოთა შამპანურის წარმოებისათვის: პინო ფრანი, ალიგოტე, ჩინური, გორული მწვანე. აღნიშნული მიმართულებისათვის პერსპექტულია ჯიში რისლინგი და შარდონე.

ბ) ხარისხოვანი სუფრის ღვინოებისათვის: გორული მწვანე, ჩინური, ალიგოტე, თავკვერი, რქაწითელი და საფერავი, პერსპექტულ ჯიშებად მიჩნეულია: ჩიტისთვალა, მეჯვრისხევის საფერავი, შავკაპიტო და კაბერნე.

გ) სასუფრე (სადესერტო) ყურძნის წარმოებისათვის კი: შასლა, გორულა (გლდანურა), ბუღეშური, ქართლის თითა, რქაწითელი, ხალილი, მუსკატი და განჯური.

დ) ყურძნის წვენიისა და კონიაკის მასალისათვის პერსპექტულია ჯიშები: ჭყაპა, ფართალა და ძელშავი.

3. ჰვემო ქართლი (ბოლნის-მარნეულის რაიონი)

ა. საერთო ცნობები

ბოლნის-მარნეულის რაიონი, ანუ ჰვემო ქართლი, მდებარეობს ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება თრიალეთის ქედის ფერდობები, დასავლეთით—კეჩუთის მთა, სამხრეთით—მცირე კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით კი იორის ხეობა.

რაიონის ვენახები უმთავრესად მდინარე ქციას (ხრამის) დინების შუა და ბოლო ნაწილში და მისი შენაკადების—მაშაგერასა და ალგეთის ნაპირებზეა განლაგებული.

ვენახების მთლიანი ფართობების მიხედვით რაიონს აღმოსავლეთ საქართველოში მესამე, ხოლო რესპუბლიკაში, მეხუთე ადგილი უკავია. ადგილმდებარეობის რელიეფი მთაგორიანია და მდინარეთა დაღმა დინებისას გადადის ვაკეზე, რომელიც ცნობილია ბორჩალოს დაბლობის სახელწოდებით; რაიონის ნიადაგები ძლიერ ნაყოფიერია და ვენახები ნორმალური მორწყვის პირობებში იძლევა უხვ მოსავალს.

მდინარე ხრამის აუზი ა. შაცკის მიხედვით, შეიძლება გაიყოს ორ ძირითად ზონად: პირველი ველის დაბლობი და მთაგორაკების ფერდობების ჰაზა 0,8—1,0 კილომეტრის სიმაღლემდე ზღვის დონედან (ბოლნისის რაიონი) გვალვიანია, ცხელი ზაფხულით და ზომიერად გრილი ზამთრით. მეორე ზონას ეკუთვნის უფრო მაღლა მდებარე ველები, პლატო და მთის ფერდობები, რომლებიც საკმაოდ ან ჭარბად ტენიანია; იგი ხასიათდება უფრო გრილი ზაფხულით და ცივი ზამთრით.

ვეგეტაციური პერიოდის ხანგრძლიობა, გაზაფხულზე ზრდის დაწყებიდან მის დამთავრებამდე შემოდგომით, პირველი ზონისათვის (ბოლნისი) უდრის 205 დღეს.

ნალექების სიმცირე ბოლნის-მარნეულის მევენახეობის რაიონში იწვევს ვენახების რწყვის აუცილებლობას. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი ჩვეულებრივ მაღალია. სეტყვა იშვიათი და ნაკლებ ინტენსიურია, ვიდრე კახეთში.

ნალექების რაოდენობა არ არის საკმარისი და ვენახებს, როგორც წესი, რწყავენ.

ჰვემო ქართლის ღვინოები, მეტადრე თეთრები, თავიანთი ხარისხით უახლოვდებიან კახურ ღვინოებს. წარსულში დიდი სახელი

ჰქონდა მოხვეჭილი რქაწითლის თეთრ ღვინოს; ეს ღვინო შულავერში მზადდებოდა „სამეფო ბალიდან“, რომელიც ძველად ქართველ მეფეებს ეკუთვნოდა.

ბ. ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის დახასიათება

ქვემო ქართლის გენახებში საკმაოდ მრავალი სახის ჯიშია გავრცელებული. ძირითადად აქ ვხვდებით ქართლისა და კახეთის ჯიშებს. ხოლო იშვიათად კი—მეზობელი რესპუბლიკებიდან შემოტანილ და დასავლეთ ევროპულ ჯიშებს. ჯიშების უმეტესობამ მიიღო ახალი სახელწოდებანი—სინონიმები, რაც ნაწილობრივ ართულებს საერთო მასიდან გამოყოფას, ადგილობრივი ყურძნის ჯიშებისა, რომელთა რაოდენობა ოცამდე აღწევს. ადგილობრივი ჯიშები, ზოგიერთების გამოკლებით (ასურეთული, ღარიბა და სხვა.) საკმაოდ ვერ გავრცელდნენ და გვხვდებიან აღნიშნულ რაიონში პატარა ნაკვეთების სახით, ან შერეულად ძირითად ჯიშებს შორის.

მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნების მიხედვით ქვემო ქართლის ჯიშები ერთგვარი არ არიან და უფრო ხშირად უახლოვდებიან ქართლისა და კახეთის ვაზის ჯიშებს. ფოთლის ქვედა მხარის შებუსვის მიხედვით ქარბობენ შიშველფოთლიანი ჯიშები, რომლებიც შეადგენენ 50%, ხოლო აბლაბუდისებრად შებუსული ჯიშები 40%; დანარჩენ 10% შეადგენენ ქეჩისებრ შებუსული ფოთლიანი ჯიშები.

მარცვლების შეფერილობა შემდეგია: თეთრმარცვლიანები შეადგენენ 50%, შავმარცვლიანები-35%, ვარდისფერები-15%. მარცვლების ფორმა ძირითადად მომრგვალოა (80%), ოვალური მარცვლები შეადგენენ 20%.

მტენებისა და მარცვლების ზომა ძირითადად საშუალოა, მოკლემტენებიანი ჯიშები შეადგენენ 20%.

გ. ჯიშების გაადგილება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ფართობები

ქვემო მოყვანილი ცხრილი № 3 გვაცნობს ვაზის ჯიშების გაადგილებას ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, პირველი ადგილი ფართობის მიხედვით უჭირავს რქაწითელს. მას მოსდევს ბუერა, თავკვერი, საფერავი, განჯური, ალიგოტე, რუნდვაისი, ცოლიკოური. დანარჩენ ჯიშებს—შარდონეს, გორულ მწვანეს და სხვ. უკავია უმნიშვნელო ფართობი.

ამ ცხრილში ნაჩვენებია ჯიშების გარდა რაიონში გავრცელებულია უმნიშვნელო ფართობებზე ან შერეულად ძირითად ჯიშებთან ერთად, შემდეგი ჯიშები: არაყისი, შავი ყურძენი, ღვინის თეთრი, ღარიბა, განახარული, შაბა, კანაკენი, თავკვერი დიდმარცვალა, ჭყაპი, ბუდეშური, მწვანე, თავკვერი, ხიხვი და სხვ. მათი საერთო ფართობი ნაჩვენებია სვეტში—„დანარჩენი ჯიშები“. აღნიშნულ ჯიშებს შორის ზოგიერთი მათგანი ყურადღებას იპყრობს, როგორც ხარისხოვანი ვაზის ჯიშში.

1947 წლის ვენახების მთლიანი აღწერის უფრო ზუსტი მასალების მიხედვით, ყველაზე დიდი ფართობი რაიონში უჭირავს რქაწითელს (125 ჰა.), მას მისდევენ—ბუერა, თავკვერი, ასურეთული შავი, საფერავი, განჯური, ალიგოტე, ალექსანდრიის მუსკატი, შასლა, გორული მწვანე, ბუდეშური, ცოლიკაური, მწვანე, არამონი, ღვინის მუსკატი, პორტუგეზური, თითა შავი (სააბი), გამე, გორულა და სხვები.

ღ) ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული ჯიშები

მეღვინეობის თვალსაზრისით ქვემო ქართლი შეიძლება გაიყოს ორ ძირითად რაიონად:

ა) შაუმიანის (შულავერი) რაიონი. ამ რაიონის ვენახების ძირითადი ფართობები მოთავსებულია ს. შაუმიანში, ყულარში, ვიურ—არხში და მათ მახლობლად მდებარე სოფლებში.

რაიონის ძირითადი მიმართულება: ორდინალური, ალაგ-ალაგ ხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების, აგრეთვე საკონიაკე მასალისა და სუფრის (სადესერტო) ყურძნის წარმოება, როგორც ადგილობრივ სახმარებლად, ისე სამრეწველო ცენტრების მოსამარაგებლად.

ბ) ბოლნისის რაიონი. ამ რაიონის ვენახები განლაგებულია შემდეგ სოფლებში: ბოლნისი, ხატის-სოფელი, რატევანი, ბოლნის-ხაჩინი, ბოლნის-ყაფანახჩი და სხვ. ვენახები განლაგებულია მდინარე მაშავერის ნაპირას და მის შენაკადებზე, რის გამო ადვილია მათი მორწყვა.

რაიონის ძირითადი მიმართულება: ორდინალური, ზოგან ხარისხოვანი სუფრის ღვინოების, საკონიაკე მასალისა და სუფრის ყურძნის წარმოება.

ნაჩვენებ მიმართულებათა შესაბამისად ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში გათვალისწინებულია:



ვაზის ჯიშების გაადგოლება ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1940 წლის 1/IX სათვის ვენახების 1940 წლის საკავშირო აკვირის მასალების თანახმად

ცხრილი 3

რაიონების დასახელება	ილია აქაძე	ბუჩუკა	თაყაიშვილი	საფინავე	გაბუაძე	ალიგოტი	რუნდუაძე	კოლი- კოჭი	გორაკი მწვენი	შარდლი	უსახლო- ური	იზაბელა	ხიხი	მწვენი	ალექსან- დრო	ძეგლი	დავითა ჯიშები	სულ
ბოლნისის	1,181,95	157,38	135,46	31,8	0,04	—	0,9	—	0,1	1,63	1,45	—	—	0,1	—	0,1	210,2	1721,11
მარნეულის	389,08	1,58	4,27	14,26	16,29	10,81	0,72	3,88	—	—	0,59	0,25	—	0,14	—	—	60,63	502,5
გარდაბანის	98,99	4,05	20,56	0,99	9,46	—	8,22	—	2,37	—	—	0,05	—	0,13	0,03	—	35,39	180,24
სულ . . .	1,670,02	163,01	160,29	47,05	25,79	10,81	9,84	3,38	2,47	1,63	1,45	0,64	0,25	0,23	0,17	0,1	306,22	2,408,85
მ/ო საერთო ფართობის მიმართ . . .	69,473	6,781	6,669	1,958	1,072	0,45	0,41	0,162	0,103	0,068	0,06	0,025	0,01	0,001	0,007	0,04	12,738	100 %

ა) ხარისხოვანი სუფრის ღვინოებისათვის, ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, ასურეთული შავი, თავკვერი. ამ მიმართულებისათვის პერსპექტულია შემდეგი ჯიშები: ალიგოტე, ჩინური და გორული მწვანე.

ბ) საკონიაკე მასალისათვის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, თავკვერი, ბუერა და ფოლბლიანში. პერსპექტულია აღნიშნული მიმართულებისათვის: ჭყაპა, ბუდეშური და სხვა.

გ) სადესერტო ყურძნისათვის: განჯური, რქაწითელი, ალექსანდრიის მუსკატი და შასლა. ამ მიმართულებისათვის პერსპექტულია: ხალილი, თითა შავი (სააბი), ვერმენტინო და ყარაბურნუ.

აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონს შორის ქვემო ქართლის რაიონი თავისი ჰავისა და ნიადაგის პირობებით ჰქმნის ფრიად ხელსაყრელ პირობებს სუფრის ყურძნის (სადესერტო) ჯიშების განვითარებისათვის. პროდუქციის კარგი ხარისხი (გიაურ-არხის მუსკატები, თავრიზი), სიახლოვე სამრეწველო ცენტრებთან და კარგი სატრანსპორტო საშუალებანი იძლევიან დიდ შესაძლებლობას სადესერტო (სუფრის) ჯიშების ფართო სამრეწველო განვითარებისათვის როგორც ადგილზე სახმარად, ისე თბილისის მოსახლეობის ახლად-მოწყვეტილი ყურძნით მომარაგების მიზნით.

4. მ ე ს ხ ე თ ი

ა) საერთო ცნობები

მესხეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; იგი ყოველმხრივ შემოფარგლულია მაღალი მთაგრებილებით. აღმოსავლეთით, მტკვრის ხეობის გასწვრივ, მესხეთი ესაზღვრება ქართლს, თრიალეთის მთების გასწვრივ—ჯავახეთს, რომელთანაც იგი მტკვრის ვიწრო ხეობითაა დაკავშირებული. დასავლეთით მას აკრავს აჭარა, რომლისგანაც ისაზღვრება გურია-აჭარისა და არსიანის მთებით და უერთდება მას გოდერძის უღელტეხილით. ჩრდილოეთით მესხეთი ქართლ-იმერეთის ანუ მესხეთის ქედით ესაზღვრება იმერეთს და უერთდება მას ზეკარის უღელტეხილით. სამხრეთით მესხეთი მცირე კავკასიონის ქედების გასწვრივ ესაზღვრება ოსმალეთს. ძველად ამ ქედებს გადაღმა იყო საქართველოს მიწა-წყალი, რომელსაც მესხეთი უერთდება მდინარე მტკვრისა და ფოცხოვის ხეობებით.

თანამედროვე მესხეთში შედის სამი ადმინისტრაციული რაიონი. პირველი მათგანი, ადიგენის რაიონი, მდებარეობს მასხეთის დასავლეთ ნაწილში, მეორე—ახალციხის რაიონი—მესხეთის შუაში, ხოლო

მესამე—ასპინძის რაიონი მდებარეობს მესხეთის აღმოსავლეთ ნაწილში. მესხეთის ტერიტორიის მთავარიანი აგებულების გამო მისი ზედაპირი ტალღისებრია, დასერილია ხეობებით და დაფარულია მცირე მთებითა და გორაკებით, რომლებიც ქმნიან ყველა მიმართულების ფერდობს სხვადასხვა დაქანებით.

მესხეთის მხარე შედგება სამი მთავარი ხეობისაგან: ქვაბლიანის ხეობა იწყება აჭარის მთებიდან და მთავრდება იმ ადგილას, სადაც მდ. ქვაბლიანი მდინარე ფოცხოვს ერთვის. ფოცხოვის ხეობა წარმოადგენს ქვაბლიანის ხეობის გაგრძელებას აღმოსავლეთის მიმართულებით და მთავრდება სოფ. კვალთახევის მახლობლად, სადაც ფოცხოვი მტკვარს ერთვის. მესამეა მტკვრის ხეობა. იგი სამხრეთიდან მიიმართება ასპინძის რაიონში, ასპინძიდან იგი იცვლის მიმართულებას დასავლეთისაკენ, შედის ახალციხის რაიონში და უხვევს ბორჯომისაკენ. ამ სამი ხეობის ფერდობების მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის განკუთვნილი ძირითადი ფართობები.

მევენახეობისათვის საუკეთესო მზის ყური ადგილები მდებარეობენ ქვაბლიანის, ფოცხოვისა და მტკვრის მარცხენა მხარეზე განლაგებულ სამხრეთ ფერდობებზე და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ასპინძიდან სოფ. მინაძემდე. სამი მთავარი ხეობის გარდა, მესხეთში ბლომად მოიპოვება მევენახეობისათვის ვარგისი მცირე ხეობები, მაგალითად: ოცხეს (აბასთუმნის ხეობა) ადიგენის რაიონში; ჭყვინტას, წნისის, შურდოს და ურაგლის—ახალციხის რაიონში და ასპინძისა და ოშარის ხეობა—ასპინძის რაიონში.

ჰავა. მესხეთის ჰავა კონტინენტურია, იგი საგრძნობლად ცვალებადობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ძველად, როცა მესხეთის ირგვლივ მდებარე მთები დაფარული იყო ტყეებით, მისი ჰავა გაცილებით უფრო რბილი და ზომიერი იყო; მეათე საუკუნის მწერალი გიორგი მერჩული (951 წ.) მესხეთის ჰავას შემდეგნაირად ახასიათებს: „ამ ადგილების ჰავა კეთილად შეზავებულია მზისაგან და ჰაერისაგან. არც დიდი სიცხე და არც გადამეტებული სიცივე არ სტანჯავს აქ მცხოვრებს. მშრალი ნიადაგი, მშვენიერი წყლების სიმრავლე, შეშის სიუხვე—ბუნებრივი მზიარულების ელფერის სდებს აქაურობას და საუკეთესო პირობებს იძლევა ადამიანის ყოფა-ცხოვრებისათვის“. დაახლოებით ექვსი საუკუნის შემდეგ სახელოვანი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი მესხეთის ჰავას სთვლის ყოველმხრივ შემკულად და შემდეგნაირად ახასიათებს მას: „ჰავით მშვენი და შემ-

კული აგარაკოვანი“, ხოლო ახალციხის ჰაევას იგი ასე აგვიწერს: „ჰაევით არს მშვენნი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულს არა ეგოდენ ცხელი... გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახი და ხილი მრავლად“. საქართველოს მტრების ხშირ შემოსევათა შედეგად ტყეები გაიკაფა, განადგურდა, რამაც ცუდად იმოქმედა მესხეთის ჰაეაზე.

ადგილობრივი მცხოვრების კ. გვარამაძის (1906 წ.) ცნობით: „ძველად მტკვრის ხეობა საკვირიკო მთის ფერდობებით მთლიანად დაფარული იყო ხშირი ტყით და ვენახებით“. შემდგომში ამ ტყეების ამოწვისა და განადგურების შედეგად მთის მდინარეები და წყაროები ამოშრა და მთის ფერდობები უწყლობის გამო სრულიად გაშიშვლდნენ უდაბნოს მსგავსად.

მესხეთის რაიონების ეკოლოგიური პირობები განსაკუთრებით მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში ხელშემწყობ პირობებს ქმნის მევენახეობის განვითარებისათვის. წარსულში სწორედ ამ ხეობებში იყო მევენახეობა ძირითადად წარმოდგენილი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ყურძნის პროდუქციას იყენებდა ხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად. მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის აქ უნდა შეირჩეს ამ ხეობებში ქარებისაგან დაცული ფერდობები, დახრილი ძირითადად სამხრეთისაკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, რათა თავიდან იქნას აცილებული ვაზების ზამთრობით დამარხვა. საერთოდ მესხეთის ჰაეა ხელშემწყობია მევენახეობის განვითარებისათვის წარმოებაში ძირითადად საადრეო ვაზის ჯიშების (სიმწიფისა I და II პერიოდის (გავრცელების შემთხვევაში).

მევენახეობის თვალსაზრისით მესხეთი მეტად საინტერესო კუთხეა. ძველად მესხეთში, როგორც ამას მოწმობს აუარებელი მატერიალური კულტურის ძეგლები (მარნები, ქვევრები, საწნახელები), ხალხური ფოლკლორი, გრანდიოზული ქვის ტერასები მასზე გაშენებული ვაზების ნაშთებითა და მესხეთის სოფლებში მიბნეული და დღემდე თითო-ოროლა ძირების სახით შემორჩენილი მაღლარი ვაზები — მევენახეობა საკმაოდ განვითარებული ყოფილა. მეორეს მხრივ, ისეთი გრანდიოზული ქვისა და კორდის ტერასები, რომლებიც ვენახებისათვის მხოლოდ მესხეთშია (ატენის ხეობის ტერასები ამათთან შედარებით საგრძნობლად ჩამორჩებიან როგორც სიდიდით, ისე შენების ტექნიკით) მოწყობილი და გამოყენებული; აგრეთვე ისეთი

დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების არსებობა, როგორცაა კლდის ქალაქი ვარძია, შემდეგ ხერთვისის, აწყურის, თმოგვის ციხეები და კუმურდოს, წუნდას, ზარზმისა და საფარის მონასტრები—მოწმობენ სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას ამ მხარეში.

ამასთან ერთად, მესხეთში ინტენსიური მევენახეობის განვითარებას უდავოდ ხელს უწყობდა ფეოდალური წყობის მიმოსვლისა და საქონლის გადაზიდვის სიძნელეები და ამ წყობისათვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობა. ამასთან ერთად გამორიცხული არ იყო მესხეთში მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოებაც. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნება იმ უდიდესი ხარჯების გამართლება, რომლებიც დაკავშირებულია მაღალი მთების ფერდობებზე ხელოვნური ტერასების გაშენება-მოწყობა მაშინ, როდესაც მეზობელ რაიონებში (იმერეთი, ქართლი) ღვინო ყოველგვარი ტერასების გარეშე უხვად და მაღალხარისხის მოყავდათ.

შემდგომში ამ მხარის მოსახლეობის იძულებითმა გამაჰმადიანებამ და 250 წლის მანძილზე თურქების ბატონობამ ღრმა უარყოფითი დადი დაასვეს მესხეთის ეკონომიურ და კულტურულ ვითარებას. სოფლის მეურნეობა დაეცა, გადაგვარდა მევენახეობა. მხოლოდ XIX საუკუნეში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრა და ოლთისისა და არდაგანის ოლქები დაიბრუნა რუსეთის მეფემ, მაგრამ მისი ბატონობის დროსაც მესხეთის მევენახეობას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. პირიქით, ზოგიერთი სპეციალისტი, მაგალითად, ბალასი (1897 წ.), ივანოვი (1889 წ.), პეტროვიჩი და სხვები განაიარაღებდნენ მოსახლეობას თავიანთი უსაფუძვლო რჩევებით მესხეთის მევენახეობის უპერსპექტივობის შესახებ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ~~_____~~

~~_____~~ საფუძველი ჩაეყარა მესხეთში მევენახეობის აღდგენა-განვითარების შესაძლებლობის შესწავლას.

საქ. მეცნ. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მუშაობის (1939—1945 წ.) შედეგად დამტკიცდა მესხეთის რაიონებში მევენახეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საქ. მეც. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მონაცემების საფუძველზე, 1945 წლის 14 სექტემბერს გამოიტანა დადგენილება მესხეთში მევენახეობის განვითარების შესახებ.

ამ დადგენილების შესაბამისად მესხეთის რაიონებში 1946—1955 წლების მანძილზე შენდება 2.300 ჰექტარი ახალი ვენახი.

ბ) ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის დახასიათება

მესხეთის ვაზის ჯიშები თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებებით ქართლის ვაზის ჯიშებს უახლოვდება. მათ ახასიათებთ საადრეო სიმწიფე და ყინვების მიმართ გამძლეობა. ძველად მესხეთში კ. გვარამაძის (1906 წ.) ცნობით გავრცელებული იყო ჯიშები: ბუდეშური, თავცეცხლა, თითა, ცხენის ძუძუ, მელიკუდა, ხარისთვალა, კლერტმაგარა, არიჭული, ანდრიული, ბეჟანა, საფერავი ანუ საღვინე და სხვები. ამ ჯიშებს, ძველი ლიტერატურული წყაროების შესწავლის შედეგად, აკად. ივანე ჯავახიშვილი უმატებს წითელ ბუდეშურსა და საღვინე შავს. ამ ჯიშების უმრავლესობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამჟამად მესხეთში თითო-ორიოლა მალღარების სახით გვხვდება ბუდეშური თეთრი, ჩინური, გორული მწვანე, ცხენის ძუძუ, ქართლის თითა, განახარული, შავი ყურძენი, რქაწითელი, თითა და სხვები. უკანასკნელ წლებში მესხეთში მევენახეობის განვითარების შესწავლასთან დაკავშირებით, მევენახეობის ინსტიტუტმა შეიტანა მთელი რიგი საადრეო ვაზის ჯიშები. მათ გარდა, წარმოების პირობებში ფართოდ ინერგება შემდეგი ჯიშები: ჩინური, ალიგოტე, გორული მწვანე, ხიხვი, შავკაპიტო, შასლა, პინო ფრანი, ქართლის თითა და სხვები.

გ) ვაზის ჯიშების გაადგილება მესხეთის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით

ქვემომოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ვაზის ჯიშების გაადგილება მესხეთის ადმინისტრაციულ რაიონებში ვენახების 1947 წლის აღწერის მასალების მიხედვით (იხ. ცხრილი).

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდი ფართობი მესხეთში ალიგოტეს უჭირავს. მას მისდევს ჯიშები: რქაწითელი, პინო შავი, ჩინური, გორული მწვანე, ხიხვი, შავკაპიტო, ბუდეშური, სიმონასეული, საფერავი და სხვები. აღნიშნულ ჯიშებს გარდა, მალღარის სახით გავრცელებულია ადგილობრივი მესხური ვაზის ჯიშები, რომლებიც ნაჩვენებია სვეტში — „დანარჩენი ჯიშები“.



ვაჭის ჯიშების გაადგილება მესხეთის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1947 წლის
 აგვისტოს თვისათვის, ვენახების 1947 წლის მთლიანი აღწერების მასალების თანახმად

ცხრილი 4

რაიონების დასახელება	რქაწითელი	საფორავი	ჩინური	გორული მწვანე	ხიხვი	ალიგატე	ბუდეშური	სიმონა- სეული	შავკაბით	პინო შავი	დანარჩენი ჯიშები	სულ
1. ასპინძის . .	3,07	—	1,79	0,26	0,34	14,00	—	—	0,04	0,96	—	20,36
2. ახალციხის .	3,65	0,01	0,07	2,63	0,48	12,84	0,56	0,03	1,62	2,17	0,72	24,78
3. აღიგენის . .	0,01	—	1,12	0,03	0,50	19,16	—	—	—	—	—	20,82
სულ . . .	6,73	0,01	2,98	2,92	1,32	46,00	0,56	0,03	1,66	3,13	0,72	65,96

დ) ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული ჯიშები

მესხეთი მეტად საინტერესო რაიონია მეღვინეობის თვალსაზრისით. მესხეთის რაიონებში დამზადებული ღვინის საცდელმა ნიმუშებმა ნათელჰყვეს ამ რაიონის ზოგიერთ ადგილში მაღალხარისხოვანი სუფრის და შამპანური ღვინო-მასალების მიღების შესაძლებლობა. 1945 წლის მოსავლის ღვინოებმა 1946 წელს მოსკოვში ცენტრალურ სადგეუსტაციო კომისიის მიერ მაღალი შეფასება მიიღეს. განსაკუთრებით გამოიჩინა ხიხვის, ალიგოტეს, გორული მწვანის, ჩინურისა და პინოს ღვინის ნიმუშები. ცენტრალური სადგეუსტაციო კომისიის და ადგილობრივი ღვინის ნიმუშების შემფასებელი საკონკურსო კომისიის შეფასების საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სპეციალური საბჭოთა მეურნეობის (წრიოხში) მოწყობა მესხეთში, სადაც ძირითადად იქნება გაშენებული ჯიშები ხიხვი მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

მესხეთში სავენახე ფართობების ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება ორი ძირითადი ზონა გამოიყოს: ა) პირველი—ზონა ზღვის დონედან 800-დან 1000 მეტრ სიმაღლემდე და ბ) მეორე—მაღლობი ზონა 1000-დან 1200 მეტრ სიმაღლემდე, ზღვის დონედან.

პირველ ზონას უნდა მიეცეს ძირითადად სუფრის ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნის წარმოების მიმართულება, ხოლო მეორე ზონას შამპანური ღვინის წარმოებისა და საკონიაკე ღვინო-მასალების დამზადების მიმართულება.

დასახელებულ მიმართულებათა შესაბამისად ვაზის საწარმოო სტანდარტულ ასორტიმენტში გათვალისწინებულია:

ა) სუფრის ხარისხოვანი ღვინოების წარმოებისათვის ჯიშები: ხიხვი, ალიგოტე, ჩინური, გორული მწვანე და შავკაპიტო. პერსპექტიულია ამ მიმართულებისათვის: რისლინგი, ჩიტისთვალა და სემილიონი.

ბ) შამპანური ღვინის წარმოებისათვის—ჯიშები: პინო ფრანი, ალიგოტე, ჩინური და გორული მწვანე. ამ მიმართულებისათვის პერსპექტულად უნდა მივიჩნიოთ: შარდონე და მენიე.

გ) სადესერტო ყურძნის წარმოებისათვის—ჯიშები: შასლა, ბუდეშური თეთრი, ქართლის თითა. ამ მიმართულებისათვის პერსპექტიულია ჯიშები: ხალილი, აგოსტენგა და პრუნესტა ნერა.

II. დასავლეთ საქართველო

5. ი მ მ რ მ თ ი

ა. საერთო ცნობები

იმერეთი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და ითვლება მევენახეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რაიონად. ვაზის მდიდარი ჯიშობრივი შემადგენლობით და ვენახების ფართობითაც, მას პირველი ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოში.

იმერეთის მრავალ რაიონში მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლება. ეს გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ნიადაგისა და ჰავის განსაკუთრებით ხელშემწყობ პირობებს და მევენახეობისათვის მეტად საზიანო მეტეოროლოგიური მოვლენების (სეტყვა, ზამთრის ყინვები და სხვ.) ძლიერ იშვიათობას.

მნიშვნელოვანი რაოდენობის ატმოსფერული ნალექები, რომლებიც სჭარბობენ ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში და აგრეთვე მთა-გორიანი რელიეფი რაიონისა, რომელიც ხელს უწყობს ზედმეტი ატმოსფერული ნალექების ჩამოდენას ფერდობი ადგილებიდან, კეთილ გავლენას ახდენენ ღვინის ხარისხზე.

იმერეთის ღვინოები, რომლებიც მზადდება მთის ფერდობებსა და დაქანებებზე გაშენებული ვენახებიდან, მეტადრე თეთრი ღვინოები, გამოირჩევიან მაღალი ხარისხით. ძირითადად, ეს ღვინოები ზომიერი სიმაგრისაა, ახალგაზრდობაში ხასიათდებიან სინაზით, სიმსუბუქით, თავისებური არომატით და სიძველეში კი ფრიად განვითარებული ბუკეტით. იმერეთის ღვინოების ნიმუშები, რომლებიც წარდგენილი იყო მსოფლიო გამოფენაზე პარიზში 1887 წელს ვ. ტიების მიერ, შეფასებულ იქნა როგორც საშუალო ტიპის საუკეთესო სუფრის ღვინოები და მიეკუთვნა მათ ოქროს მედალი. ეს ღვინოები აგრეთვე მოწონებულ და დაჯილდოებულ იქნენ 1889—1890 წლებში. პარიზში, ბორდოში, ედინბურგში, თბილისში და სხვა ქალაქებში ვ. ტიებო (36). მიუხედავად ამისა, იმერეთის ღვინოები საკმაოდ არ არის შესწავლილი, დახარისხებული, ზუსტად არ არის გამოვლინებული დამახასიათებელი ღვინის ტიპები და მათი მარკები. უკანასკნელ ხანში, ჩვენში შამპანური ღვინოების წარმოებასთან დაკავშირებით, იმერეთში გამოვლინდა რიგი რაიონებისა (ზემო იმერეთში), რომელთა ჰავის პირობები და ცარცოვანი (კირანარი) ნიადაგები კარგ მასალას იძლევიან მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინოებისათვის ადგილობრივი—სტანდარტული ვაზის ჯიშებიდანაც

კი. ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა წარსულშიაც ხასიათდება დადებითი შედეგებით (ოლდენბურგსკი, ანანოვი, ტიებო, ქელიძე და სხვა).

ბ) ვაზის ჯიშობრივი შემაღგენლობის დახასიათება

იმერეთი ვაზის ჯიშობრივი შემაღგენლობით საქართველოს რაიონებს შორის ფრიად მდიდარია. ჯიშების სახელწოდებათა საერთო რაოდენობა აჭარბებს 70. ნაჩვენები ჯიშების რაოდენობიდან რეალურად არსებობენ და ინვენტარიზებულია საკოლექციო ნაკვეთებზე 62 ჯიში.

იმერული ვაზის ჯიშები თავიანთი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებებით საკმაოდ განსხვავდებიან კახეთის ვაზის ჯიშებიდან: ასე, მაგალითად, ფოთლების ქეჩისებრი შებუსებით ხასიათდება 64,5%, აბლაბუდისებრი შებუსებით—27,5% შიშველფოთლიანები კი შეადგენენ 8%. ჯიშების დიდი უმრავლესობა—58% ხასიათდება მარცვლის შავი შეფერილობით, მარცვლის ფორმა ძირითადად მომრგვალოა (80%), ოვალურმარცვლიანი ჯიშები შეადგენენ 16%, მოგრძომარცვლიანები კი—4%.

მტევნების სიდიდით ქარბობენ საშუალო ზომის მტევნიანი ჯიშები (68,5%), მათ მისდევთ პატარამტევნიანი ჯიშები (10—15 სმ.), რომლებიც 25% აღწევენ, ხოლო დიდმტევნიანი ჯიშები (20 სმ. და მეტი) შეადგენენ 6,5%.

საშუალო ზომის მარცვლიანი ჯიშები შეადგენენ 77%, მსხვილი ზომისანი (2,0 სმ. და მეტი) 20%, წვრილმარცვლიანები (1,5 სმ-მდე) სულ 3%; ასორტიმენტში მეტად სჭარბობენ საღვინე ვაზის ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან წვნიანი, იშვიათად მკვრივი ხორცილსუფრის ჯიშები სუსტად არის წარმოდგენილი, მათი რაოდენობა 4—5 არ აღემატება. გარდა ნამდვილად, ადგილობრივი ჯიშებისა, იმერეთში გავრცელებულია უმნიშვნელოდ კახური და დასავლეთ ევროპის ჯიშები, მაგალითად, რქაწითელი, საფერავი, პინო, შარდონე, სემილონი, კაბერნე, ნაპოლეონის შასლა (მანეთიანი) ფოლბლანში და სხვ.

გ) ვაზის ჯიშების განლაგება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ფართობები

იმერეთის ვაზის ჯიშების შემაღგენლობისა და მათი გავრცელების ფართობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ვენახების 1940

წლის მთლიანი პასპორტიზაციისა და აღრიცხვის მონაცემები ვენახების ნარგაობათა შესახებ. ამ მონაცემებით იმერეთის ვენახების ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების ჯიშობრივი შემადგენლობა მე-4 ცხრილის მიხედვითაა გაადგილებული (იხილე ცხრილი 4).

ნაკლებად გავრცელებული და აგრეთვე ის ჯიშები, რომლებიც ცალკეული ძირების სახით გვხვდებიან ვენახებში, შეტანილია სვეტში, სახელწოდებით „დანარჩენი ჯიშები“. მათ მიეკუთვნება ქართლისა და სხვა რაიონების ჯიშები: ბუდეშური, ჩინური, თავკვერი, ოჯალეში, ალექსანდრეული, გორული მწვანე და ადგილობრივი ნაკლებ გავრცელებული ჯიშები, სახელდობრ: არგვეთული საფერე, ათინაური, ბეწოურა, გაბახაური თეთრი, გაბახაური შავი, დიდიშავი, დონდლაბი შავი, ძველი სამაჭრე, ძელშავი ადგილობრივი, ძიგანაური, ენძელაძის შავი, კამური თეთრი, კამური შავი, კაპისტონი შავი, ქველოური, კირწმაგარა, კუნძა შავი, კუპრაშვილი, მალლარი, კობახიძის საფერე, მაური, მურადოული, ფითრა, სამჭაქა, სამაჭრე, თავწითელა, ოხტაურა, ხითერი, ღრუბელა, ჭანკილოური, ჩხინკოურა, შავბარდა და მთელი რიგი სუფრის ჯიშებისა, სახელდობრ: კრახუნა შავი, ხარისთვალა კოლხური და სხვ.

იმერეთის მეტადგავრცელებულ ჯიშებად ითვლებიან: ციცქა, ცოლიკაური, დონდლაბი, მგალობლიშვილი, რკო, მაჩანური-საფერე, კრახუნა, ბაზალეთური ცოლიკაური, კუნძა, ოცხანური-საფერე, ქვიშხური, კახური საფერავი და უცხოეთის: პინო ფრანი, შარდონე, ალიგოტე, პირო ბლანი, იზაბელა და სხვა. იმერეთის ჯიშებს შორის მკვეთრად გამოირჩევა ცოლიკაურის ჯიში, რომელიც თავისი ძვირფასი სამეურნეო თვისებებით, შედარებით კარგი გამძლეობით სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ, მოსავლიანობით, ღვინის მაღალი ხარისხითა და გარემო პირობებთან კარგი შეგუებით, მთლიანად დასავლეთ საქართველოსათვის უნივერსალურ ჯიშად გახდა.

ვენახების 1947 წლის საკავშირო აღწერის უფრო ზუსტი მონაცემების მიხედვით, ამჟამად იმერეთში ყველაზე დიდი ფართობი (4.780 ჰ) უჭირავს ცოლიკაურს. ფართობის სიდიდის მიხედვით მას მიეყვებიან ჯიშები: ციცქა, რკო, დონდლაბი, ძელშავი, მგალობლიშვილი, ბაზალეთური, მაჩანური საფერე, კუნძა, კრახუნა, საფერავი, პინო-ფრანი, ოცხანური საფერე, შარდონე, ალიგოტე, ჩხავერი, იზაბელა, ქველოური, კაპისტონი თეთრი, კინწმაგარა, არგვეთული-საფერე, ალექსანდრეული, რქაწითელი, ალადასტური, მამუკას-საფერი, სემილონი, ფოლბლანში და სხვები.

**დ) ყურძნის მოხმარება—გადამუშავების ძირითადი
მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული
ჯიშები**

ვაზის მრავალსაუკუნოებრივი კულტურის შედეგად ყურძნის გადამუშავების სახეების მიხედვით შერჩეულ იქნა (ხარისხოვანი და ორდინალური სუფრის ღვინოები) ვაზის უკეთესი ჯიშები, რომლებიც ფართოდ გავრცელდნენ და დამკვიდრდნენ იმერეთის ცალკეულ მიკრო რაიონებში. უნდა ითქვას, რომ წარსულში არსებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად ჯიშები ცუდად არ არის შერჩეული.

მაგრამ, ჩვენში ხარისხოვანი შეღვინეობისა და ახალი მიმართულების—შამპანური ღვინოების წარმოებასთან დაკავშირებით თანამედროვე ასორტიმენტი და ცალკეული ჯიშების ფართობების ურთიერთთან შეფარდება ვერ გვაკმაყოფილებს. ამასთან დაკავშირებით, წამოიჭრა საჭიროება არსებული ასორტიმენტის გადასინჯვის შესახებ—ასორტიმენტში ახალი ჯიშების შეტანისა და ზოგიერთი ძველი ჯიშის (იზაბელა, რკო, დონდლლაბი, კუნძა) შემდგომი გავრცელების შემცირებისა და მათ ნაცვლად ხარისხოვანი ჯიშების გავრცელების მიზნით.

გადასინჯვის შედეგად ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი შეივსო ვაზის ახალი ჯიშებით (პინო ფრანით, შარდონედ, ალიგოტედ და მასთან ერთად ყოველ წლიურად იზრდება ადგილობრივი მაღალხარისხოვანი ჯიშების—ციცქას, ცოლიკაურის, კრახუნას, ქვიშხურის, ოცხანურის-საფერეს და სხვათა ფართობი მათთვის განკუთვნილ რაიონებში. ზოგიერთი ფართოდ გავრცელებული მოსავლიანი, მაგრამ დაბალხარისხოვანი ჯიში, რომლებსაც წარსულში აშენებდნენ ორდინალური ღვინოების საწარმოებლად ამჟამად მისი მოშენება შეწყვეტილია, ხოლო არსებული ფართობის მოსავალი იგეგმება საკონიაკე სპირტის დასამზადებლად.

გათვალისწინებულია გამრავლება ფართო გამოცდის და შემდგომში სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანის მიზნით ზოგიერთ ნაკლებგავრცელებულ ხარისხოვანი ჯიშისა, სახელდობრ, ბაზალეთურის, ადანასურის, თეთრი კაპისტონის. ადგილობრივი ძელშავის, ქველოურის და სხვებისა, რომლებიც იძლევიან კარგი ღვინოების ღვინოს.

საწარმოო ცენტრებისა და კურორტების სადესერტო (სასუფრე)—ყურძნით მომარაგების მიზნით ადგილზე მოსახმარებლად და ვენახებში

გავრცელებულია და შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ჯიშებიდან შავი კრახუნა, ხარისთვალა-კოლხური, კამური თეთრი, ქართულა, ალადასტური, ხოლო უცხოეთის ჯიშებიდან: მანათიანი (ნაპოლეონის შასლა) იზაბელა, შასლა, ჰამბურგის მუსკატი და სხვები.

მელვინეობის თვალსაზრისით იმერეთი შეიძლება გაიყოს შემდეგ ოთხ ძირითად რაიონად:

1. ზემო იმერეთი. ორჯონიკიძის (ხარაგოულის), ქიათურისა და საჩხერის ადმინისტრაციული რაიონების ჩათვლით;

2. შუა იმერეთი. მდინარე ყვირილის მარჯვენა მხარე ტყიბულის, ჩხარისა და ზესტაფონის ადმ. რაიონების ჩათვლით; ამ მხარეში ცნობილია სოფლები: ჩხარი, საზანო, სიმონეთი, ძვერი, თერჯოლა, საქარა, არგვეთი და სხვები.

3. შუა იმერეთი. მდ. ყვირილის მარცხენა მხარე ზესტაფონისა და მიაიკოვსკის ადმ. რაიონის ჩათვლით; მელვინეობით ცნობილი სოფლებით: სვირი, ობჩა, კვალთი, ცხრაწყარო, კლდეეთი, ფუთი, თლემი, კიცხი, კინოთი და სხვები.

4. ქვემო იმერეთი: ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, წულუკიძისა და წყალტუბოს ადმინისტრაციული რაიონების ჩათვლით.

დასახელებული რაიონებიდან მელვინეობის თვალსაზრისით საუკეთესოდ ითვლებიან:

ა) შამპანური წარმოებისათვის ძირითადად ზემო იმერეთი—ორჯონიკიძის, ქიათურა-საჩხერის და შუა იმერეთი ნაწილობრივ ზესტაფონისა და ჩხარის ადმინისტ. რაიონების შემადგენლობით.

ბ) ხარისხოვანი სუფრის მელვინეობისათვის ძირითადად—შუა იმერეთი და ნაწილი ქვემო იმერეთისა (ვანისა და ქუთაისის რაიონი).

გ) ორდინალური ღვინოების, კონიაკების, ყურძნის წვენისა და სადეესერტო ყურძნის მისაღებად ძირითადად ქვემო იმერეთი.

რასაკვირველია, აქ მოცემულია რაიონების ძირითადი მიმართულება. თითოეული რაიონის საზღვრებში ცალკეული მასივებისა და ნაკვეთების მდებარეობის, მათი ექსპოზიციისა და მათგან გაწოწვეული მიკრო-კლიმატური პირობების ცვალებადობის შესაბამისად საგრძნობლად იცვლება ღვინის ხარისხი და მელვინეობის მიმართულებაც.

ყურძნის გადამუშავების ძირითად მიმართულებათა შესაბამისად სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია შემდეგი ჯიშები:

ა) შამშანურის წარმოებისათვის ჯიშები: პინო ფრანი, შარდონე და ალიგოტე. ადგილობრივი ჯიშებიდან ციცქა, თეთრი კაპისტონი და ძველშავი. პერსპექტულად ამ მიმართულებისათვის ითვლება ჯიშები: ქვიშხური, ბაზალეთური და ადანასური.

ბ) ხარისხოვანი მეღვინეობისათვის: ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ქვიშხური, ოცხანური-საფერე, საფერავი და მქკნარა დონდლაბი. პერსპექტულებად მიჩნეულია შემდეგნი: ძელშავი ადგილობრივი, ქველოური, ენძელაძის შავი, ოხტაური და სხვები.

გ) სადესერტო ყურძნის წარმოებისათვის: შასლა თეთრი, კამური, ხარისთვალა კოლხური და შავი კრახუნა. პერსპექტულად ითვლებიან ხალილი, ცილოჟიელო, ვერმენტინო და განჯური.

დ) ყურძნის წვენიისა და კონიაკების წარმოებისათვის ჯიშები—კუნდა, დონდლაბი, ფოლბლანში, რკო თეთრი და რკო შავი.

ე) სადესერტო და შემაგრებული ღვინოებისათვის პერსპექტულია ჯიში კრახუნა და თეთრი კამური.

6. რაჭა-ლეჩხუმი

1. საერთო ცნობები

რაჭა-ლეჩხუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში,—მთავარი კავკასიონის ქედიდან გამოსულ ქედებს შორის, მდინარე რიონის, ცხენისწყლისა და მათ შენაკადების სათავეებზე. ვენახების ფართობის მიხედვით რაჭა-ლეჩხუმს უკავია დასავლეთ საქართველოში მეორე ადგილი.

ჯერ კიდევ 1890 წლებში სტატისტიკური ცნობების მიხედვით რაჭის მაზრაში ითვლებოდა 5,670 ჰექტარამდე ვენახი.

ამ მხარეში მევენახეობა არის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი და მოსახლეობის ეკონომიური კეთილდღეობის წყარო. ამ მხარის რელიეფი ძლიერ მთიანია; ვაკე ადგილები გვხვდება იშვიათად, ძირითადად, რიონისა და ცხენისწყლის ხეობებში. ვენახები გაშენებულია მთების ფერდობებზე (ხშირად ციცაბო დაქანებებზე) მდინარე რიონის, ცხენისწყლისა და მათი შენაკადების ორივე მხარეზე.

რაჭა-ლეჩხუმის კლიმატური პირობები მეტად ხელშემწყობია მევენახეობის განვითარებისათვის. მევენახეობის გავრცელების უკიდურეს ზღვრად ამ მხარეში ითვლება 1-067 მეტრის სიმაღლე ზღვის დონიდან.

რაქა-ლეჩხუმის ღვინოებს კარგი სახელი აქვთ მოხვეჭილი, მეტად-
რე „ხვანჭკარის“ ღვინოს (ყოფიანისას), რომელიც თავის შემადგენ-
ლობით უახლოვდება ნახევრადსადესერტო ტიპის ღვინოს. „ხვანჭ-
კარა“ მზადდება ქვემო რაქაში—ტოლა—ხვანჭკარის მიკრო რაიონში
ჯიშ ალექსანდრეული და მუჯურეთულისაგან. ძველად არანაკლებ
იყო ცნობილი ლეჩხუმის ღვინოებიც, მეტადრე წითელი, „მანდარიას
ღვინის“ სახელწოდებით, რომელიც მზადდებოდა ზუბიო-ყურეშის
მიკრო რაიონში უსახელოურის ვაზის ჯიშისაგან.

2. ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის დაზასიათება

რაქა-ლეჩხუმი საკმაოდ მდიდარია ვაზის ჯიშებით. რაიონში 50 მე-
ტი მარტო ადგილობრივი ვაზის ჯიშში ითვლება. მათ გარდა, რაი-
ონში გავრცელებულია, მხოლოდ მცირე რაოდენობით, საქართვე-
ლოს მევენახეობის სხვადასხვა რაიონის ვაზის ჯიშები.

მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნების მიხედვით რაქა-ლეჩხუ-
მის ჯიშები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან საქართველოს დანარჩენი
რაიონების ვაზის ჯიშებისაგან. ჯიშები ფოთლის ქეჩისებრი შებუს-
ვით შეადგენენ 45%, აბლაბუდისებრი შებუსვით—41,2%, ხოლო
შიშველფოთლიანები შეადგენენ 13,8%.

მარცვლების შეფერილობით—შავმარცვლიანი ჯიშები შეადგენენ
56,8%, თეთრები—39,3% და ვარდისფერი ჯიშები—3,9%.

მარცვლების ფორმის მიხედვით ჭარბობენ უფრო მრგვალმარცვ-
ლიანი ჯიშები (84,3%) ოვალურმარცვლიანებზე. ძირითადი მასა ჯი-
შებისა (84,3%) ხასიათდება საშუალო ზომის მტევნებით, პატარა-
მტევნიანი ჯიშები (8—10 სმ) შეადგენენ 13,8%, ხოლო დიდმტევ-
ნიანები (16—20 სმ.)—1,9%. მარცვლების სიდიდით ჭარბობენ ჯი-
შები მარცვლის მცირე ზომით (1,2—1,5 სმ.) საშუალომარცვლიანი
ჯიშებზე—შეფარდებით 58,8% წინააღმდეგ 41,2%-ისა.

რაქა-ლეჩხუმის ჯიშები, სიმწიფის პერიოდის მხრივ, ნაკლებ გან-
სხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძირითადად ისინი სიმწიფის II და
III პერიოდს ეკუთვნიან.

3. ჯიშების გაადგილება აღმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ფართობები

ვენახების 1940 წლის საკავშირო აღწერის მასალების თანახმად
რაქა-ლეჩხუმის ჯიშები გაადგილებულია მე-ნ ცხრილის მიხედვით.
(იხილე ცხრილი № 6).

ვაშის ჯიშების გაადგილება რაკეტების ადმინისტრაციულმა
1940 წლის საკავშირო აღწერის

რაიონების დასახელება	ალექსანდრე-ნეველი	კოლხეთი	წითლის თეთრი	პეშუბი	ძველი ადონია	საფრანგო	ოჯალეში	კუნა	ტყელოვლი	სულ
1. ცაგერის	61,37	307,91	3,34	—	0,25	11,97	85,7	49,9	4,53	2,18
2. ამბროლაურის	554,69	48,66	154,11	82,00	99,56	26,88	0,48	—	26,58	22,11
3. ონის	0,25	—	177,9	105,70	—	57,15	—	—	15,89	0,14
სულ	616,31	356,57	835,35	188,80	998,19	96,0	8,618	49,9	46,45	24,43
% საერთო ფართობის მიხედვით	13,575	7,853	7,386	4,142	2,198	2,114	1,608	1,099	1,023	0,638

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, პირველი ადგილი ფართობის სიდიდის მიხედვით უკავია ალექსანდრეულს და მუჯურეთულს, მათ მოსდევთ ჯიშები წულუკიძის თეთრი, კოლიკაური, მწვანე რაკეტა (ქვიშური), ძველშივე, საფერავი, კახური, რკაწითელი, რკო, კაისტონი რაკეტა, ორბელური, ოჯალეში, მაგალობლიშვილი, კუნა, უსახლოური, მუჯურეთული, ალიგოტე და პირადიარმწარი მოგებელი პიბრიდები, რომლებსაც შედიარებით მცირე ფართობი უკავიათ. მნიშვნელოვან ნაკლები ფართობი უკავიათ შემდეგ ჯიშებს: კრახუნას, ოცბანურს, საფერავს, დონდლბას, მაჩანურს, ბაზალეთურს, ჩინურს და სხვებს. კიდევ უფრო ნაკლები ფართობი უკავიათ ადგილობრივ ნაკლებ გავრცელებულ ჯიშებს, რომლებიც მოყვანილია სექტში „დანარჩენი ჯიშები“.

ნაკლებად გავრცელებული ადგილობრივი ჯიშებიდან საჭიროა აღინიშნოს: ცხვილიანის თეთრი, ძველი კაისტონი, რცხილა, კუდურაული, მცივანი რაკეტა, ალეში, არაბული, ტაქათაური, ყიჩქინა-გარა, ვალმოური კაისტონი, კორტნული, თბილური, ფეროვანი, წმინდა თეთრი, თეთრი ალექსანდრეული, ნაგუთინული, თვალდამ-

რაიონების მიხედვით 1940 წ. 1/IX-სათვის ვენახების
მასალების თანახმად.

რაიონები	ალექსანდრე-ნეველი	კოლხეთი	წითლის თეთრი	პეშუბი	ძველი ადონია	საფრანგო	ოჯალეში	კუნა	ტყელოვლი	სულ
20,16	6,27	15,45	—	0,45	0,1	—	0,36	—	0,17	5,02
1,2	13,62	—	0,26	0,65	0,75	0,63	0,23	0,41	0,01	3,56
—	—	—	10,31	—	—	—	—	—	—	16,17
21,36	19,89	15,45	10,57	1,10	0,85	0,63	0,59	0,41	0,18	24,75
0,471	0,438	0,340	0,287	0,024	0,019	0,014	0,013	0,004	0,004	0,545
										56,066
										100%
										29,54

წერიესული, შავი კაისტონი, წიწილიანი კაისტონი, ხიხვა, ხიხვი ლეჩხუმის, მელიკუდა, ბუტკუ, ბელარაიანი, ფახატა, ბახვა, ბერბეშო, წყარა, გამოყვანილი, უწყვეტი, სურბა, მოქათური, მსხვილთვალა, აცხარა, ნოშობი, ფურუანი, ურიშულა, ბროვი, წითლოური, კუნდური და სხვები.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მოცემული ცხრილი იძლევა ნათელ წარმოდგენას ძირითადი ჯიშების ფართობებზე რაიონების მიხედვით, რაც შეეხება ნაკლებგავრცელებულ ჯიშებს, ისინი მოყვანილია დანარჩენ ჯიშებთან ერთად. ფართოდ გავრცელებული ჯიში მუჯურეთულის ფართობი ნაჩვენებია ალექსანდრეულის ფართობში, რადგან ნარგავებში მუჯურეთული გვხვდება ალექსანდრეულთან ერთად და როგორც იშვიათი გამოწვლილი ცალკე ნაკეთების სახით. ვენახების 1947 წლის საკავშირო უფრო ზუსტი აღწერის მასალების მიხედვით რაკეტების უკლებლივ დიდი ფართობი (600 ჰექტარი) უკავია ალექსანდრეულს. ფართობის სიდიდის მიხედვით მის მიყვება კოლიკაური, წულუკიძის თეთრი, რაკეტა მწვანე (ქვიშური), ცხვილიანის თეთრი, საფერავი, ძველშივე, ორბელური-ოჯალე-

ში, კაპისტონი შავი (70 ჰ.), რქაწითელი, რკო, მუჯურეთული (45 ჰ.), უსახელური, იზაბელა, ციცქა, კუნძა, კულურაული, ნაკუთვენული, ალიგოტე, მგალობლიშვილი, კრახუნა, დონდლაბი, კაპისტონი თეთრი, ხოტეურა, მალვაზია, არაბული (4,86 ჰ.) და სხვა მცირედ გავრცელებული ადგილობრივი ჯიშები.

ჯიშების დიდი სიმრავლე და რამდენიმე ჯიშის ერთ ნაკვეთზე გაშენება წინააღმდეგ ჯიშობრივი აგროტექნიკისა, რასაკვირველია, ხელს უშლიდა ამ მხარის ძირითადი ჯიშების ღვინის ხარისხის გამოვლინებას და მის გაუმჯობესებას. ეს ძირითადი ნაკლი ძველი მევენახეობისა უკვე სწორდება ახალი ვენახების სუფთა ჯიშების გაშენებით, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რაჭა-ლეჩხუმის ღვინოების ხარისხი.

ჩამოთვლილი ჯიშებიდან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი არის გავრცელებული თითქმის ყველა მევენახეობის რაიონში, მათ ეკუთვნის—ალექსანდრეული, რაჭული მწვანე და კაპისტონი შავი, დანარჩენები გავრცელებულია ცალკეულ მიკრო რაიონებში, როგორც, მაგალითად, ორბელური ოჯალეში გავრცელებულია ძირითადად ლაჯანურის ხეობაში (ორბელი), უსახელური—ზუბი—ოყურემისა და ცოლიკაური ტევიშ-ორხევის მიკრო რაიონში, ცხვედიანის თეთრა და ცოლიკაური ძირითადად ცაგერის მიკრო რაიონში.

4. ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული ჯიშები

რაჭა-ლეჩხუმი იყოფა სამ ძირითად რაიონად—ა) ზემო რაჭა (ონის ადმინისტრაციული რაიონი); ბ) ქვემო რაჭა (ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონი) და გ) ლეჩხუმი (ცაგერის ადმინისტრაციული რაიონი). მათგან ორი უქანასკნელი რაიონი ამ მხარეში ითვლება საუკეთესოდ.

ა) ზემო რაჭა ჰავის მიხედვით, სხვა რაიონებთან შედარებით, უფრო ცუდ პირობებშია. ამის მიზეზია ის, რომ მისი სავენახე ფართობები უმეტესად, ზღვის დონედან დიდ სიმაღლეზეა მოქცეული (ცაგერი 830 მეტრზე) და ადგილობრივი ვაზის ჯიშები ყველგან და ყოველთვის ვერ აღწევენ სრულ სიმწიფეს.

ამ რაიონის ძირითადი მიმართულებაა—ორდინალური ალაგ-ალაგ ხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება.

ბ) ქვემო რაჭა იყოფა მდინარე რაიონით ორ ნაწილად—მარცხენა და მარჯვენა მხარედ.

მარჯვენა მხარის ძირითადი მიმართულებაა ნახევრადსადესერტო ხვანჭკარის ტიპის ღვინოს წარმოება; მარცხენა მხარის ნაწილზე სუფრის ხარისხოვანი, ძირითადად თეთრი ღვინოების წარმოება.

გ) ლეჩხუმი იყოფა სამ რაიონად: რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურას ხეობებად.

პირველი ორი ხეობის ძირითადი მიმართულებაა ხარისხოვანი სუფრის ღვინოების, მესამესი—ორდინალური, ხოლო ზოგ ადგილებში ხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება.

აღნიშნულ მიმართულებათა შესაბამისად რაჭა-ლეჩხუმი ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია:

ა) ნახევრადსადესერტო ტიპის ღვინოების დასამზადებლად ჯიშები: ალექსანდრეული და მუჯურეთული. ამ მიმართულებისათვის პერსპექტულია შავი კაპისტონი.

ბ) სუფრის ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების საწარმოებლად ჯიშები: ალექსანდრეული, მუჯურეთული, უსახელოური, წულუკიძის თეთრა, ორბელური ოჯალეში, ცოლიკაური და მცვივანი პერსპექტულ ჯიშებად მიჩნეულია ალიგოტე, რაჭული მწვანე, შავი კაპისტონი და საფერავი.

ბ) სუფრის ყურძნის მიმართულებისათვის ჯიში შასლა. ამ მიმართულებისათვის პერსპექტულია ჯიშები—მსხვილთვალა, ძირაგეულის შავი, ბუღდშური და ჰამბურგის მუსკატი.

7. სამეგრელო და აფხაზეთი

1. საერთო ცნობები

სამეგრელოსა და აფხაზეთის მევენახეობის რაიონები მდებარეობს საქართველოს ჩრდილოეთ დასავლეთის ნაწილში. ეს მხარე ისაზღვრება: ჩრდილოეთით მთავარი კავკასიონის მთის ქედებით, აღმოსავლეთით ცხენისწყალთ და იმერეთით, სამხრეთით მდინარე ფიჩორითა და გურიით, დასავლეთით შავი ზღვით, ხოლო მდინარე ენგური სამეგრელოს ჰყოფს აფხაზეთიდან.

მევენახეობა ამ რაიონებში ითვლება სოფლის მეურნეობის უძველეს კულტურად და ვაზის ავადმყოფობისა და ფილოქსერის შემოსევამდე აყვავებულ მდგომარეობაში იყო. ჯერ კიდევ 1880 წელს ვენახების ფართობი სამეგრელოში შეადგენდა 14,200 ჰექტარს (ნაკაშიძეს მონაცემები), ხოლო აფხაზეთში კი 2800 ჰექტ (ბალასი მ.) სულ მთე-

ლი ფართობი აღწევდა 17.000 ჰექტარამდე. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოსევების შემდეგ ვენახების ფართობი ძლიერ შემცირდა. ამჟამად სამეგრელოსა და აფხაზეთში წარმატებით მიმდინარეობს ვენახების აღდგენა ფილოქსერაგამძლე საძირზე საუკეთესო ვაზის ჯიშებით.

ამ მხარის რელიეფი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მთაგორიანია, ხოლო სამხრეთ დასავლეთ ნაწილში კი გადაჭიმულია დიდი ვაკე, კოლხეთის დაბლობის სახელწოდებით. მევენახეობა, უმთავრესად განვითარებულია რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

სამეგრელოსა და აფხაზეთის ჰავა ძირითადად სუბტროპიკულია, დიდი რაოდენობის ნალექებით, თბილი ზამთრითა და არაცხელი ზაფხულით.

მთაგორიანი ზოლის ღვინოები სამეგრელოსა და აფხაზეთში ძველთაგანვე იყვნენ ცნობილი. ფრანგი მოგზაური შარდენი (1672 წ.) წერს შემდეგს: „აღვილობრივი ღვინო მშვენიერია, სასიამოვნო გემოსია, სრულია, მავარი და დიდად მარგებელი“. ჟურნალ „კავკასიის სოფლის მეურნეობაში“ № 8, 1897 წელს უცნობი ავტორი წერს შემდეგს: „წარსულში სამეგრელოს და აფხაზეთის ღვინოები ითვლებოდნენ საუკეთესოდ ამიერკავკასიაში. მათ შორის სამეგრელოს ოჯალეში და აფხაზეთის ამლახუ ითვლებოდნენ განსაკუთრებული მაღალი ხარისხის ღვინოებად“-ო.

2. ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის დახასიათება

სოკოვანი ავადმყოფობისა და ფილოქსერის შემოსევამდე სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაზის ჯიშების ასორტიმენტი განსაკუთრებით მდიდარი იყო. დატული მონაცემების მიხედვით მევენახეობის ორივე რაიონში გავრცელებული იყო ას ჯიშზე მეტი. ამჟამად ინვენტარიზირებულია და იმყოფება საკოლექციო ნაკვეთზე 20 ჯიშამდე სამეგრელოსი და 30 ჯიშამდე აფხაზეთისა, დანარჩენი ჯიშები ჯერ არ არიან გამოვლენილებული და შემონახულია თითო-ოროლა ძირების რაოდენობით საკარმიდამო ნაკვეთებზე მაღლარის სახით.

მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნების მიხედვით სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაზის ჯიშები ძირითადად საღვინე ჯიშებია და ხასიათდებიან წვნიანი, იშვიათად მკვრივი ხორციით, მომრგვალო მარცვლით, მტევნის საშუალო ზომით და ფოთლების სქელი ქეჩისებრი შებუსვით. სამეგრელოს ჯიშები, როგორც უფრო პატარა-მტევნიანები, შეადგენენ ამ მხრივ გამოჩენილს.



სიმწიფის პერიოდის მიხედვით სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაზის ჯიშები ძირითადად საგვიანოა, სიმწიფის IV და V პერიოდისა, ხოლო ზოგიერთი ჯიში სიმწიფის III პერიოდს ეკუთვნის.

დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებთან შედარებით სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაზის ჯიშები უკეთესად იტანენ გადამეტებულ სინესტეს და ბევრი მათგანი, მიუხედავად ზმირი წვიმებისა და ჰაერის შედარებით დიდი ტენიანობისა, იძლევიან საკმაოდ მაგარ და კარგ ღირსების ღვინოებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ჯიში პუმპულა, რომელიც სამეგრელოს დაბლობებში მთელ საქონდიდროში და საჭილაოში იძლეოდა სასიამოვნო გემოს კარგს და ნაზს ღია-ვარდისფერ მსუბუქ სუფრის ღვინოს (ე. ნაკაშიძე, გვ. 68).

3. ჯიშების გაადგილება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ფართობები

სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაზის ჯიშები ვენახების 1940 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით გაადგილებულია მე-7 ცხრილის მიხედვით (იხ. ცხრ. 7.).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, სამეგრელოში პირველი ადგილი ფართობის მიხედვით უკავია ცოლიკაურის ჯიშს, მას მოსდევს ჯიშები იზაბელა, ციცქა, ოჯალეში, კაკიქი, ალექსანდრეული, კრახუნა, ძელშავი და სხვა.

აფხაზეთში ფართობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს იზაბელას—შემდეგ ცოლიკაურს, მათ მოსდევს ჯიშები, რქაწითელი, კაკიქი, ციცქა, კუნძა, კაბერნე და სხვ.

დანარჩენი ადგილობრივი ჯიშები აღრიცხვის სიძნელის გამო, არ იყვნენ გამოვლინებული ცალ-ცალკე და მოხვდნენ დანარჩენ ჯიშებთან ერთად.

ახალი ფართობების ათვისებისას მეტად საინტერესოა ფართოდ გამოიყენოს ნაკლებად გავრცელებული ვაზის ჯიშები, როგორც რაიონის ნიადაგისა და ჰაერის პირობებთან კარგად შეგუებული ჯიშები.

მათ შორის საჭიროა აღინიშნოს სამეგრელოში: კვიტილური, ჩეტიფეში, ჩერვალი, კოლოში, პანეში, ტაროკუჩხი, მახვატელი, დუდლუში, საკუმა, გრეხი, დედოფლის კითი, ვერნახი, ეგურძულა, პუმპულა, აზშილური, ზერდაგი, ოქონა, ხარდანი, ხოჯისთოლი, კვაცხული, ტოვანი, ჩეში, ჩხოროკუნი, ჭითაში, ჩეჩქიში, ქველები, კერთოლი, ლაგილური, მარბა, მაჭკვატური, ოფოთი და სხვ.

ვაზის ჯიშების გაადგილება ხაშვერელოს აღმინისტრაციული
1940 წლის საკავშირო აღწერის

რაიონების დასახელება	კოლკაცები	იხბულა	ციცხა	კაბუი	ოჯალუშა	კრამუნა	ალექსან- დრული	ტელაუი
1. ხობროწყელს . . .	436,96	409,91	0,89	5,46	0,02	2,24	—	0,08
2. შალდერჯიხის . . .	278,06	478,49	1,78	0,7	1,13	—	—	0,20
3. გუდგუროვის . . .	800,34	501,38	17,4	1,18	12,68	—	—	0,01
4. ზუგდიდის . . .	509,93	8,32	18,87	0,02	0,62	—	0,02	—
5. ცხაქვიას . . .	291,49	223,06	23,34	12,69	1,14	1,18	—	0,91
6. ახალის . . .	5,37	238,0	3,15	—	—	—	1,69	—
7. ხობის . . .	46,97	88,84	1,17	1,83	—	0,21	0,08	—
8. ფოთის . . .	0,21	18,96	—	—	—	—	—	—
სულ	2.169,33	1.916,95	66,10	22,0	15,59	3,63	1,79	1,21

% საერთო ფართობის მიმართ . .	31,017	27,409	0,945	0,815	0,224	0,052	0,025	0,017
------------------------------	--------	--------	-------	-------	-------	-------	-------	-------

ვაზის ჯიშების გაადგილება აფხაზეთის აღმინისტრაციული
საკავშირო მთლიანი

რაიონების დასახელება	იხბულა	კოლკაცები	საფარავი	ტექნოლოგი	ქენა	კაბუი	კაბარე	ციცხა	თაკვარი	აფხაზეთა
1. გალის . . .	615,37	85,87	7,88	4,76	2,3	0,07	1,63	1,65	0,01	—
2. სოდეტის . . .	634,41	363,2	—	2,79	0,62	3,14	0,28	0,02	0,04	0,85
3. გუდუდულის . . .	818,18	254,57	5,48	—	—	—	—	—	—	—
4. ოსაბნის . . .	418,04	43,75	—	—	—	—	—	—	—	—
5. გუგარის . . .	254,38	79,42	0,76	0,91	2,33	—	—	—	0,31	—
სულ	2.800,38	786,81	14,07	7,86	5,25	3,21	1,86	1,67	0,86	0,85
% საერთო ფართობის მიმართ . . .	57,640	16,1949	0,289	0,1619	0,108	0,0682	0,038	0,034	0,0074	0,0073

რაიონების მიხედვით 1940 წლის I/IX-სათვის ვენახების
მასალების თანახმად.



ვენახი	ალეგორა	საფარავი	კაბარე	ტექნოლოგი	ჩაფერი	პირდაპირი, კაბარეები	დარბაზნი ჯიშები	სულ	პროცენტები	მთლიანი მასალი
0,49	—	0,07	0,02	0,02	—	0,91	663,06	1.519,66	1.068,86	
—	0,11	—	—	—	—	725,58	5,97	1.492,02	1.142,88	
—	—	—	—	—	0,01	—	56,62	1.189,62	547,18	
0,02	—	—	0,04	—	—	18,57	613,03	1.164,44	586,93	
—	—	—	—	—	—	—	443,03	895,83	678,96	
—	—	—	—	—	—	—	120,27	398,48	358,96	
—	—	—	—	—	—	—	114,59	203,59	146,55	
—	—	—	—	—	—	—	40,04	59,25	59,25	
0,51	0,11	0,07	0,06	0,02	0,01	740,06	2.056,45	6.993,59	4.536,77	
0,007	0,0015	0,001	0,001	0,0003	0,0002	10,582	29,403	100 %	64,87	

რაიონების მიხედვით 1940 წლის I/IX-სათვის ვენახების 1940 წლის
აღწერის თანახმად.

ცხრილი № 8

ალექსან- დრული	ტექნოლოგი	კაბარე	ციცხა	თაკვარი	აფხაზეთა	სულ	პროცენტები	მთლიანი მასალი	
—	—	—	—	—	—	961,18	1.642,37	1568,99	
0,15	0,08	0,05	0,05	0,04	0,03	21,95	1.097,89	738,82	
—	—	—	—	—	—	6,47	1.075,25	822,24	
—	—	—	—	—	—	191,10	653,89	610,14	
—	—	—	—	—	—	51,47	388,92	229,18	
0,15	0,08	0,05	0,05	0,04	0,03	1.238,12	4.858,38	3.969,37	
0,003	0,0016	0,0011	0,0011	0,0008	0,0008	0,006	25,440	100 %	81,7

აფხაზეთში — ამლახუ, ავასირხვა აშულაფი, აფხვატა, აღბიფი, აბნს-ტაფი, აფაპში, აფემჩილი, აფკვატა, ახუხუფი, აციეფი, პეტრიეფი, აჩკი-კიეფი, აპაპნიეფი, აკაბილი, ატპიუფი, ატურქაეფი, ტატლიეფი, ხუნამიეფი, აცხოუფი, ათასარაკვა, ამიხვანტკირი, ამგურჩალი, აკუმშატალი, აკუმარი, აკუმასა, აკლიკი, აკასაფი და სხეები.

ვენახების 1947 წლის უფრო ზუსტი აღწერის მასალების მიხედვით სამეგრელოში ამჟამად ფართობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ჯიშს ცოლიკაურს (1.730 ჰ.) მას მისდევენ ბაზალეთური, ციცქა, ოჯალეში (30 ჰ.) ძელშაფი, კაჭიჭი, საფერაფი, კრახუნა, იზაბელა და სხეები, ხოლო აფხაზეთში პირველი ადგილი უჭირავს ცოლიკაურს (398 ჰ) შემდეგ ციცქას, მალვაზიას, კრახუნას, კაჭიქს, კაბერნეს, კუნძას, საფერაფს, რქაწითელს, შასლას, ბაზალეთურს, ავასირაფას და სხეებს.

ამ ჯიშებს გარდა, სამეგრელოსა და აფხაზეთში ითვლებიან კიდევ მრავალი ჯიში, რომლებიც ჯერ შესწავლილი და გამოვლინებული არ არიან. ეს ნაქლი შევსებული იქნება ამჟამად ადგილებზე მევენახეობის სამეცნიერო-საკვლეეო ინსტიტუტის მიერ მოწყობილ დასაყრდენი პუნქტების მუშაობის შედეგად.

4. ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული ჯიშები

მეღვინეობის თვალსაზრისით სამეგრელო და აფხაზეთი იყოფა ორ ძირითად მკვეთრად განსხვავებულ ნაწილად — მთიან და დაბლობ ზონად. დაბლობ ზონაში მევენახეობა სუსტად არის განვითარებული და ღვინოც ამ ზონაში დაბალი ხარისხისა დგება. მას ახასიათებს დაბალი ალკოჰოლიანობა, მცირე სხეული და სუსტი არომატი. ხარის-ხოვანი ღვინოები ამ რაიონში დგება მთიან ნაწილში, მთების ფერდობებზე და გორაკების დაქანებებზე.

კლიმატური პირობების, ნიადაგის შემადგენლობის, ნაკვეთის მდებარეობისა და ჯიშობრივი შემადგენლობის შესაბამისად სამეგრელოს მთიანი ზონა შეიძლება გაყოფილი იქნას შემდეგ რაიონებად:

1. მდინარე აბაშისა და ტეხურის შუაღინების მთავორიანი ზოლი გეგმეკორის რაიონისა და წალენჯიხის ზემო ნაწილის შემადგენლობით. ეს ზოლი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სოფ. ვახიდან დაწყებული ძველ სენაკით დამთავრებული, სიგრძით 35—40 კილომეტრამდე. ამ ზოლის კირნარ ნიადა-

გებზე დგება ოჯალეშის განთქმული ღვინოები (სოფ. სალხინო) ოჯალეშის (შონურის) ჯიშისაგან.

2. მდინარე ხობისა და ცხენისწყლის შუა დინების გასწვრივ მდებარე ზოლი, რომელიც შედის წალენჯიხის ადმინისტრაციული რაიონის შემადგენლობაში, სოფლებით ფუჭი, წალენჯიხა, წაკიფუ, ჯგალი, საჩინო და ჩხოროწყუს რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სოფლებით: ახუთი, ლესიჭინე, ჩხოროწყუ და კირცხი, რომლებიც ძველი დროიდანვე განთქმულნი იყვნენ ჯიშ ჭვითილურის ხარისხოვანი თეთრი ღვინოებით და ინგურის გაღმა მდებარე სოფელი პუხულანი თავის მიდამოებით ცნობილი იყო თავისი მაგარი, სასიამოვნო, ვარდისფერი ღვინით ვაზის ჯიშ კოლოშისაგან.

3. ზუგდიდის ადმინისტრაციული რაიონის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილი სოფლებით: კორცხელი, ყულისკარი, ალავერდისკარი, უჩაშონა და ჭანჭვიჯი აგრეთვე ცნობილი იყვნენ თავიანთი სასიამოვნო თეთრი ღვინოებით, ძირითადად ჯიშ ჭვითილურისაგან.

სამეგრელოს ვაკე ადგილებში, როგორც გამოჩაკლისი, ცნობილი იყო საჭყონდიდლო და საჭილაო, სადაც დგებოდა მსუბუქი, სასიამოვნო, არომატიული ღვინო ჯიშ პუმპულადან.

სამეგრელოს რაიონების ძირითადი მიმართულებაა სუფრის ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების ალაგ-ალაგ სუფრის ორდინალურ და სადესერტო (სალხინოს ტიპის) ღვინის წარმოება. სამრეწველო ცენტრების მოსამარაგებლად და ადგილზე მოსახმარად გათვალისწინებულია სადესერტო ყურძნის წარმოება.

აღნიშნულის შესაბამისად სამეგრელოს სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია ჯიშები:

ა) ხარისხოვანი სუფრის ღვინოების მისაღებად—ჯიშები: ცოლიკაური, ჭვითაღური, პანეში და ოჯალეში. პერსპექტულად ირიცხებიან ჩეჭიფეში, ჩერგვალი, კოლოში და კიკაჩა;

ბ) სადესერტო „სალხინოს“ ტიპის ღვინოებისათვის—ოჯალეში, პერსპექტულად ითვლებიან ტორუკუჩი და კოლოში.

გ) სადესერტო ყურძნისათვის: შასლა, მალვაზია, ჩერგვალი, პერსპექტულებად ჩათვლებიან: ჰამბურგის მუსკატი, ხარისთვალა-კოლხური და ვერმენტინო.

დ) საკონიაკე მასალის წარმოებისათვის პერსპექტულია ჯიშები: პუმპულა, კერთოლი, პანეში და სხვ.

აფხაზეთის მთაგორიანი ნაწილი აგრეთვე შეიძლება გაიყოს მეღვინეობის შემდეგ რაიონებად:

ა) ბზიბის მთის კალთების ქვედა ფერდობები, რომლებიც გულდაუ-
თის ადმინისტრაციულ რაიონში შედიან: წარსულში ცნობილი მეღვი-
ნეობის სოფლებით: ლიხნი, აკვასკემცა, დურიფში და ზვანდრიფში
რაიონის ჩრდილოეთის ნაწილში, ხოლო აჭანდარა, მწარა, აბერხუკი
მის სამხრეთ ნაწილში, და მათი მოსაზღვრე სოფლები: აცი, ანუხა
და ფსირცხა (ახალი ათონი). ამ რაიონში განთქმული იყვნენ ამლახუს
ღვინოები იმავე ჯიშისაგან.

ბ) კოდორის უბანი—აფხაზეთის მთების ფერდობები მდინარე გუ-
ძისტა, კილასურისა და კოდორის შუა დინების გასწვრივ ამჟამად
სოხუმის რაიონში შემავალა სოფლებით: გუმისტა, კილასური,
მერხეული. ბალმარანი და სხვ.

გ) გაგრისა და გალის ადმინისტრაციული რაიონების მთავორია-
ნი ზოლი მეღვინეობის მხრივ ნაკლებ იყვნენ ცნობილნი.

აფხაზეთის რაიონების ძირითადი მიმართულებაა—ფერდობ
ადგილებზე სუფრის ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების
წარმოება, დანარჩენ ადგილებში ორდინალური სუფრის ღვი-
ნისა და სადესერტო ყურძნის წარმოება მახლობელ დასასვენე-
ბელ სახლებისა და კურორტების ახლად მოწყვეტილი ყურძნით მო-
მარაგების მიზნით.

აღნიშნულის მიხედვით, ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტა-
ნილია:

ა) სუფრის ღვინის წარმოებისათვის შემდეგი ჯიშები: ცოლი-
კაური, აყსირხვა, კაჭაჭი და საფერავი.

ბ) სუფრის ყურძნისათვის: შასლა, ჰამბურგის მუსკატი, მალვაზია
და განჯური.

პერსპექტიულად ამ მიმართულებისათვის მიჩნეულია ღვინისათვის:
ამლახუ, კრახუნა, აშულაყი, აყაპყი, ციცქა, აშხვათა და სუფრი-
სათვის—აპაპნიყი, ცხენის ძუძუ და ვერმენტინო.

8. გურია და აჭარა

1. საერთო ცნობები

გურია და აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ
ნაწილში. ჩრდილოეთით მათი საზღვარი გადის მდინარე ფიჩორაზე,
რომელიც ჰყოფს გურიას სამეგრელოდან; აღმოსავლეთიდან ესაზღ-
ვრება არსიანის ქედი და იმერეთი; სამხრეთით ეკვრის შავშეაის
ქედს და დასავლეთით—შავ ზღვას. გურია და აჭარა ერთმანეთისა-
გან განიყოფებიან აჭარა-იმერეთის ქედით.

გურიისა და აჭარაში მევენახეობა სოკოვან ავადმყოფობის შე-
შოჭრამდე მნიშვნელოვნად იყო განვითარებული, მეტადრე გურიაში.
ვენახების ფართობი დაახლოებით 1880 წლისათვის აღწევდა 6,820
ჰექტარს; აქედან მნიშვნელოვნად ნაკლები ფართობი იყო აჭარაში.

ადგილის რელიეფი მთაგორიანია, ვაკე, დაბლობი ადგილები
მეტწილად მდებარეობენ მდინარეების: ფიჩორის, სუფსის, ნატანე-
ბის, ჭოროხისა და სხვათა ქვედა და საშუალო დინების გასწვრივ.
ვენახები ძირითადად გაშენებულია მთების ფერდობებზე (ზოგჯერ
ფრიად ციცაბოებზე) მდინარეების ორივე მხარეს.

კლიმატური პირობების მიხედვით გურია და აჭარა მიეკუთვნებიან
სუბტროპიკულ ზონას, რომელიც ერთნაირი არ არის მთიანისა და
დაბლობი ზონის მევენახეობისათვის ამ ადგილების სხვადასხვა ტო-
პოგრაფიული მდებარეობის გამო.

გურიის ღვინოები დაყენებული უმთავრესად ჩხავერისა, სხილთ-
უბნისა (საჯავახო) და ჯანისაგან (ბუკისციხე) განთქმული იყო თა-
ვისი სინაზითა და არომატულობით.

2. ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის დახასიათება

აჭარა და გურია მდიდარია ვაზის ჯიშებით. აჭარისა და გურიის
ვაზის ჯიშებს ფორმათა წარმოშობის ერთი საერთო კერა აქვთ. ჯი-
შების საერთო რაოდენობა 85-მდე აღწევს. მათ შორის გურიის
ჯიშები შეადგენენ 48 სახელწოდებას, ხოლო აჭარის—35-ს.

მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნების მიხედვით, ამ ჯიშებს
შორის ჭარბობენ ქეჩისებრშებუსული ფოთლიანი ჯიშები (72%),
ხოლო შიშველფოთლიანი ჯიშები შეადგენენ უმნიშვნელო პროცენტს
(6%), ფოთლის აბლაბუდისებრი შებუსვა ახასიათებს ჯიშების 22%-ს.

მტევენის ზომის მიხედვით გურიაში ჭარბობენ პატარა და საშუა-
ლომტევენიანი ჯიშები, ხოლო აჭარაში საშუალომტევენიანი ჭარ-
ბობენ დიდსა და პატარამტევენიან ჯიშებს.

მარცვლების შეფერილობით თეთრებს ჭარბობენ წითელი ჯიშები,
მომრგვალო ფორმის მარცვლიანი ჯიშები ჭარბობენ მარცვლის
ოვალურფორმიან ჯიშებს, ხოლო ეს უკანასკნელნი მოგრძომარცვ-
ლიან ფორმებს.

8. ვაზის ჯიშების გაადგილება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ფართობები

ვენახების 1940 წლის საკავშირო აღწერის მონაცემების თანახმად, ვაზის ჯიშები გურიასა და აჭარაში განლაგებულია ქვემო-მოყვანილი ცხრილის მიხედვით (იხ. ცხრ. 9 და 10).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ფართობის სიდიდის მიხედვით პირველი ადგილი გურიაში უჭირავს ჯიშს იზაბელას, შემდეგ ცოლიკაურს, მათ მოსდევენ ჯიშები: ჩხავერი, ოჯალეში, საფერავი ციცი, რქაწითელი, კაჭიჭი, კუნძა და სხვა ჯიშები. ნაკლებგავრცელებული ჯიშები ნაჩვენებია სვეტში „დანარჩენი ჯიშები“. ნაკლებგავრცელებული ჯიშებიდან საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ჯანი, ჭუმუტა, ანანურა, ალადასტური, კიკაჩა, ქვანათურა, კორძალა, სხილათუბანი, ორონა, მტევანდიდი, მტრედისფეხა, სამჩხავერა, ჩუპეში, ჯანი ნაკაშიძისა, ათინაური, ზენათური, საკმეველა, მაური, ხუშია, მანდიკოური, ბადაგი, მცვინარა, კლარჯული, საკმიელა, საკვირჩხალა, ბახვა, ოფოურა, სამარხი, მატენაური, წითლანი, ტოვანი, ჩუპეში, ჩხაბერძული და სხვები.

აჭარის ჯიშებს შორის ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს ჯიშ იზაბელას, რომელიც გავრცელებულია ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე მაღლარის სახით. მას მოსდევენ ჯიშები ცოლიკაური და ჩხავერი. ნაკლებად გავრცელებულ ჯიშებს შორის, რომლებიც დაცულია ძირითადად საკარმიდამო და საკოლექციო ნაკვეთებზე, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ჯავახეთურა, თეთრა, მეკრენჩხი, მელიკულა, მწვანურა, ორჯოხული, თურვანდი, ხოფათური, კლარჯული, ბროლა, ჯინეში, ლივანურა, საწური, ბუტკუ, საფერავი, ტავიძურა, შავშურა, ღვანურა, ხალთური, აღმურა, მისკიეთა, ხარისთვალა, ცხენისძუძუ, ქეჭობერა, ჭოდი, შიშველი, ჭიპაკური, კიბურა, მახათური, მათენაური, პოვნილი, ჯინეში, ქორქაულა და სხვები.

ამჟამად, ვენახების 1947 წლის უფრო ზუსტი აღწერის მისაღების მიხედვით, გურიაში ფართობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ცოლიკაურს (684 ჰ.). ამას მოსდევს ჩხავერი (12,44 ჰ.), ნაკაშიძის ჯანი, მგალობლიშვილი, არგვეთული საფერე, კაჭიჭი, მტევანდიდი, საფერავი, ოჯალეში, ციციკა, ძელშავი, ალიგოტე და სხვები, ხოლო აჭარაში ფართობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ცოლიკაურს (95 ჰ.) შემდეგ საწურს, (20,48ჰ.), ჩხავერს (11,0), ციციქას, პინო ფრანს, ბაზალეთურს, აღექსანდრეულს და სხვებს.

გაზის ჯიშების გაადგილება ვურის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1940 წლის
1/IX სათვის ვენახების 1940 წლის საკავშირო აღწერის მასალების თანახმად



ცხრილი № 9

რაიონების დასახელება	ინახელა	ცოლიკაური	ჩხავერი	საფერავი	ოჯალეში	ციცქა	რქაწითელი	კაჭეზი	კუნძა	პირდ. მწარ. ჰიბრიდები	დანარჩენი ჯიშები	სულ	მათ შორის მალღარად
1. ჩოხატაურის	1800,85	440,28	0,59	0,04	1,21	0,03	0,01	—	0,01	1,46	39,53	1784,18	1.338,81
2. მახარაძის . .	1051,24	129,92	19,87	0,13	1.08	0,35	0,04	0,01	0,03	—	70,77	1.273,41	1.105,61
3. ლანჩხუთის .	650,91	172,4	0,03	5,58	—	0,88	0,22	0,13	—	—	9,55	839,70	650,91
სულ . . .	3003,0	742,6	20,49	5,75	2,29	1,26	0,27	0,14	0,04	1,46	119,85	3.897,29	3.094,83
% საერთო ფარ- თობის მიმართ .	77,0537	19,0544	0,5259	0,1475	0,0589	0,0323	0,0070	0,0036	0,0010	0,0874	3,0712	100 %	79,41

ვაზის ჯიშების გაადგილება აჭარის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1940 წლის
1/IX-სათვის ვენახების 1940 წლის საკავშირო აღწერის მასალების თანახმად

ცხრილი 10.

რაიონების დასახელება	იზაბელა	ჩხავერი	ცოლიკა- ური	ციცკა	საფერავი	კრახუნა	რეაწითელი	წულუკი- დის თეთრა	პირდაპ. მწარ. პიბრიდ	სულ	მათ შო- რის მალ- ლარად.
1. ბათუმის . .	210,99	6,59	5,87	0,1	—	—	—	—	4,71	2 8,26	223,05
2. კობულეთის .	212,5	0,53	5,32	—	—	—	—	—	22,98	241,33	237,7
3. ქედის . . .	38,83	31,09	21,77	0,75	0,03	0,01	0,01	0,01	22,17	114,67	64,29
4. ხულოს . . .	29,28	8,43	6,07	—	—	—	—	—	12,48	56,26	47,29
სულ . . .	491,6	46,64	39,03	0,85	0,03	0,01	0,01	0,01	62,34	640,52	572,33
% საერთო ფარ- გობის მიმართ	78,750	7,282	6,093	0,132	0,005	0,002	0,002	0,002	9,732	100%	89,35

4) უუროძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება და ვაზის სტანდარტული და პერსპექტული ჯიშები

მელვინეობის მხრივ გურია და აჭარა შეიძლება გაიყოს შემდეგ ძირითად რაიონებად:

1. მდინარე სუფსისა და ნატანების აუზი, რომელიც შედის ჩოხატაურისა და მახარაძის ადმინისტრაციულ რაიონებში. ამ აუზის მთელი მთის წინა ზოლი გადაჭიმული აჭარა-იმერეთის მთების კალთებზე წარმოადგენს იმერეთის მთავარი მელვინეობის რაიონის გაგრძელებას მდ. ყვირილის მარცხენა მხარეზე. ამ ზოლში საუკეთესო ღვინოები მზადდებოდა ჩხავერის ვაზიდან შემდეგ სოფლებში: ასკანაში, ოცხანაში, შემოქმედში, ლიხაურში, ხოლო ჯანის საუკეთესო ღვინოები სოფ. ბუკისციხეში, იანეთში და ერკეთში.

2. საჯავახო-გამოჩინებულის რაიონი. ეს რაიონი ღვინოების ხარისხის მიხედვით საკმაოდ საინტერესო მელვინეობის რაიონია. წარსულში საჯავახოს ღვინოები სახელგანთქმული იყვნენ თავისი ხარისხით და გაბატონებული ადგილი ეკავათ ქუთაისის ბაზრებზე.

3. მდინარე აჭარისწყლის აუზი. ამ ხეობის ვენახები შედიან ხულოსა და ქედის ადმინისტრაციული რაიონების შემადგენლობაში. მთელი ეს ზოლი მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ორივე მხარეზე მთის წინა ზოლისა და ფერდობების გასწვრივ დიდად ხელის შემწყობია სუფრის მელვინეობის განვითარებისათვის, შესაფერი ვაზის ჯიშების შერჩევის პირობებში.

4. მთის წინა ზოლი და ფერდობები, განლაგებული მდ. კოროხის ქვედა დინების გასწვრივ, აგრეთვე ხელშემწყობია სუფრის ღვინის წარმოებისათვის. გურიისა და აჭარის დანარჩენი დაბლობი ადგილები ნაკლებხელსაყრელია სუფრის მელვინეობის განვითარებისათვის; ამ რაიონებში წარმატებით შეიძლება განვითარდეს სუფრის მევენახეობა და უალკოჰოლო წვენის წარმოება კურორტებისა და დასასვენებელი სახლების მოსამარაგებლად.

რაიონის ძირითადი მიმართულებაა სუფრის ორდინალური, ალაგ-ალაგ ფერდობებზე ხარისხოვანი სუფრის წითელი და თეთრი ღვინოების წარმოება. დანარჩენ ადგილებში სადესერტო უუროძნის წარმოება ადგილობრივი და კურორტებისა და დასასვენებელი სახლების ახლადმოწყვეტილი უუროძნით მომარაგების მიზნით.

აღნიშნულის შესაბამისად გურიისა და აჭარის ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში გათვალისწინებულია შემდეგი ჯიშები:

ა) სუფრის ხარისხოვანი მეღვინეობისათვის: ჯანი, სხილათუბანი, ბროლა, საწური, მტევანდიდი, ალიგოტე, ცოლიკაური და ჩხავერი; პერსპექტულ ჯიშებად მიჩნეულია: ქუმუთა, კოლოში, კახური საფერავი და კრახუნა.

ბ) სადესერტო ყურძნის წარმოებისათვის გათვალისწინებულია ჯიშები: შასლა, ჯავახეთური კლარჯული და კამური თეთრი. პერსპექტულია ამ მიმართულებისათვის: ჰამბურგის მუსკატი და ვერმენტიწო.

გ) პერსპექტულია საკონიაკე მასალის მისაღებად ჯიშები: ჯანი ნაკაშიძის, საწური, ტრედისფეხა, სამჩხავერა და სხვები.

დასახელებული რაიონებისათვის სტანდარტული ვაზის ჯიშები უკვე შერჩეულია წარსულში არსებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ ჯიშები მასობრივი წარმოებისათვის ცუდად არ არიან შერჩეულნი.

სოკოვანი ავადმყოფობისა და ფილოქსერის შემოჭრის შემდეგ ამა თუ იმ ვაზის ჯიშის შესაფასებლად და წარმოებითი მასშტაბით გავრცელებისათვის ძირითად მაჩვენებლად მიღებული იყო წამყვანი სამეურნეო თვისებები: მოსავლიანობა, ღვინის ხარისხი, შედარებით გამძლეობა ავადმყოფობათა და მანჯარალებელ შეტეგოროლოგიურ მოვლენათა წინააღმდეგ.

ის ჯიშები, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებებს—წარმატებით ვრცელდებოდნენ წარმოების პირობებში. ჯიშები, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნილებებს, მაგალითად, მალალხარისხოვანი, მაგრამ მცირე მოსავლიანი, ან, პირიქით, დიდმოსავლიანი, მაგრამ დაბალხარისხიანი, აგრეთვე ხარისხიანი და მოსავლიანი ჯიშები, მაგრამ სუსტი გამძლენი სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ, სულ ან შედარებით ნაკლებად მკვიდრდებოდნენ წარმოებაში.

ამჟამად ასეთი მიდგომა ჩვენში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით—ვერ გვაკმაყოფილებს. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ შევიტანოთ საწარმოო სტანდარტში ყველა ის ჯიში, რომლებიც თავისი ბუნებით იძლევა მალალხარისხოვან ღვინოს, ხოლო მათი მცირე მოსავლიანობა ან სუსტი გამძლეობა თავისუფლად შეიძლება გამოსწორებულ იქნას ვენახების მოვლა-დამუშავების მოწინავე აგროწესების გამოყენებით.

შესაძლებლობანი უკეთესი, მალალხარისხოვანი ჯიშების შერჩევისა, ჩვენი მდიდარი ჯიშობრივი შემადგენლობის პირობებში, მეტად დიდია.

ჩატარებული მუშაობის შედეგად უკვე გამოვლინებულია როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ქვეყნის ჯიშები, რომლებიც ღვინის მაღალი ღირსებითა და კარგი მოსავლიანობით ხასიათდებიან, ამეამად ეს ჯიშები მრავლდებიან ფართო საწარმოო გამოცდისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

ზოგიერთი ჯიში განსაკუთრებით მაღალი სამეურნეო თვისებებით, როგორცაა: მეტად ნაადრევი სიმწიფე, პროდუქციის უმაღლესი ხარისხი და სხვ. მრავლდებიან ჯიშთა გამოცდის საფეხურის გაუვლელად, — უშუალოდ წარმოების პირობებში დასანერგად.

საქართველოს ვაჭის ჯიშები

1. კახეთი

ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა	ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა
1. ადრეულა	თეთრი	31. მწკლარტა	თეთრი
2. ანმეტის შავი	შავი	32. მხარგრძელი	"
3. ანმეტის წითელი	"	33. მხარგრძელი ყვითელი.	"
4. ბეჟანური	თეთრი	34. ოქროსულა	"
5. ბუღეშური წითელი	მუქი ვარდის.	35. ჟღია	ვარდის.
6. ბუერა	თეთრი	36. ჟღია საგვიანო	მუქ. ვარდ.
7. გრძელმტევანა	"	37. რქაწითელი	თეთრი
8. ვარდისფერა	ლია ვარდ.	38. საფერავი	შავი
9. ვარდისფერი ყურძენი	მუქ. ვარ- დისფერი	39. საფერავი ბუღეშურის- ებრი	"
10. ზაქათალის შავი	"	40. საფერავი ფარხა	"
11. ზაქათალის თეთრი	თეთრი	41. საფენა	თეთრი
12. თავკვერი საფერავი- სებრი	შავი	42. სირგულა	"
13. თავკვერი პატელან- თეული	"	43. სიმონასეული	შავი
14. თავკვერი დიდმარც- ვალა	"	44. ტყის ვაზი	თეთრი
15. თითა კახური	"	45. უბაკლური	"
16. ინგილოური	თეთრი	46. ქისი	"
17. კახის თეთრი	თეთრი	47. ქისტაურული შავი	შავი
18. კახის წითელი	შავი	48. ღვინის თეთრი	თეთრი
19. კახის ყურძენი	შავი	49. ღვინის წითელი	შავი
20. კუმსი თეთრი	თეთრი	50. ღრუბელა კახური	ღრუბლ.
21. კუმსი შავი	შავი	51. შავი ყურძენი	შავი
22. კუმსი ყვითელი	თეთრი	52. შავთხილა	"
23. კურკენა	"	53. შავი ჩიტისთვალა	"
24. მალრანული ქისი	"	54. ჩიტისთვალა თეთრი	თეთრი
25. მირზანული თეთრი	"	55. ცხენის ძუძუ კახური	"
26. მცვივანი	"	56. ძაღლიარტამა	"
27. მცვივანი ადრეულა	"	57. ძუძვანი	"
28. მცვივანი პატელანთე- ული	"	58. წინორის თეთრი	"
29. მწვანე	"	59. წობენულა	"
30. მწვანე ყვითელი	"	60. წყობილა	შავი
		61. ჭროლა კახური	თეთრი
		62. ხარისთვალა თეთრი	"
		63. ხარისთვალა შავი	შავი
		64. ხიხვი (ჯანანურა)	თეთრი

2. ქართლი

1. ადრეულა	თეთრი	6. გორულა	თეთრი
2. ანდრიული ვარდისფე- რა	ვარდის ფ.	7. გორული მწვანე	"
3. ანდრიული შავი	შავი	8. განახარული	შავი
4. ბუზა	"	9. დაკიდულა	თეთრი
5. ბუღეშური	თეთრი	10. თავკვერი ქართლის	შავი
		11. თითა ქართლის	თეთრი

ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერვა	ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერვა
12. თქველაფა	თეთრი	26. ქიშური საადრეო	თეთრი
13. კაპიტა	შავი	27. ქიშური შავი	შავი
14. მსხვილთვალა	თეთრი	28. ქიშური მსხვილ მარ- ცვალა	თეთრი
15. მუზა მწვანე	"	29. ღრუბელა	ღრუბლის- ფერი
16. მწვანე ავრები	"	30. ღრუბელა მეტეხური	"
17. საბატონო	"	31. შავკაპიტო	შავი
18. საფერავი ატენის	შავი	32. შაბა	თეთრი
19. საფერავი ბეჭაშვილის	"	33. ჩინური თეთრი	"
10. საფერავი მეჯვრისხე- ური	"	34. ჩინური შავი	შავი
21. ტატანაური	შავი	35. ჩინური ავრები	თეთრი
22. ფართალა თეთრი	თეთრი	36. მწკლარტა	"
23. ფართალა შავი	შავი	37. წითელი ვახი	ვარდის
24. ქართლური ჭროლა	ვარდის	38. ჭყაბა	თეთრი
25. ქიშური თეთრი	თეთრი	39. ჯვარი	"

2. ქვემო ქართლი (ბოლნის-მარნეულის რაიონი)

1. არაყისი	თეთრი	12. უსახელო ვარდისფერი	ვარდის ფ.
2. ასურეთული შავი	შავი	13. უცნობი შავი	შავი
3. ბორჩალო	"	14. ლარიბა თეთრი	თეთრი
4. გრძელმტევანა	თეთრი	15. ლარიბა შავი	შავი
5. დანახარული	მუქი	16. შირაკენი	თეთრი
6. ვარდისფერა	წითელი	17. ცრუგორული	"
7. ლაკი	ვარდის ფ.	18. წყენი	"
8. მარნეულის შავი	შავი	19. ჭვარტლა	"
9. მწვანე ადგილობრივი	"	20. ჭყარტალა	"
10. საადრეო თეთრი	თეთრი	21. ხარისთვალა ადგილო- ბრივი	"
11. სარისაჩაბი (ბუერა?)	"	22. ჩიტისთვალა	შავი

4. მესხეთის ვაზის ჯიშები

1. ანდრიული	შავი	9. მელიკულა	თეთრი
2. არიჭული	თეთრი	10. რაბათის წითელი	შავი
3. ბეყანა	"	11. საადრეო თეთრი	თეთრი
4. ბუდეშური წითელი	ვარდის ფ.	12. საღვინე	შავი
5. თავცეცხლა	"	13. საფარული თეთრი	თეთრი
6. თითა მესხური	თეთრი	14. ცხენოს ძუძუ თეთრი	"
7. კუერტმაგარა	"	15. ცხენის ძუძუ შავი	შავი
8. კლდის წითელი	შავი	16. ხარისთვალა მესხური	თეთრი

5. იმერეთის ვაზის ჯიშები

1. ათინაური	თეთრი	4. ბეწოურა	შავი
2. არგვეთული საფერე	შავი	5. გაბენაურა თეთრი	თეთრი
3. ბახალეთური	თეთრი	6. გაბენაურა შავი	შავი

ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა	ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა
7. გომის თეთრი	თეთრი	44. ობჩური შავი	შავი
8. გომის წითელი	შავი	45. ოცხანური საფერე	"
9. დიდშავი	"	46. ობტოური	"
10. დონდლაბი თეთრი	თეთრი	47. რკო თეთრი	თეთრი
11. დონდლაბი შავი	შავი	48. რკო შავი	შავი
12. ენძელაძისეული	"	49. სამჭკა	"
13. ვერტყვიჭალის შავი	"	50. სამაჭრე	"
14. ვერტყვიჭალის თეთრი	თეთრი	51. უსახელო წითელი	"
15. თავწითელი	"	52. ფითრა	თეთრი
16. თითა იმერული	"	53. ქართულა	"
17. თხლადა იმერული	"	54. ქველოური	შავი
18. კამური შავი	შავი	55. ქვიშხური (გორულა მწვანე)	თეთრი
19. კაპისტონი თეთრი	თეთრი	56. ღრუბელა იმერული	ღრუბლის.
20. კაპისტონი შავი	შავი	57. შავბარდა	შავი
21. კვირისთავა	"	58. ჩხინკოურა	თეთრი
22. კირწმაგარა	თეთრი	59. ციცქა	"
23. კრახუნა თეთრი	"	60. ციცქა საჩხერული	"
24. კრახუნა შავი	შავი	61. ციცქა გაბეზაურა	"
25. კუნძა თეთრი	თეთრი	62. ცოლიკაური	"
26. კუნძა შავი	შავი	63. ცოლიკაური მსხვილ- თვალა	"
27. ჭუპრაშვილი	"	64. ცოლიკაური კონიძის	"
28. მალლარი	"	65. ცრუ ცოლიკაური	"
29. მამუკას ვაზი	"	66. ძელი სამაჭრე	შავი
30. მარგული საფერე	"	67. ძელშავი ობჩური	"
31. მაჩანაური	"	68. ძელშავი ადგილობ- რივი	"
32. მაური თეთრი	თეთრი	69. ძირაგეულის შავი	"
33. მაისა	"	70. ძიგანოური	"
34. მგალობლიშვილი	შავი	71. წირქვალის თეთრი	თეთრი
35. მელანაისეული	"	72. ჰანიკლოური	შავი
36. მსხვილკუმუნალა	"	73. ხარისთვალა კოლხ- ური	"
37. მტრედისფერა	თეთრი	74. ხითერი (ჟლია)	წითელი
38. მურადოული	"	75. ადანასური	შავი
39. მცვივანი იმერული	"	76. ბზვანურა	"
40. მწვანე იმერული	"		
41. მჭკარა დონდლა- ბი	"		
42. ნაცარა	"		
43. ნეთელა	"		

6. რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები

1. ალექსანდრეული	შავი	8. ბელარინი	შავი
2. ალექში	"	9. ბუტკუ	თეთრი
3. არაბეული შავი	"	10. გამოყვანილი	შავი
4. არაბეული თეთრი	"	11. თბილური	თეთრი
5. აფხაზური	"	12. თვალდამწვრისეული	"
6. ბახვა	"	13. კაპისტონი თეთრი	"
7. ბეროული	თეთრი	14. კაპისტონი შავი	შავი

ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა	ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა
15. კაპისტონი გალმოფური	შავი	34. უწყვეტი	თეთრი
16. კაპისტონი წიწილიანი	"	35. ფახატა	"
17. კირწითელა	"	36. ფერფანი	შავი
18. კორტნულა	"	37. ფერუანი	"
19. გუდურაული	თეთრი	38. ქაქათურა	თეთრი
20. მელისკუდა	"	39. გვირა	შავი
21. მოქათური	"	40. ყორნისთვალა	"
22. მსხვილთვალა	შავი	41. ცხვედიანის თეთრა	თეთრი
23. მუჯურეთული	"	42. ძველი ალექსანდრეული	შავი
24. მცვივანი რაჭული	თეთრი	43. წითელიური	"
25. მწვანე რაჭული	"	44. წმინდა თეთრი	თეთრი
26. ნაკუთენეული	შავი	45. წულუკიძის თეთრა	"
27. ნაცარა	"	46. კუბულა	შავი
28. ნოშრიო	"	47. ხიხვა რაჭული	თეთრი
29. იჯალეში ორბელური	"	48. ხიხვა ლეჩხუმის	"
30. რცხილი	"	49. ხოტურა	შავი
31. სამაჭრე	"	50. ხროვი	შავი
32. ურისული	"	51. თეთრი ალექსანდრეული	თეთრი
33. უსახელოური	"		

7. სამეგრელოს ვაზის ჯიშები

1. აკიდო	შავი	27. ოფოთი	თეთრი
2. აფშილური	"	28. ოქონა	შავი
3. აფხაზური	თეთრი	29. იჯალეში (შონური)	"
4. გოდაათური	შავი	30. პანეში	"
5. გრები	"	31. პაპასკირი	"
6. დედოფლის კითი	"	32. პუმპულა (პუმპულაში)	"
7. დონდღვაბია	"	33. სამანჭრო	თეთრი
8. ვგურძული	თეთრი	34. საკუმა	"
9. ვერნახი	შავი	35. ტორკოკუჩხი	შავი
10. ზერდაგი	თეთრი	36. ტუტაში	"
11. თხურთხუ	"	37. უგვარო	"
12. თოვანი	შავი	38. უჩახარდანი	"
13. კაპისტონი	"	39. ჩეში	თეთრი
14. კერთოლი	"	40. ჩერგვალი	"
15. კეთილური	"	41. ახარდანი	"
16. კვაწახურა	თეთრი	42. ჩეჯიფეში	"
17. ქველები	შავი	43. ჩეჩქიში	"
18. კიკაჩა	"	45. ჩხუში	შავი
19. კუტალა	"	45. ჩხუჩეში	თეთრი
20. ლაგილური	"	46. ჩხორკენი	შავი
21. მარბა	შავი	47. ჩინკილოური	თეთრი
22. მაჭკვატური	"	48. ცანაფოთა	წითელი
23. მახვატვლი	შავი	49. კვიტილური	თეთრი
24. მორცხულა	"	50. ხოჯისთოლი	შავი
25. მუხიშხა	"	51. კითაში	"
26. ოფოფი	თეთრი	52. კოტიში	"

8. გურიის ვაზის ჯიშები

ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა	ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა
1. ათინური	შავი	28. სამარხი	შავი
2. ალადასტური	"	29. სამჩხვერა	"
3. ბახვა	"	30. საკმილა (საკმეველა)	თეთრი
4. ბადაგი	თეთრი	31. სხილათუბანი	შავი
5. დორდლო	"	32. ტრედისფეხა	"
6. ვაციწვერა	"	33. ქაქუთურა	თეთრი
7. ვორონა	შავი	34. ქვაფათური	"
8. ხენათური	თეთრი	35. ლორისთვალა	შავი
9. დორდლო	"	36. შავჩხვერა (ხვევრი- ვლი)	"
10. თეთრიშაი	"	37. შავყურძენა	"
11. თეთრი ჩხვერი	"	38. ჩუპეში	წითელი
12. თეთრი ყურძენი	"	39. ჩხაბერძულა	შავი
13. თქელაფა	"	40. ჩხვერი	მუქ. ვარდ.
14. კეთილოური	"	41. ცივჩხვერა	შავი
15. კიკაჩი	შავი	42. ცისფერული	თეთრი
16. კოლოში	თეთრი	43. წითლოვანი	მუქ. ვარდ.
17. კუხურაი	"	44. ჯანი	შავი
18. კორძალა	"	45. ჯანი ნაკაშიძის (გუ- რიანთული)	"
19. მახატური	"	46. ჯანი ციხური (ბარის ჯანი)	"
20. მანდიკოური	"	47. ჯანი ასკანური	"
21. მაური თეთრი	თეთრი	48. ტუმუტა	"
22. მაგანაკური (მაგარა)	"	49. ხემხუ	"
23. მტევანდიდი	შავი	50. ხუშია შავი	"
34. მცივანი გურული	"		
25. მცივანი	"		
26. ნაშენება	"		
27. საფერავი გურიის	"		

9. აფხაზეთის ვაზის ჯიშები

1. აბააყიყი	თეთრი	16. აკუშარი	შავი
2. აბისტაყი	"	17. აკუმშტალი	"
3. აბსუაყი	შავი	18. ამლახუ	ვარდის ფ.
4. აბაბლოყა	თეთრი	19. ამოხნიყი	შავი
5. აღიყიში	"	20. ამინვანჭკირი	მუქ. ვარდ.
6. აგოშკური	"	21. აძნიყი	თეთრი
7. აგრიყი	შავი	22. აოსიყი	"
8. ადზნიყი	"	23. აპაპნიყი	შავი
9. ავასირხვა	თეთრი	24. აფიუყურა	ვარდის ფ.
10. აკუბაყგარა	"	25. აყემჩილი	შავი
11. აკაბილიყი	შავი	26. აყაფში	ვარდის ფ.
12. აკაბილი	"	27. აყიკვაცა	შავი
13. აკასაყი	"	28. აყვაცა	თეთრი
14. აკლიკი	თეთრი	29. აყიგრა	შავი
15. აკუბასა	შავი	30. აყიკოკო	თეთრი

ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა	ჯიშის დასახელება	მარცვლის შეფერი- ლობა
31. აეიკვა	თეთრი	45. ახიუხიუყი	შავი
32. აეიშგამა	"	46. ახარდანი	"
33. აეია	წითელი	47. აძირფარა	"
34. აეიში	თეთრი	48. იაკუბი	"
35. ასშვაბი	შავი	49. კაჭიჭი	თეთრი ?
36. ათურქუყი	თეთრი	50. პაპინივაჩი	შავი
37. ათასარაკვა	შავი	51. პეტრიყი	"
38. ალბიყი	"	52. ტატლიყი	"
39. აშულაყი	"	53. ცვინდროზუა	"
40. აჩიკიყი	"	54. ხუნამიყი	თეთრი
41. აცისიყი	"	55. ხუპინიყი	შავი
42. აცხოუყი	"	56. ხუტუნიყი	თეთრი
43. აციმლიყი	"	57. ამგუოჩალი	შავი
44. აჰანდარის საღვინე	"	58. შავი ამლახუ	"

10. აჭარის ვაზის ჯიშები

1. აღმურა (აღმური)	შავი	25. საფერავი აჭარული	შავი
2. ალი ჩელაბი (აჭარული)	თეთრი	26. სალიკლვეი	"
3. ახალესკი	ვარდის.	27. საწური (საწურავი)	"
4. ბათომურა	შავი	28. ხორეჭი	თეთრი
5. ბაღის ყურძენი	თეთრი	29. ტავიძურა	შავი
6. ბროლა	"	30. ტყისყურძენა	"
7. ბუტკო	შავი	31. ქორჭაულა	"
8. ბურძალა	"	32. შიშველი	"
9. თურა	თეთრი	33. ცხენის ძუძუ	შავი
10. თურვანდი	"	34. წვიტე	თეთრი
11. კაიკაციშვილისეული	"	35. ჭოდი	შავი
12. კლარჯული	"	36. ხალთური	თეთრი
13. პონეოლი	მუქ. ვარ.	37. ჯავახეთურა	"
14. ლივანურა თეთრი	თეთრი	38. ხარისთვალა აჭარული	მუქი წით.
15. ლივანურა შავი	შავი	39. ხოფათური	თეთრი
16. მახათური	"	40. ქეჭიბერა	"
17. მათენური	"	41. ჯინეში	"
18. მტრედისფეხა	"	42. შავშურა	"
19. მეკრენჩხი	"	43. ჭიპაკური	შავი
20. მისკიეთა	თეთრი	44. ჭოტა	"
21. მელისკულა	"	45. ჩიტისთვალა	"
22. მწვანურა	"	46. ღვანურა	"
23. მწვანე აჭარული	"	47. კიბურა	"
24. ორჯოხული	შავი		



აშრიგად საქართველოს მევენახეობის რაიონებში დაახლოებით
გაანგარიშებით ირიცხება:

	ჯიში
1. იმერეთში	76
2. კახეთში	64
3. აფხაზეთში	58
4. სამეგრელოში	52
5. რაჭა-ლეჩხუმში	51
6. გურიაში	50
7. აჭარაში	48
8. ქართლში	39
9. ქვემო ქართლში (ბოლნის-მარნეულში)	22
10. მესხეთში	16
სულ	476 ჯიში

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი 1941 წელი.
 2. ალ. ჯავახიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. ტომი I. გეომორფოლოგია. თბილისი, 1926 წელი.
 3. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. თბილისი, 1934 წელი.
 4. ნ. კეცხოველი. საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. თბილისი, 1935 წელი.
 5. ლ. ჯორჯაძე. მევენახობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება. თბილისი, 1876 წელი.
 6. ვ. პეტრიაშვილი. მეღვინეობა. ქ. თბილისი, 1895 წელი.
 7. ს. ჩოლოყაშვილი. მევენახეობის სახელმძღვანელო. წიგნი II. ამპელოგრაფია. თბილისი, 1939 წელი.
 8. კ. შოდებაძე. საქართველოს მეღვინეობის რაიონები. ექსპერიმენტალურ აგრონომიის ინსტ-ის მოამბე. წიგნი 3. თბილისი, 1936 წელი.
 9. ვ. დემეტრაძე. მასალები დასავლ. საქართველოს მევენ-მეღვინეობის მრეწველობის დარაიონება და სპეციალიზაციისათვის. ქ. ქუთაისი, 1936 წელი.
 10. მ. რამიშვილი. გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი, 1948 წელი.
 11. დ. ტაბიძე. საქართველოს ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი და მისი დადგენა-დაზუსტების წესები. მევ. ინსტ-ის შრომები, ტომი IV თბილისი, 1948 წელი.
 12. ალ. მიროტაძე. რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები. თბილისი, 1939 წელი.
 13. ნ. დომბროვსკი. კახეთის კლიმატური მიმოხილვა. ქ. თბილისი, 1929 წელი.
 14. ივ. გაჩეჩილაძე. კლიმატოლოგია. ნაწილი I. თბილისი, 1934 წელი.
6. დ. ტაბიძე.

15. ყ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში 1672—1673 წლებში. ვასილ ბარნოვის თარგმანი. სახელგამი. თბილისი, 1935 წელი.
16. Е. И. Вацадзе. Виноделие в Имеретии. Сб. свед. по виногр. и виноделию на Кавказе. Вып. III Тифлис 1896 г.
17. Ф. К. Кварацхелия. Западно-грузинские сорта винограда. г. Кутаиси 1936 г.
18. Ф. К. Кварацхелия. К изучению Абхазских сортов винограда. Сухуми. 1934 г.
19. Ф. Ф. Давитая. Климатические зоны винограда СССР. Москва-Ленинград 1938 г.
20. Е. К. Накашидзе. Очерк виногр. и виноделия в Гурии и Мегрелии. Сбор. свед. по виногр. и виноделию на Кавказе Вып. IV Тифлис, 1896 г.
21. Е. К. Накашидзе. Виноградарство в Имеретии, там же.
22. Т. Д. Лысенко. Агробиология. Москва, Сельхозгиз 1949 г.
23. И. З. Андроников. Отчет деятельности Кав. Филоксер. Комитета в 1890 г. г. Тифлис, 1891 г.
24. И. В. Мичурин. Итоги шестидесятилетних работ. Огиз Москва, 1936 г.
25. В. А. Канделаки. Грузинские вина. „Заря Востока“ 28 марта 1937 г. г. Тбилиси.
26. М. Н. Сабашвили. Почвы Грузии. Издат-во АН Груз. ССР, Тбилиси 1948 г.
27. А. О. Саникидзе. Почвы Кахетии, Тбилиси 1941. г.
28. Д. И. Табидзе. Районы виноградарства Кахетии. Тбилиси, 1940 г.
29. Д. И. Табидзе. Сортовой состав виноградных насаждений Груз. ССР. Рукопись 1936 г.
30. М. Баллас. Виноделие в России. часть II, Восточное Закавказское, СПб 1896 г.
31. Леонов. „Виноград в исторические времена“, Русский винодел №11 и 12, СПб 1887 г.
32. Виноградов-Никитин. Ценные породы лесов Кавказа. Ленинград, 1929 г.

33. Г. Т. Селянинов. Климатическая хар-ка субтропич. многолетников. Матер. по агроклим. районир. субтор. СССР. Ленинград, 1936 г.
34. А. М. Негруль. Эволюция культурных форм винограда. Доклады АН т. 18, 1936 г.
35. Н. Е. Гансен. Селекция плод. культур в СССР и САСШ. Москва, 1936 г.
36. В. Тьебо. О сбыте кавказских вин и о выработке типа Имерет. вин. „Кавказское хозяйство“ №9. Тифлис, 1910 г.
37. В. А. Старосельский. Материалы по ампелографии Кавказа. Тифлис, 1893 г.
38. К. Н. Гораев. К вопросу о хозяйст. ценности важн. Имерет. и некоторых привоз. сорт. винограда в усл. Кут. губ. Тр. Лаб. при Сак. пит. имер. лоз. Вып. 7. Тифлис, 1914 г.
39. А. А. Егоров. Вина Кахетии. Вест. винод. Украины №8 Одесса, 1926 г.
40. М. Ховренко. Общее виноделие. Москва, 1909 г.
41. С. Н. Тимофеев. Очерк виноградарства в Батумском и Артвинском округах. Сб. св. по виногр. и винод. на Кавказе. Вып. VI, Тифлис 1896 г.
42. С. Н. Тимофеев. Очерк виноградарства и виноделия в Сухумском округе. там же
43. В. Н. Геевский и Г. Н. Шарер. Краткий очерк садоводства Закавказья. труды Кав. Общ. Сел. Хоз-ва. Тифлис, 1885 г.
44. В. Н. Геевский. Отчет филоксерного комитета за 1890 г. Тифлис, 1894 г.
45. П. Г. Кандуралов. Очерк виноградарства и виноделия Карталинии. Тифлис, 1887 г.
46. С. Квариани. Виноградарство и виноделие в Тифлисском уезде. Кав. Сель. хоз-во №63 Тифлис, 1895 г.
47. С. И. Коржинский. Ампелография Крыма. СПб, 1912 г.
48. Зисерман. 25 лет на Кавказе. СПб, 1879 г.

რედაქტორი პროფ. მ. რამიშვილი
ტექ. რედაქტორი დ. შივიძე
კორექტორი შ. ჭელიძე
გამომშვები შ. ხელაძე

შე04573.

შეკვ. № 893.

ტირაჟი 3000.

გადაეცა წარმოებას 15/IV-50 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VII-50 წ.
ანაწყობის ზომა 6×9¹/₂, ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა
5,25. საგ.-სააღრ. ფორმათა რაოდენობა 3,91.

ფასი 4 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიკული
გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Управления по делам полиграфической
промышленности, издательств и книжной торговли при Совете
Министров Грузинской ССР, г. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

